

სამეცნიერო-
პრაქტიკული
ჟურნალი

№3

ივლისი
2007 წელი



ეკონომიკური თეორია

ფინანსები

**სოციალურ-ეკონომიკური
პრობლემები**

**მიკროეკონომიკა,
მენეჯმენტი**

**განთავსების ეკონომიკა
და
ეკონომიკა**

**ეკონომიკური განვითარება
გლობალური ეკონომიკა**



ეკონომიკური პროფილი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№3, 2007 წელი, ივლისი

ეკონომიკური თეორია

1. რევაზ კაკულია
ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები



ფინანსები

2. იაკობ მესხია
სახელმწიფო ფინანსური კონტროლის საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები
3. დავით სოლოლაშვილი, ეკატერინე უდუხიანი
საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის საკითხები
4. ბორის ჭიჭინაძე
გადასახადის გადმხდელთა უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში



სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

5. ნაირა ვარსალოძე
საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურისა და გენდერული თანასწორობის სტატისტიკა
6. დელა ბახტაძე, ლია მდინარაძე
სოციალური რისკი და ეკონომიკური პოლიტიკის სოციალური თრეფორმის გარდამავალ ეკონომიკაში



მიკროეკონომიკა, მენეჯმენტი

7. ვაჟა გურაბანიძე
ორგანიზაციული კულტურა და მისი ჩამოყალიბება
8. გურამ უფლისაშვილი
ქუთაისის სამრეწველო წარმოება საკუთრებით ურთიერთობათა რეფორმის დასრულების შემდეგ



მართლმადიდებლობა და ეკონომიკა

9. ნიკო ჩხეიძე
ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლობის ფაქტორული ბათა გააზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ
10. აკაკი ბაკურაძე
სოციალისტური რეფორმების წარმატების ერთი საკითხისათვის



ეკონომიკური განათლება

11. რამაზ ნამიჭიყაშვილი
პროფესიული საქმიანობა, როგორც სისტემური ცოდნის რეალიზაცია



გლობალური ეკონომიკა

12. ციციანო ძიწენაძე
გლობალიზაციის ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივი დირებულებათა ასპექტები
13. ეკატერინე ბაბუნაშვილი
ინვესტიციები და მრავალეროვნული კომპანიები



ნობელიანტი ეკონომისტიკები ----- გვ. 51
ჩვენი ავტორები ----- გვ. 53
კაი ყმის მოსაგონარი - რამაზ იაშვილი --- გვ. 54

მთავარი რედაქტორი:

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს
ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი

რამაზ კაკულია

პასუხისმგებელი რედაქტორი:

პროფ. ნიკო ჩხეიძე

სარედაქციო საბჭო:

ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორები:

- პროფ. გივი გამსახურდია
პროფ. იაკობ მესხია
პროფ. მურმან ტურავე
პროფ. შოთა ქისტაური
პროფ. გიორგი ღვთამაძე
პროფ. ედუარდ ცინრაშვილი
პროფ. ნიკო ჩხეიძე

უცხოელი წევრები:

- პროფ. ანატოლი არხიპოვი
პროფ. ალიხან დაღაშვილი
პროფ. ანდრეას რუდიგერი
პროფ. ბერნარდ ზიდლერი

ასოცირებული პროფესორები:

ბახა ბაბელაშვილი

რამაზ იაშვილი

აკაკი ბაკურაძე

გურამ უფლისაშვილი

ლელა ბახტაძე

დაეფუქსეპელი:

ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის
უნივერსიტეტი
რეკტორი პროფ. ლელა ქვლიაშვილი

4601, საქართველო, ქუთაისი,
წერეთლის გამზ. №13
ტელ: +995 331 4 23 73, 4 82 01.
E-mail: info@kseu.edu.ge,
chixi@mail.ru
http://www.kseu.edu.ge

რევაზ კაკულია

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები

ეკონომიკური პრიორიტეტი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე არსებითი გავლენა მოახდინა მე-20 საუკუნის ბოლოს სოციალისტური სისტემის ნგრევამ და ორ ათეულზე მეტი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამ.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის გამარჯვებას ალტერნატივა არ გააჩნია. მას შეუძლია შექმნას ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ისეთი საბაზრო წინაპირობები, როგორცაა: თავისუფალი ბაზარი; საკუთრება – კერძო და დაცული; ინფლაცია – დაბალი; ქვეყნებს შორის ვაჭრობა – განუსაზღვრელი. ეს კი აუცილებელია იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს ფასების ლიბერალიზაცია, მთავრობა არ ჩაერიოს კერძო კომპანიათა მართვაში, შეწყვიტოს მათი სუბსიდირება, უზრუნველყოს კონტრაქტების შესრულება

და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა, ადმინისტრაციული რეგულირების ოპტიმალური მინიმიზაცია, ბიუჯეტის დაბალანსება და სავაჭრო ბარიერების მოხსნა. ნებისმიერი ქვეყნის მთავრობა, რომელიც ამას მიაღწევს, შეუძლია ეკონომიკურ ზრდაზე გააკეთოს წარმატებული გათვლები. თუმცა, პოსტსოციალისტური ქვეყნების დიდმა ნაწილმა აქ ჩამოთვლილი ღონისძიებების რეალიზაცია მთლიანად ვერ შეძლო. ხანს, რომ სასურველი რეფორმების განსახორციელებლად აუცილებელია არა მარტო საბაზრო ეკონომიკის ელემენტებში გათვითცნობიერება, არამედ მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიის შემუშავება. სხვა სიტყვებით, საჭიროა არა მარტო საბოლოო მიზანს შორიდან ხედავდე, არამედ უნდა შეგეძლოს მათთან მისასვლელი ბილიკის დადგენაც.

გარდამავალი ეკონომიკის უკლებლივ ყველა ქვეყანაში წარმოიშვა თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მრავალი პრობლემა, რომელთა დროული გადაწყვეტა მეტად საშუროია. „კომუნისმიდან თავისუფალ ბაზარზე გადასვლა ფრენის პროცესში თვითმფრინავის ძრავის შეცვლის ტოლფასია“. ასე დაახასიათა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა თანამედროვეობის ცნობილმა ეკონომისტმა – კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა ჟერარდ ლორანმა.

საბაზრო ეკონომიკის გზაზე დამდგარი პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების 15-წლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, კაპიტალისტური სისტემისაკენ მოძრაობა თანამედროვე ეკონომიკურ

თეორიის საფუძვლების გაუთვალისწინებლად ნაკლებად ეფექტიანია, ხშირად კი – უშედეგო.

უნდა ვაღიაროთ პირუთვნელად, რომ ქვეყანაში მეცნიერ ეკონომისტთა რიცხოვნობის სიჭარბის მიუხედავად დღევანდელ საქართველოში ეკონომიკური აზროვნების მწვავე დეფიციტია. რა თქმა უნდა, დეფიციტია გარდამავალი ეკონომიკის მშენებლობის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხების გამოკვლევაშიც, რის გამოც ეფექტიანი სტრატეგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება გაძნელებულია. ამას ისიც ემატება, რომ ხელისუფლების ეკონომიკური სამსახურები ნაკლებად არიან დაინტერესებული ეკონომიკური თეორიის მიღწევების პრაქტიკულ გამოყენებაში, რისი ნათელი მაგალითია ეკონომიკისა და ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლიკვიდაცია.

იმის გამო, რომ საქართველოში რეფორმების სტრატეგია საწყის ეტაპზე შემუშავებული იქნა ეკონომიკური თეორიის ჭეშმარიტი დებულებების გაუთვალისწინებლად გახანგრძლივდა წარმოების დაცემის პროცესი მთელი თავისი უარყოფითი შედეგებით. არადა, რეფორმების სტრატეგია შემუშავებული უნდა ყოფილიყო თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში მომხდარი ფუძემდებლური მიმართულებებით განხორციელებული გამოკვლევების ბაზაზე. საბაზრო ურთიერთობების ფორმირებაში წამოჭრილი პრობლემების შესწავლისა და ანალიზის გზით.

ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერება და შესაბამისი ინსტიტუტები ვალდებულია შეისწავლოს და პასუხი გასცეს კითხვებზე, თუ რატომ ვერ შეძლო ქვეყანამ პირველ ათწლეულში რეფორმების განხორციელებაში წარმატებების მიღწევა და რატომ ვერ ჩამოაყალიბა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ოპტიმალური მოდელი?

ყველამ უნდა ვირწმუნოთ, როგორც თეორეტიკოსებმა, ისე პრაქტიკოსებმა, რომ მხოლოდ თეორიაზე დაფუძნებული ცოდნით შეიარაღებულ რეფორმატორებს შეუძლიათ შეისწავლონ ბაზარზე გადასვლის პროცესში მიმდინარე მოვლენები, გაანალიზონ ეროვნული ეკონომიკის სუსტი წერტილები და მიღწევები და შეამოწმონ საბაზრო ურთიერთობების გარდაქმნის ეფექტორი. ამ საქმეში მამებლობა და მიღწეულის ქება-დიდება მოხსენიება ქვეყანას ტაძრამდე ვერ მიიყვანს.

ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების ანალიზი და შეჯერება უნდა მოხდეს ეკონომიკური მეცნიერების ყველა სფეროსთან, განსაკუთრებით: მაკროეკონომიკური პოლიტიკის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, სახელმწიფო რეგულირების, ფინანსების, შრომი-

თი რესურსებისა და სხვა პრობლემატიკის განხილვისას.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში შემუშავებული თამაშების თეორიის ინსტრუმენტარები ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების კომპლექსური ანალიზის საშუალებას ნამდვილად იძლეოდა, მაგრამ იგი ადვილი არ იყო. არსებობს იმის საშიშროება, რომ აღრიცხვისა და სტატისტიკის მონაცემთა ობიექტური ანალიზის გარეშე მიღებული იქნეს მცდარი დასკვნები, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ჩვენს სინამდვილეში ასეთი დასკვნები ხშირია, რაც ობიექტურ მიზეზებთან ერთად გამოწვეულია ისეთი სუბიექტური ფაქტორებით, როგორცაა: ცოდნის უპატოვებლობა, კადრების არასწორი შერჩევა, ეკონომიკური თეორიის კვლევის არა-დამაკმაყოფილებელი დონე და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ჯერაც არ არსებობს ერთიანი აზრი ეკონომიკური თეორიის თანამედროვე მდგომარეობისა და მისი სრულყოფის მიმართულებით კვლევა-ძიების გაშლის შესახებ, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე სერიოზული მუშაობაა ამ მხრივ გაწეული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებათა შესასწავლად.

გარდამავალი ეკონომიკისადმი მიძღვნილი საყურადღებო ნაშრომები შექმნეს ქართველმა მეცნიერ-ეკონომისტებმა: საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტებმა – ვლადიმერ პაპავამ, დეო ნიქავამ, ავთანდილ სილაგაძემ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორებმა პროფესორებმა: მერაბ კაკულიამ, ირაკლი კოუზანაძემ, ბიკენტი გაბიძაშვილმა, იაკობ მესხიამ, თემურ ბერიძემ, ამირან ჯიბუტმა, მიხეილ ჯიბუტმა, რევაზ გოგოხიამ, გიორგი მაღლაშხიამ, გიორგი პაპავამ, ელგუჯა მექვაბიშვილმა, რევაზ ბასარიამ, თამაზ ნიკვაიძემ, ნუგზარ სანთელაძემ, გივი გამსახურდიამ, ასოცირებულმა პროფესორებმა – ლელა ბახტაძემ, ემზარ ჯგერენაიამ, თემურ მურდუღლიამ, ოთარ ნადარაიამ, კახა ციმინტიამ, კახა გაბელაშვილმა და სხვებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტ-მეცნიერთა მიერ შემუშავებული თეორიული დასკვნები ჯერ კიდევ სრულად ვერ პასუხობს ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით განხორციელებას, სამწუხაროდ მათი პრაქტიკული გამოყენება საერთოდ არ ხდება, არადა შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თეორიული წინასწარ განჭვრეტითი პროგნოზების გარეშე შედგენა, რაც იწვევს მასში სერიოზულ ცდომილებებს და წელიწადში რამდენიმეჯერ კორექტივების შეტანას.

სერიოზულ განსჯას ექვემდებარება მისაზრება მასზე, რომ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შექმნა, გადასასინჯია ხელისუფალთა მისაზრება ინდიკატური გეგმის უსარგებლობის შესახებ. საბოლოო ჯამში, ყველა ისინი ცდუ-

ბა, რომლებიც უარყოფენ წინასწარ განჭვრეტის დაგეგმვის აუცილებლობას. არავინ არ ამბობს იმას, რომ საბჭოურ დაგეგმვას მიუბრუნდეთ, მაგრამ მაკროეკონომიკური ურთიერთობა წინასწარ დაგეგმვა აუცილებელია.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და სამეურნეო რეფორმების პროცესი დაიწყო მოუმზადებლად, ყოველგვარი თეორიული საფუძვლის გარეშე. უფრო მეტიც, ქვეყანაში დაბალ დონეზე დგას მწვავე ეკონომიკური თეორიის პრობლემების კვლევა. ამას ისიც დაემატა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმებმა ხელი შეუშალა ეკონომიკური სისტემის დრმა მეცნიერულ კვლევა-ძიებას, ათეული წლების მანძილზე მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია გვასაზრდოებდა უპირატესად დრომოჭმული იდეებით. ნაცვლად იმისა, რომ ჭეშმარიტ თეორიულ ანალიზს ეწევნებინა, თუ რას წარმოადგენდა საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება რეალურად, იგი იძლეოდა დასკვნებს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მომავალში. სწორედ „მომავლის წინასწარ განჭვრეტა“ იყო მიჩნეული პოლიტიკური ეკონომიის დიდ მონაპოვრად. ამასთან, ზოგადი ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური მეცნიერების ცალკეული სფეროების კვლევა-ძიება დაყვანილი იყო უსაგნო სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკამდე.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე სტრატეგიულ შენაძენად „მოკურ თერაპიაზე“ დაყრდნობილი „სოციალური დარვინიზმის“ თეორია იქნა მიჩნეული, რომლითაც ქვეყნის ეკონომიკა ფაქტობრივად მაფიოზური და სპეკულაციური კლანების ინტერესებს დაექვემდებარა.

რეფორმების განვლილი პერიოდის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური თეორიის ელემენტარული ცოდნის გარეშე, დიდეტანტის დონეზე ათვისებული მონეტარისტული თეორიის პოსტულატებით განხორციელდა „მოკური თერაპიის“ დოგმების მხოლოდ ერთი ნაწილი, სადაც ვაჭრობისა და ფასების ლიბერალიზაცია რეფორმების ამოსავალ მომენტად იქნა მიჩნეული.

თანამედროვე ეკონომიკურმა მეცნიერებამ მარქსიზმის კრიზისიდან შესაბამისი დასკვნები ვერ გააკეთა და დღესაც უშეგებს შეცდომას, როდესაც ასაბუთებს, რომ ყველაზე ჭეშმარიტია ნეოკლასიკური თეორია და მხოლოდ მისი ცოდნა შეგვიწუბოს ხელს, რომ ავაშენოთ საბაზრო ეკონომიკა. ეს კი იმასზე მიგვანიშნებს, რომ საბაზრო ეკონომიკური სისტემის გარდა, თითქოს არასოდეს არ იყო და არც მომავალში იქნება სხვა ეკონომიკური სისტემა.

არც ერთ ეკონომიკურ სისტემას არ შეუძლია წარმატებით ფუნქციონირება ჭეშმარიტი ეკონომიკური თეორიის ათვისების გარეშე. მაგრამ დღეს ცალკეული განვითარებადი ქვეყნებისათვის მორგებული თეორია არ არსებობს. დასავლეთის მოწი-

ნავე ეკონომისტების მიერ შექმნილი „ეკონომიკსად“ წოდებული ეკონომიკური თეორია ოპტიმალურად ესადაგება მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის სისტემას და ნაკლებად გამოსაყენებელია პოსტსოციალისტური ქვეყნების საბაზრო ურთიერთობათა თეორიულ საფუძვლად. რეალურად, მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია.

პოსტსოციალისტური ქვეყნების მეცნიერ ეკონომისტთა ნაწილი ცალ-ცალკე წარმოგვიდგენს პოლიტიკურ ეკონომიკასა და ეკონომიკის, უფრო მეტიც, ზოგიერთი ეკონომიკურ თეორიას პოლიტიკონომიკასთან აიგივებს, ზოგიერთი მეცნიერი კი – ეკონომიკის მოძღვრებას აქებ-ადიდებს.

არასწორია იმ მეცნიერ ეკონომისტთა მოსაზრებაც, რომლებიც ასაბუთებენ გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური ეკონომიკის ან ეკონომიკური თეორიის შექმნის აუცილებლობას.

არ უნდა დაგვაიწყდეს რომ ეკონომიკური თეორია ერთიანი, მწყობრი მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას (დიალექტიკას), ეკონომიკურ კანონთა სისტემის ფუნქციონირებას წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში, „ზოგადსაკაცობრიო და გლობალურ ეკონომიკურ პრობლემებს“.

სერიოზულ კვლევას მოითხოვს შერეული, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოდელი, რომელიც საქართველოს პირობებისათვის მიჩნეული უნდა იქნეს ოპტიმალურ მოდელად.

კიდევ ერთი სადავო საკითხის შესახებ. საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირებისა და მასში სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ფუნქციონირების შესახებ მოსაზრება არასწორი და ჭეშმარიტებას მოკლებულია. მართალია, განვითარებული ქვეყნების საბაზრო ეკონომიკა მე-19-20 საუკუნეში ეყრდნობოდა ფილოსოფიას მასზე, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერთოს ეკონომიკაში, ან რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჩაერიოს და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება უნდა მიახლოს ბაზარს მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ცხოვრებამ მოითხოვა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მინიმიზაციის პრინციპის შეგნებული გააზრება. სწორედ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გაძლიერების შედეგად მიღწეული იქნა მონოპოლიების რეგულირება და ქვეყნის იმ ამოცანების აღება, რომლის გადაწყვეტა მეწარმეობას, ნაკლებად ეფექტიანობის გამო, არ შეუძლია, ყველგან და ყოველთვის ყოფიერება განსაზღვრავდა ცნობიერებას და დღესაც განსაზღვრავს, რამდენად ეს ასეა, სახელმწიფომ მარეგულირებელი როლი უნდა შეასრულოს გარდამავალ პერიოდში ახალი ეკონომიკური სისტემის ჯერ ფორმირებისა და მერე მისი განვითარების უზრუნველყოფის პროცესში.

სერიოზულ კვლევას ექვემდებარება თანამედროვე ფინანსური ეკონომიკის თეორიული ასპექტები. მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან ფინანსების

როლის კოლოსალურმა გაძლიერებამ თვისებრივი ცვლილებები გამოიწვია ფინანსურ ურთიერთობებში. წარმოიშვა ეკონომიკის ვირტუალური სტრუქტურირება: მატერიალურ ფასეულობათა შემქმნელი რეალური ეკონომიკიდან აღმოცენდა ეკონომიკა, რომელიც სულ უფრო იქვემდებარებს პირველს თავისი შემოსავლებით და ისეთ დონეზე გაძლიერდა, რომ მას საზოგადოებაში მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს ეკონომიკაზე უფრო დიდი როლი დაეკისრა, ე.ი. წარმოიშვა ეკონომიკა პირობითი, ანუ სიმბოლური, ფულის მექანიზმის დონეზე – სიმბოლური ეკონომიკა, ანუ გიგანტური სიმბოლური კაპიტალის ეკონომიკა. ამრიგად, მსოფლიოში ჩამოყალიბდა ახალი გაბატონებული ეკონომიკური სისტემა – ფინანსური ეკონომიკა.

ფინანსური ეკონომიკის საფუძველია ის ღრმა ცვლილებები, რომლებსაც ადგილი აქვს მსოფლიო მეურნეობის წიაღში, კერძოდ, ტრანსფორმაცია ეროვნულ მეურნეობებში, ადამიანებს შორის ურთიერთობებსა და მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში. ამ ასპექტში მისახედია გლობალიზაციის პრობლემებიც.

ფართო კვლევა-ძიებას ექვემდებარება ინდიკატური დაგეგმვის აქტუალური პრობლემები, რომელთა შორის საყურადღებოა: პროგნოზირებისა და დაგეგმვის, ინდიკატური გეგმის იაპონური, ფრანგული და ჩინური მოდელები, მათი ფუნქციები და ინსტრუმენტარები და ინდიკატური დაგეგმვის ფორმირების საფუძველები საქართველოში.

მეცნიერულ საფუძველზე შედგენილი ინდიკატური გეგმა ორგანულად აერთიანებს ერთიან კონცეფციურ დოკუმენტში ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, სახელმწიფო პროგრამების პროგნოზულ გათვლებს, რეგულირების სისტემას, სახელმწიფო ინვესტიციების მოცულობებს და მაკროდონეზე ფორმების, საოჯახო მეურნეობებისა და სხვა სამეურნეო სტრუქტურების ფუნქციონირებაზე ზემოქმედების შესაძლებლობებს.

საყურადღებოა ერთი მომენტიც. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინდიკატური გეგმა არ შეიძლება სამეურნეო სუბიექტების შესასრულებლად სავალდებულო იყოს, მაგრამ დიდ ნაწილში (სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები, სახელმწიფო შეკვეთები, ფასებისა და ტარიფების მარეგულირებელი ფუნქციები და ა.შ.), განსაკუთრებით, მაკროდონეზე, მას დირექტიული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის ფუნდამენტურ და საბიუჯეტო პოლიტიკის თეორიული ასპექტების კვლევას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს მიქცეული ფინანსური მართვის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემების დასაბუთებას და მათი დაძლევის გზების გამოჩვენებას.

ასეთია მოკლედ ის საკითხები, რომელთა გამოკვლევა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები

ფ
ი
ნ
ს
ს
ს
ს
ს
ს

სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ფინანსური კონტროლის გამოცდილების, დაგროვებული ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო დონეზე გავრცელება ხელს უწყობს უფრო ეფექტური და შედეგიანი ფინანსური აუდიტის ჩატარებას.

ფინანსური კონტროლის სფეროში დაგროვილი პროგრესული გამოცდილებების გაზიარებას უზრუნველყოფენ ამ პროფილით შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

• **INCOSAI** Internacional Congress for Supreme Audit Institutions -უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების საერთაშორისო კონგრესი;

• **INCOSAI** -International Organization of Supreme Audit institutions-უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების საერთაშორისო ორგანიზაცია-მისი მუდმივმოქმედი ოფისი მდებარეობს ავსტრიის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციაში. საქართველოს კონტროლის პალატა

INTOSAI-ს 159-ე სრულყოფილიანი წევრი გახდა 1992 წლის ოქტომბერში მე-14 კონგრესზე, რომელიც ჩატარდა ქალაქ ვაშინგტონში.

• **EUROSAI** - European Organization of Supreme Audit Institutions-უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების ევროპის ორგანიზაცია; მისი მუდმივმოქმედი ოფისი მდებარეობს ესპანეთის აუდიტორულ სასამართლოში. საქართველოს კონტროლის პალატა **EUROSAI**-ს სრულყოფილიანი წევრი გახდა 1993 წელს ქალაქ პრადაში;

• **ASOSAI**-Asian Organization of Supreme Audit Institutions უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუციების აზიის ორგანიზაცია; მისი მუდმივმოქმედი ოფისი მდებარეობს ინდოეთის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციაში, საქართველოს კონტროლის პალატა **ASOSAI**-ს სრულყოფილიანი წევრი გახდა 2004 წელს ფილიპინებში, მანილაში.

ზემოაღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურ საქმიანობას ეწევიან სახელმწიფო ფინანსური კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებისა და სრულყოფის მიმართულებით. ამის აუცილებლობა თავი

ნამედროვე ეტაპზე განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გადრმავებით, უცხოური ინვესტიციების რეგულირების სრულყოფისა და მათი ეფექტიანობის ამაღლებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ფინანსური რესურსების კანონიერი, მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფით.

ფინანსური კონტროლის საერთაშორისო ორგანიზაციებს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის გადრმავების მიუხედავად, არ მოუხდენიათ სახელმწიფო კონტროლის (აუდიტის) საერთაშორისო სტანდარტების შემდგომი სრულყოფა და განვითარება, რამაც მკაფიოდ იჩინა თავი დღევანდელ ეტაპზე და დღის წესრიგში დააყენა აღნიშნული პრობლემის სწრაფად გადაწყვეტის აუცილებლობა. ამავე დროს საერთაშორისო ბუღალტერთა ფედერაციამ (**International Federation of Accountants**) გამოაქვეყნა რიგი იმ საერთაშორისო აუდიტის სტანდარტებისა, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ორგანიზაციების მიერ გამოყენება.

ბოლო წლებში სახელმწიფო სექტორში აუდიტის სტანდარტებს დიდი ყურადღება ეთმობა. 80-იან წლებში საერთაშორისო ბუღალტერთა ფედერაციამ ჩამოაყალიბა სახელმწიფო სექტორის კომიტეტი, რომელიც სახელმწიფო სექტორის ფინანსური ანალიზისა და აუდიტისათვის ამზადებს ანგარიშებს, სახელმწიფო სექტორის აუდიტორების უფრო ეფექტური და ორგანიზებული მუშაობისათვის.

ბევრ ქვეყანაში, სადაც დანერგილია პროფესიული ფინანსური ექსპერტიზა, ჩამოყალიბდა საკუთარი ნაციონალური ფინანსური კომიტეტები, რომელიც აუდიტორების მუშაობის მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

1991 წელს **INTOSAI**-ის წევრ ქვეყნების უმაღლესი სახელმწიფო ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოების პრეზიდენტების შეხვედრაზე ჩამოყალიბდა სპეციალური სამუშაო ჯგუფი სახელმწიფო სექტორის აუდიტის სტანდარტებზე. ეს ჯგუფი თავდაპირველად შესდგებოდა დანიის, ესპანეთის, იტალიის და ნიდერლანდების წარმომადგენლებისგან, მოგვიანებით მათ შეუერთდნენ დიდი ბრიტანეთი (1994) და შვეიცია (1996). ამ ჯგუფის ხელმძღვანელობას ახორციე-

ლებს ევროპის აუდიტორული სასამართლო.

სპეციალური სამუშაო ჯგუფი ძირითად ყურადღებას უთმობს სახელმწიფო სექტორის აუდიტის მეთოდოლოგიურ ასპექტებს და უპირველეს ყოვლისა აუდიტის სახელმძღვანელო პრინციპებსა და სტანდარტებს.

ამ ჯგუფის შექმნის მიზანს შეადგენდა, რომ მათ მიერ შემუშავებული აუდიტორული სტანდარტები გამოყენებული ყველა მნიშვნელოვანი აუდიტორული შემოწმების დროს.

1999 წლისათვის აღნიშნულმა ჯგუფმა, INTOSAI-ის სტანდარტებზე დაყრდნობით, შეიმუშავა თხუთმეტი „ევროპული სახელმძღვანელო პრინციპის“ კომპლექტი, რომლებშიც ასახულია აუდიტის უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური საკითხები: შემოწმების დაგეგმვა, შიდა კონტროლის მუშაობის სისტემის შემოწმება, შემოწმებისას მტკიცებულებების შეგროვება, ანალიტიკური პროცედურების შესრულება, სხვა აუდიტორებისა და ექსპერტების დახმარება, ჩატარებული აუდიტის ანგარიშის მომზადება და ა.შ.

ევროპის რიგი წამყვანი ქვეყნების უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოები იყენებენ ნაციონალურ სტანდარტებზე დაფუძნებულ რევიზიის მეთოდებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია საერთაშორისო ბუღალტერთა ფედერაციის მიერ გამოცემულ რევიზიის საერთაშორისო სტანდარტებთან.

სახელმწიფო ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო გამოცდილების დანერგვის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1977 წელს ლიმის XI კონგრესზე მიღებული INTOSAI-ის დეკლარაცია ფინანსური კონტროლის ძირითადი პრინციპების შესახებ.

დეკლარაციაში, რომელიც შეიძლება ითქვას სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ორგანოთა კონსტიტუციურ საფუძველს წარმოადგენს, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საჯარო სახსრების კანონიერი და რაციონალური გამოყენების მონიტორინგის მიზნით საჭიროა ყველა სახელმწიფოს გააჩნდეს საანგარიშო (ფინანსური კონტროლის - ავტ.) უწყება, რომლის დამოუკიდებლობის გარანტი კანონი იქნება. ასეთი უწყების არსებობა იმითაცაა განპირობებული, რომ სახელმწიფოს საქმიანობა ეკონომიურ და სოციალურ სფეროებში თანდათანობით ფართოვდება და ამით არსებული საჯარო საფინანსო საქმიანობის საზღვრებს სცილდება კიდევაც. გარდა ამისა, საჯარო სახსრების სწორი და ეფექტიანი გამოყენება, ეკონომიკის ოპტიმალური მართვა, სახელმწიფო ად-მინისტრაციული სამსახურების კანონიერი სა-

ქმიანობა, ასევე საზოგადოების ინფორმირება სახელმწიფო სახსრების ხარჯვისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების შესახებ სახელმწიფოთა სტაბილურობისა და განვითარების აუცილებელ პოსტულატებს შეადგენენ.

სვენი აზრით, დღევანდელ ეტაპზე ფინანსური კონტროლის დამკვიდრებული პრაქტიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლიმის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ დებულებებს ფინანსური შემოწმების მიზანთან დაკავშირებით. კერძოდ, მასში მკაფიოდაა განმარტებული, რომ ფინანსური კონტროლი არის სახელმწიფოს საჯარო სახსრების ეფექტიანი მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ამასთანავე, კონტროლი არ არის თვითმიზანი, არამედ იგი მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობის შემადგენელი ელემენტია და მისი უმთავრესი მიზანია საფინანსო საქმიანობის კანონიერების, მიზნობრიობის და ეფექტიანობის დადგენილი ნორმებისაგან გადახრის ან მათი დარღვევის გამოვლენა, რათა გატარდეს მათი თავიდან აცილების ღონისძიებები, აგრეთვე დაფარული იქნას სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი ან კიდევ მიღებულ იქნას ზომები, რომლებიც მომავალში თავიდან აიცილებდა ან სულ ცოტა შეამცირებდა ამგვარ დარღვევას.

დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ ინსტიტუციური ფუნქციონალური და ორგანიზაციული დამოუკიდებლობით ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოების დამოუკიდებლობა კანონმდებლობით არის გამყარებული. მაკონტროლებელი ორგანოების მუშაობის მნიშვნელოვანი პრინციპია მისი საჯარობა, კომერციული და სხვა კანონით დაცული საიდუმლოებების კონფიდენციალურობის გათვალისწინებით.

დეკლარაცია აღნიშნავს, რომ უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოებს, შეუძლიათ თბიექტურად და ეფექტურად შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები, იმ შემთხვევაში თუ მათზე არ ხდება ზეგავლენა.

დეკლარაცია აღიარებს, რომ სახელმწიფო მაკონტროლებელი სტრუქტურის სრული დამოუკიდებლობა შეუძლებელია, ვინაიდან ისინი სახელმწიფოს ნაწილს შეადგენენ. უმაღლეს მაკონტროლებელ სტრუქტურას უნდა გააჩნდეს განსაკუთრებული ფუნქციონალური და ორგანიზაციული თავისუფლება, რაც აუცილებელია მათზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

დეკლარაციის შესაბამისად, უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს თავისუფლება უნდა

აისახოს ქვეყნის კონსტიტუციაში, მისი საქმიანობის დეტალები კი შეიძლება იყოს გათვალისწინებული შესაბამისი კანონით. კერძოდ, უნდა არსებობდეს იურიდიული გარანტია უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან, ნებისმიერი სახის წარვეცხა, რომელიც ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოს დამოუკიდებელ მუშაობას შეუშლის ხელს.

უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანო დამოუკიდებელი უნდა იყოს თავის არჩევანში, თუ რომელ ორგანიზაციაში ჩაატაროს რევიზია. ამასთან ამ ორგანოს მუშაკები არ უნდა ემორჩილებოდნენ არც ერთ სხვა ორგანოს მითითებას, თუ რომელ ორგანიზაციაში ჩაატარონ ან არ ჩაატარონ შემოწმება, რაც ცალსახად უნდა იყოს აღნიშნული კანონმდებლობაში.

დეკლარაცია აღნიშნავს, რომ უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანო უნდა ატარებდეს შემოწმებებს დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად.

უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოს დამოუკიდებლობა არ ეწინააღმდეგება, უმაღლესი საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ორგანოებიდან შემოთავაზებას გარკვეული შემოწმების ჩატარებისა, თუმცა ამ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ კანონით გათვალისწინებული უფლება აღნიშნული შემოთავაზების უარყოფის და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა.

ევექტური ფინანსური კონტროლისათვის აუცილებელია, რომ მაკონტროლებელი ორგანოები აღიჭურვონ ფართო უფლებამოსილებებით. შესაბამისად, დეკლარაციაში მითითებულია, რომ სახელმწიფოს ფინანსური საქმიანობა, განურჩევლად იმისა, აისახება თუ არა ეს სახელმწიფო ბიუჯეტში, მაინც უნდა გაკონტროლდეს უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოს მიერ. ბიუჯეტიდან რაიმე სახის სახსრების გამოყოფა, არ უნდა გახდეს მიზეზი, აუდიტისაგან თავის არიდებისა. ასევე, კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საქმიანობა (მაგალითად, საწარმო დაწესებულებები, რომლებიც იღებენ დოტაციას სახელმწიფოსაგან), ასევე გადასახადების გადახდის კონტროლი.

ფინანსური კონტროლი, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება საფუძვლიანი, როცა უმაღლესი ფინანსურ მაკონტროლებელ ორგანოებს ექნებათ საშუალება მიიღონ სრულფასოვანი ინფორმაცია. დეკლარაციის მიხედვით, უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოსათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დოკუმენტი, რომლებიც ეხება ფინანსურ აღრიცხვას. უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს მოხსენებითი და წე-

რილობითი ინფორმაცია შემოწმებაში მყოფი ორგანიზაციისაგან.

აღმოსანილი დარღვევების ოპერატიული აღმოფხვრისათვის, უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანო უნდა იყოს უფლებამოსილი, მიმართოს კომპეტენტურ ორგანოებს და მოითხოვოს დამნაშავეს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. ყოველწლიურად წარადგინოს მოხსენება ჩატარებული შემოწმებების შესახებ პარლამენტში ან სხვა კომპეტენტურ ორგანოში. აღნიშნული მოხსენება უნდა იყოს გამოქვეყნებული, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას და საქმიანობის გამჭვირვალობას.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ ძირითადად პასუხობს ღიმის დეკლარაციის ძირითად პრინციპებს და მოთხოვნებს, თუმცა იგი დღევანდელი პირობებისათვის მოძველებულია და რადიკალურ ტრანსფორმაციას საჭიროებს.

საქართველოს კონსტიტუციის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილია შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა და ამ სახის სამუშაოებს პალატა ახორციელებდა 2005 წლამდე. ახალ საგადასახადო კოდექსში და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შეიკვეცა კონტროლის პალატისათვის კონსტიტუციით მინიჭებული ეს უფლებამოსილება. კონტროლის პალატას დღეისათვის არა არქვს უფლება შეამოწმოს საგადასახადო და საბაჟო ორგანოების საქმიანობა, შეისწავლოს გადამხდელთა საგადასახადო საქმეები, მათი ბიუჯეტიდან ანგარიშსწორების ამსახველი დოკუმენტები და ა. შ. შედეგად ამისა, სახელმწიფო შემოსავლებთან დაკავშირებული საკითხები საპარლამენტო კონტროლის მიღმა დარჩა, რაც რა თქმა უნდა ეწინააღმდეგება ღიმის დეკლარაციის მოთხოვნებს. აღნიშნული დეკლარაციის თანახმად უმაღლესმა მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა განახორციელოს გადასახადების აკრეფის ყოველსმომცველი შემოწმება და ამავე დროს მას უნდა ჰქონდეს გადამხდელთა ინდივიდუალური აქტების შესწავლის უფლება. მაკონტროლებელმა ორგანომ უნდა დაადგინოს გადასახადების აკრეფის სისტემის ეფექტიანობა, ასევე შემოსავლების პროგნოზული მანუვრებლების შესრულება და თუ საჭიროა, საკანონმდებლო ორგანოს შესთავაზოს არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესების წინადადებები და რეკომენდაციები. ამდენად, შემოსავლების ადმინისტრირების

ორგანოების საქმიანობის შემოწმება გარე მაკონტროლებელი ორგანოს მიერ აღიარებულია საერთაშორისო პრაქტიკით და სტანდარტებით, რაც უთუოდ უნდა იქნას გათვალისწინებული საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ფინანსური კონტროლის სფეროში ამჟამად მოქმედ სამართლებრივ დოკუმენტებში საერთაშორისო მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროებს კორექტირებას, არის სახელმწიფოს წილის მქონე სამეურნეო სუბიექტების შემოწმების საკითხი. ასეთ საწარმოებთან დაკავშირებით, ლიმის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო თავისი ეკონომიკური საქმიანობის არეალს აფართოებს კერძო სამართლის საწარმოებში მონაწილეობით. ამგვარი საწარმოებიც უნდა წარმოადგენდნენ უმაღლესი ფინანსური მაკონტროლებელი ორგანოს შემოწმების ობიექტს. როგორც ჩანს, ამ საკითხის დარეგულირება დღის წესრიგში დადგა საქართველოს სინამდვილეში და შესაბამისად, კანონში „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საჭიროა ცვლი-

ლებების შეტანა იმ მიმართულებით, რომ პალატამ ჩაატაროს გარე აუდიტი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, სადაც მისი წილი განისაზღვრება 50 პროცენტით და მეტით.

გარდა ამისა, უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოს შესახებ კანონში გასათვალისწინებელია უფლება მოითხოვოს და მიიღოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ყველა ფინანსური ანაგარიშის ასლი იმ საწარმოებისაგანაც, სადაც სახელმწიფო ფლობს არსებითად მცირე წილს (20-დან 50 პროცენტამდე), რათა ამ კატეგორიის საწარმოებში ჩატარდეს ეფექტიანობის აუდიტი.

ზემოაღნიშნული წინადადებების პრაქტიკული რეალიზაციის შემთხვევაში საქართველოში ფინანსური კონტროლის პრაქტიკა მიუახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს და რაც მთავარია, საპარლამენტო კონტროლს მიღმა არ დარჩება ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობის პირობებში სახელმწიფო ფინანსურ კონტროლს არ ექვემდებარებიან.

ლიტერატურა და წყაროები:

1. მესხია ი., სახელმწიფო ფინანსური კონტროლი: განვითარების კონცეფცია, თბილისი, 2006, 143 გვ.
2. მესხია ი., სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სამართლებრივ-ორგანიზაციული პრობლემები, ჟურნ., „ფინანსები“, №3, 2005, გვ. 5-13.
3. Родионова В. М., Шлейников В. И. Финансовый контроль, М.: ФВК-ПРЕСС, 2002, 320 с.
4. Рябухин С., Климатов С. Аудит эффективности государственного сектора экономики, М.: Триада ЛТД, 2006, 304 с.
5. Саунин А. Н. Аудит эффективности использования государственных средств: Вопросы теории и практики, М.: Высшая школа, 2005, 311 с.
6. Government Auditing Standarts (2003 Revision), Washington, 2003.

დალი სოლოლაშვილი
ეკატერინე უდესიანი

საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის საკითხები

ფ
ი
ნ
ს
ქ
ბ
ი

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების წარმართვაში საგადასახადო პოლიტიკას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის. გადასახადი სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების ფინანსური საშუალებაა. საზოგადოების, როგორც სოციალურ-პოლიტიკური ერთობლიობის ჩამოყალიბებაში მისი წევრების თანაცხოვრების და წარმატებით ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი წესების დამუშავებული და გამტარებული სპეციალური სამსახურის შექმნა განაპირობა. ამ ორგანოს (სახელმწიფოს) საქმიანობაზე საზოგადოებრივი მოთხოვნილება არსებობს, რომლის დაკმაყოფილება საზოგადოებისა და მისი წევრებისადმი მომსახურებაა.

ამასთან ეს მომსახურება ძალზე თავისებურია, სპეციფიკურია. საქმე ისაა, რომ, როგორც წესი, საზოგადოების წევრებს ამ მომსახურებით სარგებლობის ერთნაირი პირობები გააჩნიათ, რომლებიც არ არის დაკავშირებული კონკრეტული პირის მიერ გადახდილი ბეგარის მოცულობასთან. ჩვეულებრივი საქონელ-მომსახურებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო მომსახურების წარმოება-შეფასების საკითხი ბაზრის სამეურნეო სუბიექტების შეთანხმების საფუძველზე კი არ ხდება, არამედ თვით ამ მომსახურების გამწვევის (სახელმწიფოს) გადაწყვეტილებით. ამიტომ არის, რომ სახელმწიფო მომსახურების საფასურს (გადასახადს) კონკრეტული ფიზიკური და იურიდიული პირები ვერ აღიქვამენ, როგორც შეძენილი დოვლათის შესაბამის ანაზღაურებას. პირიქით, ეს მათთვის შემოსავლის შემცირებაა არა მარტო ფორმალურად, არამედ არსობრივადაც.

სახელმწიფო მომსახურების ბეგარისებურ ხასიათს კიდევ უფრო განამტკიცებს სახელმწიფოს განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი, რომლებიც ყოველთვის როდი უწყობს ხელს გადასახადის სწორი, ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრას. დასავლურ ეკონომიკურ დიტერატურაში ფართოდ არის აღიარებული, რომ სახელმწიფო სექტორი თავის თავზე იმაზე მეტის აღებას, ე.ი. იმაზე მეტი მომსახურების გაწევას ცდილობს, ვიდრე საჭიროა რეალურად, მაშასადამე, გადასახადის მოცულობა ოპტიმალურზე მეტისაკენ მიისწრაფვის. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ნებისმიერი სახელმწიფო, რაგინდ დემოკრატიული არ უნდა იყოს ის, შინაგანი (იმანენტური) კანონზომიერებიდან გამომდინარე, როგორც წესი, პერმანენტულად თავისი მოცულობის „გაზრდასა და საქმიანო-

ბის საზღვრების გაფართოებას ცდილობს.

გადასახადს ეკონომიკაში ცალმხრივი ხასიათი კი არა აქვს, ეს იმ მომსახურების საფასურია ძირითადად, რასაც სახელმწიფო უწევს მოსახლეობას. მაშასადამე, ამ შემთხვევაში სახელმწიფო მიმთვისებელი კი არ არის, არამედ სამეურნეო პროცესების სუბიექტია. ქვეყანაში სახელმწიფო მომსახურება აუცილებელია, მასზე მოთხოვნა არსებობს და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის წარმართველი ხელისუფლების საქმიანობა ღირებულების, ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შექმნაა ფაქტობრივად და ის უნდა ანაზღაურდეს მომხმარებლის მიერ. გარდა ამისა, მართალია, გადასახადი იძულებითი წესით ამოიღება, მაგრამ ეს ამოღება არ ჰგავს სხვა სახის დაძალებით პროცესს. ვინმესთვის რამეს ძალით წართმევა ნებისმიერ ქვეყანაში კანონით ისჯება, გადასახადის დაძალებით აკრებას კი თვით ბეგარის გადამხდელების მიერ არჩეული პარლამენტის მიერ მიღებული კანონმდებლობა უზრუნველყოფს.

ამასთან, გადასახადის არსზე საუბრისას მის შემდეგ ხასიათს უნდა მიექცეს ყურადღება. მართალია, საზოგადოება სისტემატურად ადასტურებს თავის თანხმობას გადაიხადოს გადასახადი, აძლევს რა ხმას არჩევნებზე ამა თუ იმ პარტიის საგადასახადო პოლიტიკას, მაგრამ ეს საერთო თანხმობა გაიღოს გადასახადი სახელმწიფოებრივი მომსახურებისათვის არ გარდაიქმნება ამ საზოგადოების ყველა კონკრეტული წევრის მიერ ნებაყოფლობით განხორციელების სურვილად. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ გადასახადის გადამხდელს არ ძალუძს ზუსტად და ფულად გამოხატულებაში განსაზღვროს თავისი მოთხოვნა მმართველობის სახელმწიფო ორგანოების მომსახურებაზე; მან იცის, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას მოსახლეობა საგარეო თუ შინაგანი წარმოშობის უსიამოვნო მოვლენისაგან (საგარეო უსაფრთხოება თუ ქვეყანაში წესრიგის დაცვა), უზრუნველყოს ნორმალური პირობები მისი არსებობისა და სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობისათვის. მაგრამ რა ელირება ეს მომსახურება, რამდენი უნდა გაიღოს მოსახლეობამ გადასახადის სახით, საბოლოო ჯამში ეს მისთვის მნიშვნელოვანწილად გაურკვეველია. ამ პრობლემის გადაწყვეტა რთულია არა მარტო ამ მომსახურების მომხმარებლისათვის, არამედ სა-

ერთოდ, ვინაიდან ძალზე ძნელია სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შედეგად მიღებული სარგებლობის შეფარდება ამისათვის გაღებულ ხარჯებთან.

მაშასადამე გადასახადი არის საზოგადოების, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ერთობლიობის, ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭირო წესების დამუშავებული და გამტარებული სპეციალური ორგანოს (სახელმწიფოს) შენახვის ხარჯები, ამ ორგანოს მიერ საზოგადოებისათვის გაწეული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მომსახურების სპეციფიკური (იძულებითი, სავალდებულო-კანონმდებლობითი) ანაზღაურება.

გადასახადის ოპტიმალურობის საკითხი დღის წესრიგში დგას. საგულისხმოა ადამ სმითის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ყველაზე დაბალი საფეხურიდან კეთილდღეობის უმაღლეს საფეხურებამდე აყვანასათვის საჭიროა მხოლოდ ზომიერად მსუბუქი გადასახადები და მოთმინება მართვაში; სხვა დანარჩენს მოვლენების ბუნებრივი მსვლელობა მოაგვარებს.¹ სმითის მიერ ჩამოყალიბებულ ფუძემდებლურ პრიციპებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ეს ითქმის განსაკუთრებით „ზომიერად მსუბუქი ბეგარის“ სარგებლიანობის მოსაზრებაზე, რომლის თანახმადაც გადასახადის მოცულობა როგორც მთლიანად ეკონომიკისათვის, ისე მის სხვადასხვა სფეროებში ფუნქციონირებადი სუბიექტებისათვის უნდა იყოს შესაძლებლად მინიმალური, რომ მეწარმეებრივი საქმიანობისათვის ბეგარის ზეწოლა იყოს მოსათმენი, ასატანი, არ უნდა აღემატებოდეს ქვეყნის ეკონომიკაში რეალურად არსებულ საგადასახადო პოტენციალს.

ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით მოსაზრებას, რომ გადასახადს ორი ფუნქცია აქვს: ფისკალური და მასტიმულირებელი. ვფიქრობთ, გადასახადს, ბიზნესისათვის მხოლოდ შეზღუდვითი ხასიათი აქვს წარმოების საერთო ზრდაზე ზემოქმედების თვალსაზრისით: დასავლეთში მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით დამაჯერებლად აქვთ დასაბუთებული, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, ფულის ყოველი ერთეული მეტ უკუგებას იძლევა უშუალოდ ბიზნესის მიერ გამოყენებისას, ვიდრე ბიუჯეტის მეშვეობით განაწილების დროს. მასტიმულირებელი ხასიათი შეიძლება აქონდეს გადასახადის მხოლოდ ერთი მიმართულებით ცვლილებას - მისი საერთო მოცულობის შემცირებას. ამიტომ არის, რომ განვითარებულ ქვეყნებში, როდესაც ეკონომიკური ზრდის პრობლემები

დგება, როგორც წესი, გადასახადების საერთო მოცულობის შემცირებას ცდილობენ. გადასახადმა, განსაკუთრებით კი მისი განაკვეთის ცვლილებებმა, დიფერენციაციამ და შეღავათებმა, წარმოების მოცულობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით შეიძლება მხოლოდ მარეგულირებელი როლი შეასრულოს. ამიტომ, ალბათ, უფრო მართლზომიერია, ფისკალურთან ერთად, გადასახადის ფუნქციის მარეგულირებელი, მიმართველი და სტაბილიზაციური ხასიათის ხაზგასმა, ვიდრე მასტიმულირებლისა. რეალურ სინამდვილესთან ერთად, ბეგარის ასეთი არსებითი განსაზღვრა-გაგება ხელს შეუწყობს მის მიმართ საზოგადოებაში უფრო სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ოპტიმალური საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის შექმნას, გადასახადის შესაძლო მინიმუმაციის სარგებლობის განწყობის დამკვიდრებას.

ეკონომიკაში გადასახადის ოპტიმალური მოცულობის, სწორი საგადასახადო პოლიტიკის ჩამოყალიბების პრობლემა საზოგადოების განვითარების კვალობაზე არა მარტო არ მოიხსნა და არ შემსუბუქდა, არამედ, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად გამწვავდა კიდევაც. ეს დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცვლილებასთან, კაპიტალიზმის ტრანსფორმაციასთან, საბაზრო ეკონომიკის სოციალური მიმართულების განმტკიცებასთან, სახელმწიფო ფუნქციების გართულება-გაფართოებასთან, ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებასთან და, შესაბამისად, სახელმწიფო ხარჯების ზრდის ტენდენციასთან. სახელმწიფო ხარჯების ზრდის შედეგების ანალიზმა, ამის დადებითი და უარყოფითი ასპექტების შედარებამ და შეფასებამ განაპირობა მნიშვნელოვანწილად, ალბათ, ის აღმოჩენა, რომელიც გააკეთა ამრიკელმა მეცნიერმა ა. ლაფერმა. დაასაბუთა რა („ლაფერის მრუდეზე“) საგადასახადო წნეხისა და ეკონომიკის განვითარების დინამიკურობის განმაპირობებულობა: სამეურნეო სტრუქტურების შემოსავლის ნამეტანი მოცულობის გადასახადის დაბეგვრა უკარგავს მათ მეწარმეებრივ სტიმულს, აკნინებს წარმოების გაფართოების მისწრაფებას, ამუხრუჭებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ანელებს ეკონომიკურ ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად მოქმედებს თვით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალზეც. ამიტომ ზოგჯერ სასარგებლო და აუცილებელია გადასახადების მთლიანობაში შემცირება.

გადასახადით დაბეგვრის გავრცელებული თეორიები საფუძვლის სახით ითვალისწინებენ: - სახელმწიფოს მხრიდან გადამხდელზე გაწეუ-

¹ А. Смит. О природе и причинах богатства народов. М., 1962, стр. 588-599.

ლი მომსახურების სიდიდეს და - მოქალაქეების მიერ გადასახადების გადახდის შესაძლებლობას. გადახდისუნარიანობაზე დაყრდნობა ითვალისწინებს გადახდელზე გადასახადების ხეშეღობის თანაფარდობას. პრობლემა მდგომარეობს, სამწუხაროდ, გადახდისუნარიანობის შეფასების სუბიექტურობაში. დღემდე არ არსებობს მისი შეფასების ქმედითი ხერხი. სახელმწიფოს მხრიდან გაწეული მომსახურების სიდიდეზე დაყრდნობა ითვალისწინებს გადასახადის თანხის გატოვებას გაწეული მომსახურების თანხასთან.

სხვადასხვა ეკონომიკური თეორიები გადასახადის როლის ანალიზისას ყურადღებას ამახვილებენ გადასახადის სპეციფიკურ როლზე და მათი ცვლილებების შედეგებზე. გადასახადების შეფასების სხვადასხვაგვარობა თვალნათლივად გამოხატული კეინსიანური სკოლისა და „მიწოდების ეკონომიკის“ სკოლის მიდგომებში. კეინსიანური სკოლის ერთ-ერთ საბაზრო მოსახრებას წარმოადგენს ორიენტაცია მოთხოვნაზე, რომელიც ითვლება საბაზრო ეკონომიკის რეგულირების განმსაზღვრელად. აქედან გამომდინარე, კეთდება დასკვნა, რომ გადასახადების ზრდა გამოიწვევს მოთხოვნის დაცვას, ხოლო შემცირება - სტიმულირებას მოახდენს მოთხოვნაზე. კეინსიანური სკოლის დებულების შესაბამისად გადასახადების შემცირებას მივეყვართ ეთრობლივი მოთხოვნის ზრდისაკენ, რაც იძლევა ერთობლივი ერთეული პროდუქტის რეალურ მოცულობაზე მოთხოვნას და შეფასების ზრდას. ზემოაღნიშნულის შედეგად მოხალღონელია ინფლაციის დაჩქარება და საბიუჯეტო დეფიციტის წარმოქმნა.

„მიწოდების ეკონომიკის“ თეორია საბაზრო ეკონომიკის განვითარების საბაზო ფაქტორის სახით იყენებს საქონლის მიწოდებას. ამ შემთხვევაში საგადასახადო განაკვეთების შემცირებას მივეყვართ შემოსავლების ზრდისკენ. მოსახლეობა მიისწრაფვის დანახოვების ზრდისკენ, ხოლო მეწარმე - კაპიტალის დაგროვების ზრდისკენ. ზემოაღნიშნულის შედეგად იზრდება ერთეული წარმოება და შემოსავალი, რომელიც კი არ ამცირებს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებს, არამედ, პირიქით, ახდენს საბიუჯეტო შემოსავლის ზრდას.

როგორც ცნობილია, ერთ-ერთი პირველი გამოკვლევა გადასახადის განაკვეთისა და ბიუჯეტში საგადასახადო შენატანების საერთო თანხას შორის ურთიერთკავშირის შესახებ შესრულებულია ამერიკელ ეკონომისტთა ჯგუფის მიერ პროფესორ ა. ლაფერის ხელმძღვანელობით. მათ მიერ აგებულია თეორიული დამოკიდებულება მაქსიმუმის წერტილთან 50%-იანი გადასახადისას. ა. ლაფერის მრუდის ძირითადი წერტილებია: - გადასახადის ნელოვანი გა-

ნაკვეთის დროს ბიუჯეტში შემოსავლები არ შემოდის; გადასახადის 100%-იანი განაკვეთის დროს ბიუჯეტში შემოსავლები ასევე არ შემოდის; - ბიუჯეტში მაქსიმალური შემოსავლებია გადასახადის 50%-იანი განაკვეთის დროს.

რა თქმა უნდა, იდეალური თეორიის რეალიზება ყოველთვის განსაღვრული გადახრებით ხდება. ა. ლაფერის მრუდის საერთო ხასიათის შენარჩუნებით თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა მისი ძირითადი წერტილების დახუხუტება.

საგადასახადო სისტემა სახელმწიფოს სტრუქტურების მეშვეობით ორ ამოცანას წვევტს: ერთი მხრივ, გადასახადები სახსრებია, რომლებიც ამოიღება ინდივიდუალური საკუთრებიდან საზოგადოებრივი ღონისძიებების რეალიზაციისათვის, მეორე მხრივ, ეს ინდივიდუალური შემოსავლების გადახაწილებაა.

გადასახადებისა და გადახდის ნაირსახეობის სიმრავლე უკმაყოფილებას იწვევს არა მარტო მოსახლეობისა და მეწარმეების მხრიდან, არამედ ამით უკმაყოფილონი არიან ცალკეული მეცნიერი ეკონომისტებიც. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ასი წლის წინათ ამერიკელმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა ჰენრი ჯორჯმა წამოაყენა წინადადება, რომ ყველა გადასახადი შეეცვაღათ მიწაზე ერთადერთი გადასახადით. მიწის ქვეშ ის გულისხმობდა არა მარტო სოფლის მეურნეობრივ სავარგულებს და ობიექტების განთავსების ადგილს, არამედ მიწის წიაღში და მის ზედაპირზე ბუნებრივი სიმღიდრის მთლიან შემცველობას. მიუხედავად რეალობისა, ეს საკითხი დღესაც რჩება განზრახვის დონეზე.

გადასახადები იყოფა პირდაპირ და ირიბ გადასახადებად. პირველი დგინდება უშუალოდ შემოსავალზე და ქონებაზე, მეორე - საქონელზე (მომსახურებაზე) და ფიქსირდება საქონლის (მომსახურების) ფასში.

ცნობილია ირიბი გადასახადების სოციალური არასამართლიანობა. გადასახადი ერთნაირი ხარისხით უნდა ახდენდეს ზემოქმედებას მთელ მოსახლეობაზე, მაგრამ ეს უკანასკნელნი ფაქტობრივად უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენენ ნაკლებ შემოსავლიან პირებზე (მათ მიერ საქონლის ყიდვისას გადასახადები პირადი შემოსავლის უფრო მეტ წილს შთანთქავს). მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის ფენა მიმართავს სახსრების ნაწილს დანახოვებში, სადაც არ არის არაპირდაპირი გადასახადები, ამით მცირდება მათზე გადასახადების ხეშეღობა. აქციზები ატარებენ რეგრესიულ ხასიათს, ვინაიდან მათი მეშვეობით შეღარებით დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისაგან ხდება უფრო მეტის ამოღება, ვიდრე მღიდრებისაგან.

საინტერესოდ მიგვანია

კიდევ ერთი საკითხი. კერძოდ, დღეისათვის საგადასახადო სისტემაში ძირითად გადასახადებად ითვლება მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადები. ერთი ამუხრუჭებს საკუთარი განვითარებისათვის ინვესტიციებს, მეორე - მომხმარებელს. უმჯობესი ხომ არ იქნება მოგების გადასახადის გაუქმება და დამატებული ღირებულების გადასახადის გაზრდა. ვფიქრობთ აღნიშნული საკითხის მოგვარება დაინტერესებდა საწარმოებს, საკუთარი შემოსავლების მაქსიმალური ინვესტირებით.

საფუძვლიანად შესწავლას მოითხოვს აგრეთვე გადასახადებისა და სარგებლიანობის ურთიერთკავშირი. 1844 წელს ფრანგმა ინჟინერმა ჟ. დიუპიუმ გამოაქვეყნა ნაშრომი „სამოქალაქო ნაგებობების სარგებლიანობის შესახებ“, როგორია გზების სარგებლიანობა? ეს კითხვა დასვა ინჟინერმა და თავის ნაშრომში მისცა მეთოდოლოგიური პასუხი: „თუ საზოგადოება იხდის 500 მილიონს გზებით მომსახურებაზე, მაშინ მათმა სარგებლიანობამ უნდა შეადგინოს არანაკლებ 500 მილიონი. მაგრამ ის შეიძლება იყოს ასჯერ, ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანი, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩვეთვის შეიძლება ცნობილი არ იყოს“. პრობლემა იმაშია, რომ ყველა პროდუქტს და მომსახურებას აქვს სხვადასხვა სარგებლიანობა ცალკეული მომხმარებლისა და დროის ცალკეული მომენტისათვის.

ჩვენი აზრით, არამართლზომიერია გარკვეულწილად გარკვეულყოფილი მიდგომა, როდესაც მთლიანად ეკონომიკაზე გადასახადის წნეხის სიმძიმე-სიმსუბუქის შეფასებისას ერთმანეთს ადარებენ ამა თუ იმ გადასახადის სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ განაკვეთებს. ცალკეული გადასახადების მოცულობების შეფარდება. ალბათ, სწორია, ვინაიდან ამა თუ იმ ბეგარის გადახდელზე ძირითადად ერთი გადასახადი ზემოქმედებს, მ.შ. განსაკუთრებით პირდაპირი (ვთქვათ, მოგების გადასახადი, ქონების გადასახადი). მაგრამ ამ შემთხვევაშიც მარტო განაკვეთების შედარება საკმარისი არ არის სწორი დასკვნის გაკეთებისათვის. აუცილებელია აგრეთვე იმის ანალიზი, თუ როგორ განისაზღვრება ამა თუ იმ ქვეყანაში მეთოდოლოგიურად არსებული ბაზა.

ამასთან ცალსახად უნდა ითქვას, რომ ცალკეული გადასახადების ერთმანეთთან შედარება საგადასახადო პოლიტიკის მთლიანობაში შეფასებისათვის არასწორია. როგორც ცნობილია გერმანელი მეცნიერი ეკონომისტი პ. ფონ დელ პე აღნიშნავს, მთლიანად საგადასახადო წნეხის შეფასებისათვის ასეთი მიდგომა არამარ-

თლზომიერია, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნებში სრულიად განსხვავებული სისტემები მოქმედებს.² ცალკეული გადასახადების ანალიზის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები უპერსპექტივოა დასაბუთების თვალსაზრისითაც: დავა ასეთი მიდგომის პირობებში დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. საქმე ის არის, რომ ეკონომიკის განვითარება იმდენი პარამეტრით განისაზღვრება, იმდენად მრავალწახნაგოვანია, რომ ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს მაგალითები, როდესაც შედარებით მეტი საგადასახადო განაკვეთის პირობებში სამეურნეო აქტიუობა ძალზე ინტენსიურია; გარდა ამისა, სხვადასხვა გადასახადების ცალკეულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ განაკვეთებს საერთო არაფერი აქვს მთელ ეროვნულ მეურნეობაში არსებულ ბეგარისებურ დატვირთვასთან. მთელს ეკონომიკაში ერთობლივი შიდა პროდუქტის (ეშპ) გადასახადის მეშვეობით გადანაწილების მართლზომიერების, ქვეყანაში მეწარმეებისათვის საგადასახადო პოლიტიკის მთლიანობაში მისაღებობის შეფასებისათვის საჭიროა, ჩვენი აზრით, გაანგარიშებულ იქნეს აუცილებელი გადასახდელების მთელი მოცულობის შეფარდება ეშპ-თან. აქ კი გადასაწვევტი იქნება ბევრი მეთოდოლოგიური საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, იმასთან, თუ როგორ უნდა იქნეს გაანგარიშებული „საერთო გადასახდელების“ ეს მოცულობა, და, მეორე მხრივ, რას შეუფარდდეს ის - ერთობლივ შიდა პროდუქტს თუ წმინდა ეროვნულ შემოსავალს.

საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების საერთოდ აღიარებული მეთოდოლოგია, შესაბამისად, არ მოგვეპოვება ასეთი ოფიციალური სტატისტიკური მანუვლებელი, ამიტომ ხშირად ამ მოვლენის ამსახველ სხვადასხვა, მკვეთრად განსხვავებულ ციფრებს ვხვდებით. საქმე ის არის, რომ სხვადასხვა ავტორები, სამეცნიერო ცენტრები, სახელმწიფო სტრუქტურები ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე საგადასახადო ტვირთის გაანგარიშებისას სხვადასხვა ციფრებს სვამენ შეფარდების დროს როგორც მრიცხველში, ისე მნიშვნელში. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში შედეგები და მოვლენის შეფასება მკვეთრად განსხვავებულია. ვფიქრობთ, მართლზომიერია ამ საკითხში ამერიკელების მიდგომა, როდესაც წილადის მრიცხველში (აუცილებელი გადასახდელები), ჩვეულებრივ გადასახადებთან ერთად, შეაქვთ ანარიცხები სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებში (სოციალური გადასახადი): კომერციულ საქმიანობაზე გადა-

² Петер Фон дел Липпе. Экономическая статистика. Штутгарт, 1995, т. 1, стр. 399.

სახადის ზემოქმედების თვალსაზრისით მეწარმეთა საქმიანობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის სასარგებლოდ ამოიღება მათგან სავალდებულო გადასახადები.

აზრთა სხვაობა, განსხვავებული მეთოდოლოგიები, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს და იქნება კიდევაც შესაბამისი დასაბუთების პირობებში. ამასთან ერთი წესის დაცვა აუცილებელია: სხვადასხვა ქვეყნების მონაცემების ერთმანეთთან შედარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მანველებლები გაანგარიშებულია ერთიან მეთოდოლოგიურ საწყისებზე. თუ არადა ის, რასაც ჩვენთან ვხვდებით, როდესაც აუცილებელ გადასახადებში მხოლოდ პირდაპირი გადასახადები შეჰყავთ (ე.ი. მრიცხველი შემცირებულია), ხოლო ეშპ-ის მცოლლობას ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობას უმატებენ (ეს კი არსად არ კეთდება), ე.ი. საგრძობლად ზრდიან მნიშვნელს, ასეთი წესით მიღებული წნეხი ხელოვნურად შემცირებულია (7-10%, ნაცვლად ზემოდასახელებული მეთოდოლოგიით გაანგარიშებული 40-45 პროცენტისა).

საქართველოს ეკონომიკის ბოლო წლების განვითარების ანალიზი მიგვანიშნებს, რომ საგადასახადო პოლიტიკაში საგადასახადო ტვირთის მინიმიზაციის განწყობის დამკვიდრება და გატარება საჭირო. ეს კი, ერთი მხრივ, განაკვეთების შემცირების პარალელურად ბიუჯეტში ზომიერი გადასახადების საშუალებით მყარი შემოსავლების აკრების უზრუნველსაყოფად საგადასახადო დისციპლინის მკვეთრ განმტკიცებას მოითხოვს - გადასახადის გადახდა რომ აუცილებელი და გარდაუვალია, ამაში ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს ქვეყანაში ფუნქციონირებად არც ერთ სამეურნეო სუბიექტს, იურიდიულ და ფიზიკურ პირს. მეორე მხრივ, ასევე აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ ცალსახად აღიქვას არსებული შესაძლებლობის ფარგლებში ცხოვრების აუცილებლობა: სახელმწიფოს ხარეჯები, როგორც წესი, იმაზე მეტი არ უნდა იყოს, რისი ატანაც შეუძლია მის ეკონომიკას, ისინი არ უნდა აღემატებოდეს ქვეყნის ეროვნული მეურნეობის საგადასახადო პოტენციალს.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის შესრულების უზრუნველყოფაში, საერთო ბეგარისებური წნეხის საკითხის მოგვარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს გადასახადების

სტრუქტურას, ვინაიდან კონკრეტული სამეურნეო სუბიექტების სამეწარმეო საქმიანობის აქტივობაზე უშუალოდ სწორედ კონკრეტული გადასახადი (მისი განაკვეთი) მოქმედებს. გადასახადების განაკვეთის მოცულობის (ან ცვლილებების) განსაზღვრისას მათი წარმოებაზე ზემოქმედების დადგენის მიზნით კი აუცილებელია გადასახადების წყაროებში დეტალური გარკვევა, იმის გათვლა-პროგნოზირება, თუ რა სტრუქტურული ცვლილებების პროვოცირება შეუძლია მიღებულ გადაწყვეტილებას. საქმე ისაა, რომ ზოგ შემთხვევაში და ზოგიერთი ბეგარა გარკვეულ ფარგლებში ნეიტრალურია წარმოების მიმართ, ზოგჯერ კი მყისვე მოქმედებს.

სამეურნეო სუბიექტების ეკონომიკური აქტივობის ზრდის უზრუნველყოფი საგადასახადო პოლიტიკის შექმნისათვის აუცილებელია აგრეთვე იმაში გარკვევა, თუ წარმოების როგორ სტრუქტურასთან გვაქვს საქმე. გასაგები უნდა იყოს, რომ ქონებაზე მაღალი გადასახადის დაწესებას დესტიმულირებადი ხასიათი ექნება კაპიტალტევადი დარგებისათვის; ამავდროულად ეს ღონისძიება შედარებით ნეიტრალურია იმ საწარმოებისათვის, სადაც მაღალი შრომის დანახარჯები და ა.შ.

ზემოგამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მიგვანია, რომ საჭიროა ეროვნულ მეურნეობაზე საგადასახადო წნეხის საერთო (ე.ი. ქვეყნის ეკონომიკისათვის ყველაზე ოპტიმალური) ზღვრული მოცულობის საფუძველზე (ფარგლებში) დამუშავდეს გადასახადების დიფერენცირებული განაკვეთები, რომელთა მოქმედება უზრუნველყოფს ეკონომიკაში სასურველ სტრუქტურულ ცვლილებებს. ეს განაკვეთები, რა თქმა უნდა, არ იქნება ისეთი ხანგრძლივი მოქმედებისა, როგორც საერთო ზღვრული საგადასახადო წნეხი, მათი შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხი შეიძლება დადგეს და გადაწყდეს, გამომდინარე ეკონომიკაში არსებული კონკრეტული ამოცანებიდან, ადრე დაწესებული განაკვეთების მოქმედების შედეგად ჩამოყალიბებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე. ამასთან გადასახადების განაკვეთების მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ პერიოდში სტაბილურობის აუცილებლობის პრიციპი განუხრეკლად უნდა იყოს დაცული.

ლიტერატურა და წყაროები:

1. კაკულია რ., ფინანსების ზოგადი თეორია. თბ., 2001.
2. პაპავა ვ., რას მოგვცემს გადასახადების შემცირება? ე. „მაკროეკონომიკა“, №4, 2001.
3. ჩიხლაძე ნ., საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. ქუთაისი, 2004.
4. Смит А., О природе и причинах богатства народов. М., 1962.

ბორის ქიქინაძე

პ რ ი ნ ს კ ბ ი

გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოში

თანამედროვე პირობებში ბიზნესის საკანონმდებლო რეგულირება არცთუ იშვიათად საგადასახადო ორგანოების განუზომელ უფლებებთან არის გაიგივებული. პრაქტიკაში ხშირია გადამხდელთა უფლებების იგნორირების ფაქტები, რაც ხელს უწყობს არასასურველი კლიმატის ფორმირებას. ხარვეზებისაგან არც ჩვენი კანონმდებლობაა დაზღვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლში წარმოდგენილია გადასახადის გადამხდელთა უფლებები. კერძოდ, გადამხდელს უფლება აქვს საგადასახადო ორგანოებიდან მიიღოს ინფორმაცია საგადასახადო კანონმდებლობის, გადასახადის გადამხდელთა უფლებების, საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა უფლებამოსილებების შესახებ, დროულად დაიბრუნოს ან ჩაითვალოს სხვა გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში ზედმეტად გადახდილი ან ზედმეტად ამოღებული გადასახადის და სანქციის თანხა, ასევე საგადასახადო ორგანოთა თანამდებობის პირებს მოსთხოვოს კანონმდებლობის დაცვა გადასახადის გადამხდელთან დაკავშირებულ მოქმედებათა განხორციელებისას, კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს მისთვის წარდგენილი საგადასახადო მოთხოვნა, აგრეთვე საგადასახადო ორგანოთა და მათი თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები და ქმედებები, სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს, გარდა საგადასახადო ორგანოებისა არ წარუდგინოს დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია გადასახადებით დაბეგვრის ობიექტების განსაზღვრასთან.

გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვა გარანტირებულია საგადასახადო კოდექსით, სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან ყველა ქვეყანა ვალდებულია დაიცვას წინამორბედი გადამხდელად რეგისტრირებული პირები. ჩვენს ქვეყანაში მოქმედი დღევანდელი საგადასახადო კოდექსი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინამორბედი საგადასახადო კოდექსისგან,

რადგან ამ კოდექსით ბევრად უფრო გარანტირებულია გადამხდელთა უფლებების დაცვა და გადამხდელთა ინფორმაციის საიდუმლოება. საგადასახადო კოდექსში გათვალისწინებულია უცხოეთის განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება (ბევრ ქვეყანაში გადამხდელთა დაცვის სხვადასხვა ფორმა არსებობს. მაგალითად, გერმანიაში გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის დავა პირველ რიგში განხილულ უნდა იქნას საგადასახადო ორგანოებში, შემდეგ კი სასამართლო უწყებაში, საგადასახადო დავის განხილვის გარეშე სასამართლო წარმოებაში საქმეს არ მიიღებს. აშშ-ში საგადასახადო დავა შეიძლება განხილულ იყოს სასამართლოში საგადასახადო დავის განხილვის გარეშე, ჩვენს ქვეყანაში კი გადამხდელს შეუძლია პირდაპირ მიმართოს საგადასახადო დავის გადასაწყვეტად სასამართლოს. აღნიშნული საკითხი რეგულირდება საგადასახადო კოდექსის 146-ე მუხლით, სადაც აღნიშნულია რომ საგადასახადო დავის გადაწყვეტის ფორმებია: ა) დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით; ბ) დავის გადაწყვეტა სასამართლოს მიერ.

გადასახადის გადამხდელი ვალდებულია საგადასახადო დავის გადაწყვეტის ფორმის არჩევის შესახებ აცნობოს საგადასახადო ორგანოს. განვითარებულ ქვეყნებში მაქსიმალურად ცდილობენ გადამხდელთა უფლებების დაცვას, რადგან სწორედ გადასახადის გადამხდელთა ნორმალურ ფუნქციონირებაზე დამოკიდებული ქვეყნის ფინანსური უსაფრთხოების საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით გარანტირებულია გადასახადის გადამხდელთა უფლებები, მაინც არსებობს საგადასახადო კოდექსში გადამხდელთა უფლებების დაცვის მხრივ რამდენიმე გაურკვეველობა, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებს რეაგირებას. ასეთია მაგალითად, საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლში მოცემული საკითხი. საქმე ეხება გადასახადის გადამხდელის წერილობით განმარტებას საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ხშირ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელი კარგად ვერ აღიქვამს საგადასახადო კოდექსით მოცემულ განმარტებებს და დებულებებს, ამიტომ გადამხდელი საჭიროებს საგადასახადო ინსპექციის მხრიდან გან

მარტებს ამ თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად საგადასახადო ორგანოს უფროსი ან მისი მოადგილე უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს ან სხვა ვალდებულ პირს გაუგზავნოს წერილობითი განმარტება, რომელიც გამოხატავს საგადასახადო ორგანოს პოზიციას პირის მიერ შესრულებული ან შესასრულებელი სამეურნეო ოპერაციისას საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ, მაგრამ აღნიშნული განმარტება წარმოადგენს რეკომენდაციას და მას არა აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა. აქედან გამომდინარე გამოდის, რომ თუ გადასახადის გადამხდელი წერილობით მიმართავს საგადასახადო ორგანოს კოდექსში მოცემული ამა თუ იმ გაურკვეველ საკითხთან დაკავშირებით და საგადასახადო ორგანოდან მიიღებს განმარტებას, მაშინ ამ განმარტებას იურიდიული ძალა არ აქვია, ამ შემთხვევაში გაურკვეველია და არც საგადასახადო კოდექსი არ გვაძლევს განმარტებას თუ ამ შემთხვევაში ვის უნდა მიმართოს გადამხდელმა მისთვის გაურკვეველი საკითხის განმარტების მიზნით: საგადასახადო დეპარტამენტს, ფინანსთა სამინისტროს თუ სხვა ოფიციალურ კომპეტენტურ ორგანოს. ეს საკითხი საჭიროებს საგადასახადო კოდექსში შესაბამის ცვლილებებს, რათა უფრო თვალნათელი იყოს ამ კუთხით ბუნდოვნად დარჩენილი საკითხი.

გვინდა შევეხოთ ერთ გაურკვეველობასაც: საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად თუ გადასახადის გადამხდელი არ გადაიხდის დადგენილ ვადებში ბიუჯეტის კუთვნილ გადასახადებს მაშინ მას დაერიცხება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საურავი 0,07%-ის ოდენობით. საგადასახადო ორგანო გადაუხდელი გადასახადის გადახდის მიზნით გადასახადის გადამხდელს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად უგზავნის „საგადასახადო მოთხოვნას“, რომელშიც აღინიშნება საგადასახადო ორგანოს დასახელება და მისამართი, საგადასახადო მოთხოვნის გაგზავნის თარიღი, გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებულ პირის რეკვიზიტები (სახელი, გვარი, მისამართი), გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებულ პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, მისი წარდგენის საფუძველი, საგადასახადო კანონმდებლობის აქტის იმ ნორმაზე მითითებით, რომლის თანახმადაც მოხდა გადასახადის დარიცხვა ან რომელიც დარღვეულია გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებულ პირის მიერ, ასევე გადასახადის გადამხდელის ან სხვა ვალდებულ პირის უფლებები და ვალ-

დებულებები და გასაჩივრების წესი. საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად გადასახადის გადამხდელმა ან სხვა ვალდებულმა პირმა „საგადასახადო მოთხოვნა“ უნდა შეასრულოს მისი მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. თუ ამ ვადაში გადასახადის გადამხდელი არ გადაიხდის „საგადასახადო მოთხოვნაში“ აღნიშნულ თანხას ან არ მიმართავს წერილობითი შესაგებლით საგადასახადო ორგანოს, მაშინ საგადასახადო ორგანო გამოიყენებს საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, რომელიც გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის 150-ე მუხლით. გადასახადის გადამხდელსაც აქვს უფლება საგადასახადო ორგანოს გაუგზავნოს „საგადასახადო მოთხოვნა“ თუ ის არ ეთანხმება მის მიმართ გამოგზავნილ მოთხოვნას, ამ შემთხვევაში „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ უნდა შესრულდეს მისი მიღებიდან 6 თვის ვადაში(!) გამოდის, რომ გადასახადის გადამხდელი და საგადასახადო ორგანოები მეტად არათანაბარ პირობებშია ჩაყენებული. ზემოთ აღნიშნული საკითხი გადასახადის გადამხდელთან მიმართებაში გასწორებას საჭიროებს.

ყურადღებას მივაპყრობთ ერთ გაურკვეველობასაც, რომელიც ასახულია საგადასახადო კოდექსის 208-ე და 211-ე მუხლებში.

211-ე მუხლის თანახმად აქტივის ღირებულებაში შეიტანება მათი შეძენის, წარმოების, მშენებლობის, მონტაჟისა და დადგმის ხარჯები (დანახარჯები), აგრეთვე სხვა ხარჯები, რომლებიც ზრდის მათ ღირებულებას, გარდა გადახდილი მოსაკრებლისა და საბაჟო გადასახადისა. საგადასახადო კოდექსის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისას გადასახადის გადამხდელი ვალდებულია წარმოებული ან შეძენილი საქონლის ღირებულება აღრიცხვაში ასახოს ამ საქონლის წარმოებაზე გაწეული ხარჯების (გარდა საამორტიზაციო ანარიცხებისა) ან შეძენის ფასად. ამასთან, გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის ღირებულებაში შეიტანება მისი შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯები. ეს მუხლი ეწინააღმდეგება 211-ე მუხლს, რადგან აქტივი თავისთავად მოიცავს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსაც, 208-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენისას მის ღირებულებაში შეიტანება საბაჟო გადასახადი და მოსაკრებელი, 211-ე მუხლში აქტივის ღირებულებაში კი არ შედის საბაჟო გადასახადი და მოსაკრებელი. გამოდის, რომ აქტივი არ ყოფილა სასაქონლო-მატერიალური

ფასეულობა, რაც იწვევს გაურკვეველობას. აღნიშნული საკითხი საჭიროებს რეაგირებას და შესაბამის ცვლილებებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში, რადგანაც გადასახადის სწორად დაგეგმვაზე და შემდეგ მის ბიუჯეტში მობილიზირებაზეა დამოკიდებული იმ პროექტების დაფინანსება, რომელიც ასე აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ნორმალურად განვითარებისათვის. თუ გადასახადის გადამხდელის უფლებები მაქსიმალურად არ იქნება დაცული, მაშინ გადასახადის გადამხდელი ცდილობს გადასახადების თავის არიდების მიზნით „ჩრდილში“ გადაინაცვლონ და უფლებების დარღვევის კომპენსაციისათვის იმაზე მეტად ნაკლები თანხები შეიტანონ ბიუჯეტში ვიდრე ეკუთვნის გადამხდელს. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში მოქმედ საგადასახადო კოდექსში, რომელთა დეტალურ განხილვას აქ აღარ შეუვლავებით, შეტანილი ცვლილებების უმრავლესობა შეეხება გადასახადების გადამხდელის უფლებების დაცვას. საქართველოს საგადასახადო კოდექსი კატეგორიულად კრძალავს ინდივიდუალურ მიდგომებს და შეღავათების დაწესებას ამა თუ იმ გადამხდელის მიმართ, კანონის წინაშე ყველა თანაბარია. საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს გადასახადის გადახდის საყოველთაო ვალდებულებას და ყველა გადასახადის გადამხდელის თანასწორობას საგადასახადო კანონმდებლობის წინაშე. დაუშვებელია დამატებითი გადასახადების, ასევე გადასახადების მაღალი განაკვეთების დადგენა საკუთრების ფორმის და სამართლებრივი ფორმის მიუხედავად. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ყველანაირი გა-

დასახადი, რომელიც დაწესებულია საქართველოს პარლამენტის მიერ არ უნდა მოდიოდეს წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციასთან, რადგანაც სწორედ საქართველოს კონსტიტუციაა გადასახადის გადამხდელის და მესაკუთრის უფლებების დაცვის გარანტი.

მოქმედი საგადასახადო კოდექსი, რომელიც მიღებული იქნა ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ და ძალაშია 2005 წლის 1 იანვრიდან, ძველ საგადასახადო კოდექსთან შედარებით იმედისმომცემი და ეფექტურია, თვალნათლივია წარმოდგენილი გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები და მოვალეობები, რომელიც დიდად განსხვავდება წინათ მოქმედი საგადასახადო კოდექსისგან გამჭვირვალობის და აღქმადობის მხრივ. ძველი საგადასახადო კოდექსით, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველად 1997 წლის ივნისში შემოღებული იყო 20-ზე მეტი გადასახადი, რაც არა მარტო გადასახადების გადამხდელებში, არამედ ხშირ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებშიც წარმოშობდა რიგ გაურკვეველობებს.

იმედი ვიქონიოთ, რომ საგადასახადო კოდექსი კიდევ უფრო ლიბერალური გახდება გადასახადის გადამხდელისათვის, რაც საერთო ჯამში გადამხდელის უფლებების დაცვის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. აქედან გამომდინარე, გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო პარმონიული და ბიუჯეტის ზრდაზე ორიენტირებული გახდება, რაც საერთო ჯამში ჩვენი ქვეყანაში ინვესტიციების კიდევ უფრო შემადინებას შეუწყობს ხელს.

ლიტერატურა და წყაროები:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
2. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგერა. თბ. 2000.
3. ჩიხლაძე ნ., საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. ქუთაისი. 2004.

ცხრილი №1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის სტრუქტურა
ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით
(წლის დასაწყისისათვის, ათასი კაცი)

ასაკობრივი ჯგუფები	1989	2002	2003	2004	2005	2006
მთელი მოსახლეობა მათ შორის ასაკში:	5400,8	4371,5	4342,6	4315,2	4321,5	4401,3
0-4	465,7	243,5	241,2	240,7	237,0	234,7
5-9	440,7	302,3	291,3	252,3	247,2	250,2
10-14	432,1	370,1	350,2	310,7	307,3	301,9
15-19	419,3	357,0	351,0	349,2	343,7	340,6
20-24	413,7	327,4	346,0	367,5	351,2	352,6
25-29	467,6	311,2	326,0	339,1	356,2	372,3
30-34	416,8	300,6	298,6	292,7	303,2	320,7
35-39	362,4	323,4	302,5	296,5	285,2	291,7
40-44	261,0	335,5	329,1	325,9	328,6	332,1
45-49	296,6	287,7	299,3	323,4	324,5	329,5
50-54	345,6	247,4	268,4	282,8	301,8	304,9
55-59	303,9	148,8	152,1	158,5	167,3	197,9
60-64	297,4	257,8	221,2	203,9	193,5	184,2
65-69	160,6	202,3	199,3	197,4	187,7	183,6
70 და მეტი ასაკის	317,4	356,2	366,4	374,6	387,3	404,3
მოსახლეობის მთელი რიცხოვნობიდან:						
შრომისუნარიანზე უმცროსი	1423,0	915,9	886,2	803,7	791,5	786,8
შრომისუნარიანი	3039,3	2796,8	2825,4	2939,5	2955,0	3026,6
შრომისუნარიანზე უფროსი	938,5	656,3	631,0	572,0	575,0	587,9

წყარო: საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები (www.statistics.ge)

მოსახლეობის დატვირთვის კოეფიციენტის შემცირება ძირითადად გამოწვეულია მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მოზარდი თაობის ხვედრითი წილის შემცირებით. ასევე გაუარესდა მოსახლეობის სქესობრივი თანაფარდობის მაჩვენებლებიც. 2002 წლის სრულიად საქართველოს მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით ყოველ ათას მამაკაცზე 1120 ქალი მოდის, მაშინ როდესაც 1989 წელს აღწერის მონაცემებით ანალოგიური მაჩვენებელი 1100-ს უტოლდებოდა, (იხ. ცხრილი №2).

ამჟამად საქართველოში მაღალი სიკვდილიანობის გამო ქალების რიცხვი ყოველთვის აჭარბებს მამაკაცების რიცხვს. ქალთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაც გაცილებით მაღალია, ვიდრე მამაკაცთა

(იხ. ცხრილი №3).

განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურაც. ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით სოფლის მოსახლეობაში მაღალია შობადობის დონე, რაც განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა განათლების მაღალი დონის მკვეთრად გამოხატული რეგულირება ფერტილობის დონისადმი და ეროვნული შემადგენლობის არაერთგვაროვნებით. საქალაქო დასახლებებში ბავშვებისა და მოზარდების რიცხვი მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე სოფელში. კერძოდ, 0-9 წლის ასაკობრივი ჯგუფის წელი, შესაბამისად, 11,8 და 13,2 პროცენტს შეადგენს, ხოლო 10-19 წლის -16,7 და 16,5 პროცენტს. სოფელთან შედარებით, ქალაქად მეტია ახალ-

ცხრილი №2

ქალების რიცხვი საქართველოში ყოველ ათას მამაკაცზე აღწერის მონაცემების მიხედვით.

წლები	მოსახლეობა სულ(კაცზე)	მათ შორის	
		ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
1959	1166	1197	1147
1970	1129	1139	1117
1979	1135	1156	1114
1989	1100	1135	1075
2002	1120	1178	1060

წყარო: საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტი, წელიწდეული, 2004 წ.

ცხრილი №3

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში (2001-2005 წწ)

	2001	2002	2003	2004	2005
სულ	71,5	71,5	71,9	71,4	73,1
მამაკაცი	68,0	67,9	69,1	67,8	69,3
ქალი	74,4	74,8	74,7	74,9	76,7

წყარო: საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტი

გაზრდული ასაკის მოსახლეობის რიცხვი, რაც 20-29 წლის ასაკის ახალგაზრდობის სასწავლებლად ქალაქში წასვლით (15,1%), აგრეთვე მიგრაციით (14,0%) აისახება. სოფელთან შედარებით, ქალაქის მოსახლეობის საერთო რიცხვნობაში მაღალია აქტიურ შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის (30-39, 40-49 წლები) ხვედრითი წილი (შესაბამისად 14,8 და 13,4 პროცენტი და 15,3 და 13,1%). როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ძალიან მცირეა მოსახლეობის რიცხოვნობა 50-60 წლების ასაკში, რაც განპირობებულია იმით, რომ ამ ასაკის მოსახლეობა ომისა და ომის შემდგომ წლებში დაბადებულთა თაობას წარმოადგენს. მნიშვნელოვანი სხვაობა შეინიშნება სიკვდილიანობის დონის მიხედვითაც. ქალაქად 60 წელზე მაღალი ასაკის მოსახლეობის წილი შეადგენს 16,4%-ს ხოლო სოფლად -21,0%-ს, რაც მიგრაციასთან ერთად, საქალაქო დასახლებაში მოკვდაობის მაღალი დონის შედეგია. ამდენად, სოფლად უფრო მეტი ხანდაზმული ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ქალაქად. მოსახლეობის საშუალო ასაკი სოფლად შეადგენს 36,6 წელს, ხოლო ქალაქად - 35,7 წელს. მთლიანად კი ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ასაკი 36,1 წელია, მათ შორის, მამაკაც-

ცების-- 34,3, ხოლო ქალების - 37,8 წელს. მეკეთრად განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ეკონომიკური აქტივობისა და ასაკის მიხედვით. ქალაქად ეკონომიკურად აქტიურია მოსახლეობის 34,5 პროცენტი, რომელთა 78,5 პროცენტი დასაქმებულია, სოფლად კი-51,9 პროცენტი. შესაბამისად, მაღალია სოფლის მოსახლეობაში დასაქმებულთა წილი (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 95,3%). ამასთან, სოფლის მცხოვრებთა შორის დაბალია დაქირავებით მომუშავეთა რიცხვი. ეს განპირობებულია სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობისა და გლეხური ფერმერული (ოჯახური) მეურნეობის უპირატესად არასასაქონლო ხასიათით და შესაბამისი დასაქმების პროფილით. ასევე მეკეთრი განსხვავებაა სქესობრივი ნიშნითაც.

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის ფონზე საინტერესოა აგრეთვე გენდერული თანასწორობის სტატისტიკა. საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ტრადიცია, რომ ქალის ადგილი არის სახლში, სამზარეულოში. მაგრამ ეს აზრი თანდათანობით შეიცვალა-ამჟამად ქალები აქტიურად არიან ჩაბმული მარკეტინგსა და მენეჯმენტში. თანაც მაღალ სა-

ფეხურზე. გამოკვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ძირითადად გადაწყვეტილია ქალებისა და მამაკაცების ფაქტობრივი თანასწორობის პრობლემა. ამ მხრივ ძირითად მიღწევათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქალთა მაღალი განათლების დონე, რაც უზრუნველყოფილია მამაკაცთა გვერდით სწავლისა და მიღებული ცოდნის გამოყენებაში თანაბარი უფლებით. ამის შედეგია ის, რომ ქალები აქტიურად მოღვაწეობენ ქვეყნის საკანონ-

მდებლო, აღმსრულებელ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქალი პოლიტიკოსი, კანონმდებელი, ეკონომისტი, ექიმი, მოსამართლე, მეცნიერი, შემოქმედი, მასწავლებელი, აღმზრდელი და დედა. ფაქტობრივად, თითქმის არ არსებობს საქმიანობის სფერო, სადაც მამაკაცების გვერდით არ მოღვაწეობდეს ქალი.

ცხრილი №4

გენდერული თანასწორობის ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებით

	ქალი	მამაკაცი
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა-წელი	74,8	68,0
ეკონომიკური აქტივობის დონე 15 წლისა და უფროს ასაკში (პროცენტებით)	47,6	61,9
დასაქმების დონე 15 წლისა და უფროს ასაკში (პროცენტებით)	86,4	89,9
უმუშევრობის დონე შრომისუნარიან ასაკში (პროცენტებით)	23,6	19,4
ეკონომიკაში დასაქმების დონით: სახელმწიფო სექტორში	74,5	79,4
დაქირავებულთა შორის დასაქმებულია:		
სახელმწიფო მართვა და თავდაცვა	10,3	22,5
განათლება	32,6	7,2
ჯანმრთელობის დაცვა	15,8	3,1
კულტურა, სპორტი, დასვენება	7,8	5,5
სხვა მომსახურება:		
ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი	10,4	11,4
ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა	4,5	12,4
სხვა დარგები	18,6	37,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, სტატისტიკური კრებული, 2004 წელი.

№4 ცხრილში მოტანილი მონაცემები, ქალთა და მამაკაცთა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით თანაფარდობა, ნათლად მიგვანიშნებს ჩვენს ქვეყანაში არსებულ გენდერულ თანასწორობაზე. ამრიგად, მოსახლეობა წარმოადგენს მეტად რთულ

და მრავალწახნაგოვან ეკონომიკურ კატეგორიას. რომელიც ყოველმხრივი შესწავლის ობიექტია, ვინაიდან მისი შესწავლის გარეშე შეუძლებელია მეურნეობის მართვა, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური ორიენტირების სწორად განსაზღვრა.

ლელო ბახტაძე
ლია მდინარაძე

სოციალური რისკი და ეკონომიკური პოლიტიკის სოციალური ორიენტაცია გარდამავალ ეკონომიკაში

სოციალური რისკი გასაღებია გარდამავალი ეკონომიკისაკენ. გარდამავალი ხანის ეკონომიკისათვის ნიშანდობლივია:

I. სიღარიბის, უთანასწორობის, უმუშევრობის ზრდა და რეალური შემოსავლების მკვეთრი შემცირება;

II. ჯანმრთელობის გაუარესება, რაც გამოიხატება სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებაში, მოსახლეობის კვლავწარმოების მანვერებლების დაცემაში, სამედიცინო დახმარებასთან დაშვების პირობებისა და დაავადებათა ხასიათის შეცვლაში;

III. განათლების დონის დაცემა, რაც ვლინდება განათლების მომცველობის შემცირებაში, განათლების ხარისხის გაუარესებაში, განათლებიდან უკუგების გადიდებასა და მზარდი უთანასწორობის წარმოქმნაში;

IV. სოციალური გარემოს ნგრევა (დაშლა);

V. კონფლიქტები და ომები (კენტრალური და ადმოსავლეთ ევროპის, ასევე ცენტრალური აზიის 4.5 მლნ. ადამიანზე მეტი შეადგენს მსოფლიოს მოსახლეობის 7%-ს და მსოფლიოში ყველა გადაადგილებულ პირთა 30%-ს).

ბუნებრივია დაისვას კითხვა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არის თუ არა სოციალური კატასტროფა?

გარდამავალ ეკონომიკაში წარმოიქმნება პრობლემები, მაგრამ იგი არ უნდა აღვიქვათ კატასტროფად. გარდამავალი ხანის პარადოქსია სიტუაციის უარესად აღქმა, ვიდრე თვით სიტუაციაა.

გარდამავალ ეპოქაში ცნობილია სოციალური დანახარჯების განაწილების ორი ტიპი: კონცენტრაცია და ქრონიკული სიღარიბე; უნივერსალიზაცია და დროებითი სიღარიბე. ამ ორი პროცესის შეთანაწყოება არის მთავარი პრობლემა. დროებითი სიღარიბეც კი ძირს უთხრის სოციალურ დინამიკას. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უკიდურესად ძნელდება რესურსების ეფექტიანი განაწილება. სოციალურ დაძაბულობას მიყვავართ პოლიტიკურ არასტაბილურობამდე, რაც, თავის მხრივ, ზრდის რისკის ხარისხს. რისკი და სოციალური დაძაბულობა აფერხებს რესტრუქტურისაციას.

სოციალური რისკის სახეა შემოსავლების დაკარგვის და არამატერიალურ სიკეთესთან (კეთილდღეობასთან) დაშვების რისკი, ხოლო რისკის წყაროა: ინფორმაციისა და ბაზრის არასრულყოფილება.

სოციალური რისკი გამოისახება ისეთი მანვერებლებით, როგორცაა დანახოვებისა და კაპიტალის ოდენობა – დანახოვები, ქონების ღირებულება, მიწაზე საკუთრება და უძრავი ქონება; შრო-

მის ბაზრის მდგომარეობა და კრედიტის ხელმისაწვდომობა – ხელფასის წილი შემოსავლებში, უმუშევრობის დონე და ხანგრძლივობა, საპროცენტო განაკვეთის ოდენობა და საოჯახო მეურნეობებისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობა; ურთიერთდახმარება და შემწეობა – პენსიონერების წილი, პენსია, ხელფასი, შემწეობის მიმღებთა წილი, შემწეობის წილი შემოსავალში, ოჯახის შიგნით და ოჯახებს შორის გადაწოდების მასშტაბები, შემწეობაზე დაშვება კატასტროფების (სხვადასხვა დონის) შემთხვევაში.

რამდენადაც ხანდაზმული ადამიანების წილი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში საკმაოდ მაღალია (რიგ ქვეყნებში პენსიონერები შეადგენენ მომუშავეთა თითქმის 50%-ს), ხარჯები ხანგრძლივი საპენსიო უზრუნველყოფისათვის შეიძლება იქცეს ძირითად ტვირთად საზოგადოებისათვის და ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის შემუშავებისას. საპენსიო რეფორმა შეიძლება მოიცავდეს პენსიის მიღების უფლებაზე მოთხოვნის გამკაცრებას.

სოციალური რისკის მართვის მექანიზმი ეყრდნობა პრევენციულ სტრატეგიებს; პრევენციური ზარალის მინიმიზაციის სტრატეგიას: დივერსიფიკაცია, დაზღვევა (ფორმალური და არაფორმალური), რისკების განაწილება და გაცვლა; შედეგების შემსუბუქების სტრატეგიას.

გარდამავალი ეკონომიკის თავისებურებებია მაკროეკონომიკური არასტაბილურობა და სტრუქტურული ცვლილებები, რისკების მართვის რიგი საკვანძო არაფორმალური მექანიზმების დანაწილება (ერთმანეთისაგან მოწყვეტა), ფორმალური რეფორმა, რაც თავისთავად რისკის წყაროა.

რისკების მართვის საკვანძო პრობლემა პროცესის დინამიკასა და განუსაზღვრელობის ზრდაშია. როგორც მთლიანად საზოგადოებისათვის, ისე ცალკეული საოჯახო მეურნეობისათვის რისკი განსაზღვრავს ღარიბთა ქცევას და სიღარიბის მიზეზებს.

რისკების მართვის კონცეფცია საშუალებას იძლევა: მივადწიოთ სიღარიბის შემცირებას რესურსების პირდაპირი გადაწოდების გარეშე, დავენერგოთ სოციალური ასპექტები ეკონომიკური პოლიტიკის ნებისმიერ სფეროში, რაც მოითხოვს: სოციალური პოლიტიკის მონიტო-

სოციალური რისკი და ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაცია გარდამავალ ეკონომიკაში

რინგს, მოსალოდნელი სოციალური შედეგების ანალიზს, სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტების შეცვლას.

გარდამავალ ეკონომიკაში სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიზნობრივი ფუნქციის შერჩევის შესაბამისად აიგება მისი რეალიზაციის მექანიზმი, რომელიც შედგება სტრატეგიისა და ტაქტიკისაგან, სოციალური ტექნოლოგიებისა და სოციალურ პროცესებზე სახელმწიფოს ზემოქმედების მეტოდებისაგან.

სიღარიბის შემცირებაზე ზემოქმედების სტრატეგია ეფექტიანი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარიმართება სამი ძირითადი მიმართულებით:

1. პირობების შექმნა დასაქმებულთათვის, რათა მათი გამომწევაება საკმარისი იყოს იმისთვის, რომ ოჯახმა თავი დააღწიოს სიღარიბეს;

2. სოციალურად გაჭირვებული მოსახლეობის ჯგუფების (ხანდაზმულები, ინვალიდები, ოჯახები კმაყოფაზე მყოფთა მაღალი ტვირთით, ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფი ოჯახები - დევნილები და სხვ.) მხარდაჭერის ეფექტიანი სისტემის შექმნა;

3. ღარიბების დისკრიმინაციის დაუშვებლობა უფასო ან დოტირებულ სოციალურ მიმსახურებასთან დაშვებისას.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ღარიბი მოსახლეობის რიცხოვნობის შემდგომი ზრდის თავიდან ასაცილებლად ასევე აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განსაზღვრული პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა. უპირველეს ყოვლისა, ყველა მასშტაბური რეფორმის გატარება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სოციალური შედეგების ექსპერტიზის პროცედურის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ რეფორმებს მიეყვარათ საზოგადოების ღარიბი ფენის მდგომარეობის გაუარესებად, ისინი არ უნდა იყოს მოწონებული კომპენსაციური სოციალური კომპონენტის არსებობის გარეშე. მედიცინის, განათლების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროში რეფორმების გატარებისას ეს პრინციპი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს.

სიღარიბის შემცირებაზე ზემოქმედების პოლიტიკის ასეთი პრინციპები არ შეიძლება იყოს რეალიზებული ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის შემცირებისაკენ მიმართული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სრულყოფის გარეშე. ამ პროცესში მთავარი როლი მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის ინსტიტუტებს ეკუთვნის, ამ სისტემის ყველა კომპონენტი გადასაწყვეტ ამოცანებთან შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი.

სიღარიბის განსაზღვრის და გაზომვის ინსტრუმენტები უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო სოციალური დაცვის ინსტიტუტების ფინანსურ და ორგანიზაციულ შესაძლებლობებს, რომ არ შეიქმნას პრეცედენტი ღარიბებისათვის განკუთვნილი პროგრამის გავრცელებისა მოსახლეობის საშუალოდ უზრუნველყოფილ ფენებზე. ეს

ნიშნავს, რომ უკიდურესად ღარიბები, უნდა წარმოადგენდნენ პრიორიტეტულ ჯგუფს სოციალური დაცვის სისტემის მხარდასაჭერად. სახელმწიფო პოლიტიკის აღიარებული პრიორიტეტების თანახმად, სწორედ ამ ჯგუფს უნდა გააჩნდეს სოციალური დაცვის რესურსებთან პრიორიტეტული დაშვების უფლება.

ამასთან, სიღარიბის დონის შემცირების ამოცანა არ შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილად შრომისუნარიანი მოსახლეობის შემოსავლებთან დაშვების გაფართოების გარეშე. ამიტომ სიღარიბის შემცირების სფეროში პირველი რიგის ამოცანა სრულიად ნათელია: უკიდურესი ღარიბების პრიორიტეტული დაშვება სოციალური დაცვის რესურსებთან და იმ მოქალაქეების შემოსავლებთან დაშვების გაფართოება, რომლებიც ფლობენ გარკვეულ პროფესიულ კვალიფიკაციას, სოციალურ და ადაპტაციურ პოტენციალს.

სახელმწიფო საქმიანობის სოციალური მიმართულება, როგორც სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს არსებითი მახასიათებელი, თავის პრაქტიკულ გამოვლენას პოუბს მის მიერ გატარებულ სოციალურ პოლიტიკაში. სოციალური სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სისტემაწარმომქმნელი კომპონენტია, რომელიც მისი ყველა სხვა ელემენტების ფუნქციონირებას წარმართავს სოციალური სამართლიანობის, სოციალური დაცვის და ცხოვრების მაღალი დონის რეალიზაციის მიმართულებით.

ბაზარზე გადასვლისას სოციალურ პოლიტიკაში პრიორიტეტული ხდება სოციალური დაცვისა და შემოსავლების გადანაწილების ფუნქცია, რომლებიც თანდათან ცვლის რეფორმამდელი სოციალური პოლიტიკის ეკონომიკურ და იდეოლოგიურ მიმართულებას, რაც გარდამავალი პერიოდის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რომელიც შემდეგი გარემოებებით აიხსნება: თუ სოციალისტურ ეკონომიკაში სახელმწიფოს პქონდა შესაძლებლობა ეკონომიკური პოლიტიკის სოციალური შემადგენელი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტისადმი ცენტრალიზებული წესით დაექვემდებარებინა და ამით მიეღწია სახელმწიფოში ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ბალანსისათვის გარდამავალ ეკონომიკაში ეს ბალანსი განისაზღვრება ბაზრის მიერ, სახელმწიფოს მხრიდან გადანაწილებით პროცესებში მინიმალური ჩარევით. ამიტომ, ახალ სისტემაზე გადასვლისას განსაზღვრული ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად სოციალური პოლიტიკის გამოყენება არ არის აუცილებელი. ზემოთ აღნიშნულის დასასაბუთებლად ლიბერალების მოყვარულ არგუმენტები საბაზრო ეკონომიკაში ეკონომიკური ზრდასა და შემოსავლების გამოთანაბრების უზრუნველყოფის, წარმოების მოცულობის მაჩვენებლებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ბაზრის ცალსახა ურთიერთდამოკიდებულების არსებობის შესახებ.

გარდამავალი ეპოქის სოციალური პოლიტიკა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპს პატერნალიზმსა და ინდივიდუალიზმს ეფუძნება. ნათელია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური დაცვის სისტემა მდგრადი და ეფექტიანი იქნება, თუ თანამედროვე სოციალური დაცვის სისტემის პატერნალიზმის ხარისხის შემცირება (სოციალური გარანტიების შემცირება, სოციალური სფეროს მომსახურების მარკეტიზაცია, სოციალური დახმარების ადრესულ სისტემაზე გადასვლა, შეღავათებისა და კომპენსაციების შეკვეცა) მისი ინდივიდუალიზმის (თვითუზრუნველყოფის, თვითდასაქმების, თვითდაცვის პირობების შექმნით) ხარისხის გაფართოებასთან ერთად განხორციელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ღონისძიებას, რომელიც მიმართული იქნება სოციალური დაცვის სისტემის ლიბერალიზაციისაკენ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის და კოლექტიური დაცვის შესაბამისი კომპენსაციური მექანიზმის შექმნის გარეშე თანახმად მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა და სიღარიბის ზრდა.

სახელმწიფო საქმიანობაში სოციალური მიზნების აღიარება ძირითად პრიორიტეტებად ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ გარდამავალ ეკონომიკაში უკვე შექმნილია და მოქმედებს ისეთი გადანაწილებითი სისტემა, რომელიც შეესაბამება სოციალური სახელმწიფოს პრინციპებს. რამდენადაც ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში სოციალური პოლიტიკის არსი მის ფუნქციებში (ეკონომიკური, განმანაწილებლობითი, იდეოლოგიური და სხვ.) ვლინდება იმისათვის, რომ განვსაზღვროთ თუ რამდენად მიახლოებული ან დაშორებული არიან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები დასახულ მიზნებს აუცილებელია განვიხილოთ გარდამავალ ეკონომიკაში სოციალური პოლიტიკის ძირითადი ფუნქციების ცვლილებების ვექტორი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას შეიცვალა რეფორმამდელი სოციალური პოლიტიკის მიზნობრივი ფუნქცია – ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად ხელსაყრელი სოციალური პირობების შექმნა. ზემოთაღნიშნული შეესაბამებოდა ცენტრალიზებულად რეგულირებად სოციალურ ნორმატივებს, გარანტიებს, შეღავათებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მინიმალურ სოციალურ სტანდარტებს, რაც სოციალისტურ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევდა მოხმარებაში ეკონომიის შედეგად რესურსები მიემართა ეკონომიკის ინვესტიციურ სექტორში.

ამ მიზანს ექვემდებარებოდა სოციალური პოლიტიკის არა მარტო განმანაწილებლობითი ფუნქცია, რომელიც მიმართული იყო შემოსავლების შეზღუდვისა და მათი გამოთანაბრებისაკენ მკაცრი დარგობრივი სატარიფო ქსელისა და შრომის ნორმირების მეშვეობით, არამედ სოციალური დაცვის ფუნქციაც, რომელიც მოწოდებული იყო პირველადი მოხმარების საქონელსა და მომსახურებაზე მნიშ-

ვნელოვანი დოტაციების მეშვეობით მოედინა შრომის დაბალი ანაზღაურების კომპენსაცია მოსახლეობის ცხოვრების დონის სამუშაო ძალის კვლავწარმოების დონესთან მიახლოებით (გათანაბრებით), რაც არ ქმნის წინააღმდეგობას ეკონომიკური ზრდისათვის.

სოციალური პოლიტიკის იდეოლოგიური ფუნქცია, რომელიც სოციალური გარანტიების სახით შრომაზე, უფასო საცხოვრებელზე, განათლებაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე სოციალისტური სისტემის უპირატესობათა დემონსტრირებას ახდენდა ხსნიდა პოტენციურად მაღალ სოციალურ დამაბუღობას, რომელიც შექმნილი იყო გათანაბრებითი განაწილებისა და შრომის დაბალი ანაზღაურების შედეგად და თავიდან იცილებდა პოლიტიკურ წინააღმდეგობას ეკონომიკური ზრდის გზაზე.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში არსებობს ორი ძირითადი მიდგომა გარდამავალ ეკონომიკაში სოციალური პოლიტიკის არსისა და როლის გაგებისადმი: ლიბერალური და ეტატიზტური (სახელმწიფოებრივი). ლიბერალები ასაბუთებენ შემზღულდავი, პასიური, კომპენსაციური სოციალური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, აქცენტი გადააქვთ რა საბაზრო რეფორმების სოციალურ სარგებლიანობაზე; „სახელმწიფოებრივი“ მიდგომა კი, პირიქით, სახელმწიფოსაგან მოითხოვს გაფართოებული, აქტიური, შემტევი სოციალური პოლიტიკის განხორციელებას. ისინი თავიანთი პოზიციის დასასაბუთებლად განიხილავენ ბაზარზე გადასვლის სოციალურ დანახარჯებს.

გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფოს სოციალური როლის გაძლიერების მომხრეები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური პოლიტიკა უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც სოციალური პოლიტიკის ქვესისტემა და ყველა ეკონომიკური ღონისძიება უნდა იყოს გამსჭვალული და გათვლილი სოციალური მიზნების პრიორიტეტებზე დაყრდნობით. ამ შეხედულების თეორიული დასაბუთების საფუძველი გახდა რადიკალური რეფორმების სოციალური კონცეფცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საბაზრო ტრანსფორმაციის პროცესის ნეგატიურ მოვლენებზე.

საბაზრო რეფორმების გატარებისას ნეოკლასიკური თეორიის (რომელიც ითვლება თანამედროვე დასავლური ეკონომიკური აზრის ძირითად მიმდინარეობად) ძირითადი პოსტულატებისადმი ფარულ თუ აშკარა მხარდაჭერას მიუყვართ იქამდე, რომ საბაზრო ეკონომიკური გარდაქმნების საერთო მახასიათებელს წარმოადგენს რეფორმების სოციალური შემადგენლის მეორადობა, რომელიც უფრო მეტად იმ ქვეყნებში გამოვლინდა, რომლებიც „სწრაფი“ („მოკური“ თერაპია) რეფორმირების გზას დაადგინეს და უფრო ნაკლებად იმ ქვეყნებში, რომლებიც ბაზარზე თანდათანობით („გრადუალიზმი“) გადადიან.

როგორც წესი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების

განხორციელებისას არ გაითვალისწინებოდა ეკონომიკურ გარდაქმნათა სოციალური დანახარჯები და არ იყო მიღებული შესაბამისი ზომები მათი შემცირებისათვის; არ მოქმედებდა სოციალური სფეროს გარდაქმნის პროგრამები; რეფორმირების პირველ ეტაპზე არ იყო შემუშავებული სოციალური განვითარების კონცეფცია (გამონაკლისია ყოფილი ჩეხოსლოვაკია, რომელმაც რეფორმირების საწყის ეტაპზევე შეიმუშავა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ორი პროგრამა; უფრო გვიან ჩეხეთსა და სლოვაკეთს შეუერთდნენ პოლონეთი და უნგრეთი, რომლებმაც 90-იანი წლებისათვის შეიმუშავეს სოციალური რეფორმების კონცეფცია).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეფორმის მეორე ეტაპზეც ეკონომიკური ზრდის დაწყების პირობებშიც სოციალური სფერო და გადაანაწილებითი სისტემა ძველებურად რჩება ეკონომიკური ურთიერთობების ნაკლებად რეფორმირებად ნაწილად, რომელიც ჯერჯერობით ვერ გადაიქცა ეკონომიკური ზრდის დამოუკიდებელ ფაქტორად, რომელიც ზემოქმედებს მასზე ერთობლივი მოთხოვნის, დაგროვების და ინვესტიციების მეშვეობით. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკოსებში დამკვიდრებულ ლიბერალურ შეხედულებას სოციალურ პოლიტიკაზე, როგორც უადრესად ეთიკური, მორალური ხასიათის ინსტრუმენტზე, რომელიც ავსებს ეკონომიკურ რეგულატორებს (საგადასახადო, საბიუჯეტო, ფულადსაკრედიტო) მაგრამ არ არის მათი მნიშვნელობის.

გარდამავალ პერიოდში სოციალური პოლიტიკის განსაკუთრებულობა ისაა, რომ იგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სუბიექტურ ფაქტორებზე: პოლიტიკურ არჩევანსა და იდეოლოგიურ უპირატესობაზე. ეს დამოკიდებულება უფრო ნათლად წარმოჩნდება არამდგრად, ავტომატური რეგულირებისათვის მოუხერხებელ გარდამავალ ეკონომიკაში, ვიდრე სტაბილურ, ობიექტურ კანონზომიერებას დაქვემდებარებულ განვითარებულ საბაზრო სისტემაში, სადაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ნეოლიბერალურმა ცვლილებებმაც კი ვერ შეძლეს ეკონომიკაში სახელმწიფოს სოციალური პოზიციების პრინციპული ტრანსფორმაცია.

სოციალურად ორიენტირებული მდგრადი მაკროსისტემების განვითარების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს საკუთრებით ურთიერთობათა იმგვარი ტრანსფორმაცია, რომელიც საშუალებას იძლევა შესუსტდეს სოციალური დაძაბულობა და კომერციული დატვირთვა სოციალურ სფეროზე, რაც ყველა ქვეყანაში ხორციელდება სტრუქტურულ და ინსტიტუციურ გარდაქმნათა ჩარჩოებში.


სახელმწიფო სოციალური დაცვის ცნებაში განიხილება ურთიერთობათა სისტემა ინდივიდი – სახელმწიფო და ოჯახი – სახელმწიფო, რომელიც

წარმოიქმნება სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ცხოვრების დონის გარანტირებულ მინიმალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოებისათვის, შრომისუნარიანების მიერ კმაყოფაზე მყოფთა შენახვისათვის, ცხოვრების აღრინდელი დონის შენარჩუნებისათვის იმათთვის, ვინც სოციალური რისკების (საწარმოთა ტრამვეტი, შრომის უნარის დაკარგვა დროებით და ასაკის გამო და სხვ.) შედეგად დაკარგა შრომისუნარიანობა ან ვისაც თავიდანვე (ბავშვები და ინვალიდები) არ გააჩნდა იგი.

გარდამავალ ეკონომიკაში ფორმირებადი სოციალური დაცვის სისტემისთვის დამახასიათებელია ბაზრადელი პატერნალისტური დაცვის მექანიზმის შერწყმა მის საბაზრო ლიბერალურ ელემენტებთან პირველის მკვეთრი შემცირების და მეორის არასაკმარისად ზრდის პირობებში.

სოციალური დაცვის სისტემა წარმოადგენს იერარქიულ პირამიდას, რომელიც შედგება სოციალური დაცვის რამდენიმე დონისაგან. მისი შევიწროება ზვეთი ნიშნავს ადამიანების რიცხოვნობის შემცირებას, რომლებიც დაცვის სხვადასხვა საფეხურზე ხვდებიან. მოცემული სოციალური დაცვის სისტემის ბაზისს წარმოადგენს სახელმწიფო სოციალური გარანტიები მინიმალური ფიქსირებული შემოსავლებით (მინიმალური ხელფასი და პენსია), აგრეთვე საზოგადოების ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფის სისტემა - ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, ხელმისაწვდომი საბინაო პირობების სახით. მოცემული გარანტიები საყოველთაოა და მოწოდებულია უზრუნველყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის მინიმალური საყოფაცხოვრებო სტანდარტები და ერთნაირი სასტარტო პირობები.

მიუხედავად გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების კონსტიტუციაში დეკლარირებული ამ გარანტიების საყოველთაო ხასიათისა მათი მიღწევის შესაძლებლობა სისტემატურად მცირდება სოციალური მომსახურების (ჯანდაცვა, განათლება, საცხოვრებელი ბინები) მარკეტისაჰაიის განუხრელი პროცესის შედეგად. გარანტიების სისტემასთან დაშვების შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ ფასიანი მომსახურების ზრდას თან ახლდეს მოსახლეობის შემოსავლების, განსაკუთრებით კი შრომის ფასის ზრდა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სანამ არ შეიქმნება მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მეარი ბაზა, მიზანშეწონილია მინიმალური სახელმწიფო გარანტიების შენარჩუნება უფასო სოციალური მომსახურების გაწევისათვის თუნდაც მინიმალური სტანდარტების დონეზე, რომელიც გათვალისწინებულია ამ ქვეყნების კონსტიტუციითა და სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.



ნახ. 1. ორგანიზაციულ კულტურის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები

ორგანიზაციის დამფუძნებელი და მისი პირადი ღირებულებები და წარმოდგენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დროთა განმავლობაში ორგანიზაციის ფარგლებში განვითარებულ ღირებულებებზე, ნორმებსა და ქცევის სტანდარტებზე. დამფუძნებლები აყალიბებენ გარემოს კულტურული ღირებულებების ნორმების მიმართულებისათვის და ისინი ქირობენ მენეჯერებს მათთვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში დახმარების მიზნით. აზრს არა არის მოკლებული ვიფიქროთ, რომ დამფუძნებლები ირჩევენ ისეთ მენეჯერებს, ვინც იზიარებს მათ ხედვას ორგანიზაციის მიზნების თაობაზე და იმაზეც, თუ რას უნდა აკეთებდეს ის; თითქმის ნებისმიერ შემთხვევაში, მენეჯერები სწრაფად ითვისებენ დამფუძნებლისაგან, რომელი ღირებულებები და ნორმებია შესაფერისი ორგანიზაციისათვის და შესაბამისად გადასცემენ მის ღირებულებებსა და ნორმებს.

დროთა განმავლობაში დამფუძნებლის ღირებულებები და ნორმები ვრცელდება მთელ ორგანიზაციაში. ხშირ შემთხვევაში, დამფუძნებლის პირადი ფასეულობები გავლენას ახდენს ორგანიზაციის კონკურენტულ უპირატესობაზე. მაგალითად, Mc Donald's-ის დამფუძნებელი რეი კროკი თავიდანვე ყურადღებას ამახვილებდა მომხმარებელთა მომსახურების მაღალ სტანდარტებზე და Mc Donald's-ის რესტორნების სისუფთავეზე, რაც გახდა კიდევაც მისი რესტორნების კონკურენტული უპირატესობის მთავარი წყარო. ანალოგიურად Microsoft-ის დამფუძნებელმა ბილ გეიტსმა საფუძველი ჩაუყარა ზოგიერთ კულტურულ ღირებულებებს Microsoft-ში. თანამშრომლებს მოეთხოვებათ იყენებენ შემოქმედებით და გულმოდგინედ იმუშაონ, მაგრამ მათ არ უშლიან არაფორმალურ ტანსაცმელს და საკუთარი ოფისების ჰერსონიფიცირებას. გეიტსმა ასევე დაამკვიდრა კომპანიის ისეთი ღონისძიებების ჩატარება როგორცაა ქალაქგარეთ გასვლა, პიკნიკი და სპორტული ღონისძიებები თანამშრომელთათ-

ვის, როგორც პიროვნებად, ასევე გუნდის წევრად ყოფნის მნიშვნელობის ხაზგასასმელად.

სოციალიზაცია არის პროცესი, რომლითაც ახალმოსული თანამშრომლები სწავლობენ ორგანიზაციის ღირებულებებსა და ნორმებს და იქცევიან მათ შესაბამისად არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფიქრობენ ვალდებულები არიან, არამედ იმიტომ, რომ ფიქრობენ აღნიშნული ღონისძიებები და ნორმები აღწერს ქცევის სწორ და შესაფერის გზას.

ორგანიზაციის უმეტესობას აქვს სხვადასხვა ტიპის სოციალიზაციის პროგრამა ახალი თანამშრომლების ორიენტირებაში დასახმარებლად - ამ ორგანიზაციის ღირებულებები, ნორმები და კულტურა. ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა General Electric და Microsoft-ი, მკაცრ სასწავლო პროგრამას უტარებს ახლად დაქირავებულ პირებს, რათა უზრუნველყონ ისინი არამხოლოდ იმ ცოდნით, რომელიც სჭირდება მათ საქმის ეფექტიანად შესასრულებლად, არამედ კომპანიის თავის კლიენტებთან წარსადგენად. ამდენად, ორგანიზაციის სოციალიზაციის პროგრამის მეშვეობით, ორგანიზაციის დამფუძნებელ და უმაღლესი რგოლის მენეჯერებს შეუძლიათ გადასცენ თანამშრომლებს კულტურული ღონისძიებები და ნორმები, რომლებიც ორგანიზაციის წევრების ქცევას განაპირობებს.

კიდევ ერთი საშუალება, რომლითაც მენეჯერებს შეუძლიათ სცადონ შექმნან ან გავლენა მოახდინონ ორგანიზაციულ კულტურაზე არის ორგანიზაციული ცერემონიებისა და რიტუალების დამკვიდრება - ფორმალური ღონისძიებები, რომლებიც აღნიშნავენ მთლიანად ორგანიზაციისათვის და კონკრეტული თანამშრომლებისათვის მნიშვნელოვან მოვლენებს. ყველაზე უფრო მიღებული რიტუალები, რომლებსაც ორგანიზაციები იყენებენ კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გადასაცემად მათი წევრებისათვის არის გადასვლის, ინტეგრაციისა და წახალისების რიტუალები (ცხრილი 1).

ცხრილი. ორგანიზაციული რიტუალები

რიტუალის ტიპი	რიტუალის მაგალითი	რიტუალის მიზანი
გადასვლის რიტუალი	წარდგენა და საბაზისო ტრენინგი	ნორმებისა და ღირებულებების სწავლა და გათავისება
ინტეგრაციის რიტუალი	ოფისის წევულებები	საერთო ნორმებისა და ღირებულებების დამკვიდრება
წახალისების რიტუალი	ყოველწლიური დაჯილდოების პრეზენტაცია	ნორმებისა და ღირებულებების ერთგულების მოტივაცია

გადასვლის რიტუალები განსაზღვრავს თითოეული პირის ორგანიზაციაში შესვლას, მის ფარგლებში წინსვლას ან მის დატოვებას. ინტეგრაციის რიტუალები, როგორებიცაა: ორგანიზაციული წარმატებების ერთობლივი გამოცხადება, ოფისის წევულებები და კომპანიის ერთობლივი გასვლები აყალიბებს და აძლიერებს ორგანიზაციის წევრების ურთიერთკავშირს. შოუტ-წესტ ირლინგს-ი ცნობილია მისი ძალისხმევით, დაამკვიდროს ცერემონიები და რიტუალები, რითაც დააკავშირებს თანამშრომლებს, უჩვენებს რა მათ რომ ისინი დაფასებული წევრები არიან. წახალისების რიტუალები, როგორებიცაა: დაჯილდოების ვახშამი, გაზეთების გამოშვება და თანამშრომელთა დაწინაურება, საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, საჯაროდ აღნიშნონ თანამშრომელთა წვლილი და დააჯილდოონ ისინი და ამით გააძლიერონ მათი ერთგულება ორგანიზაციული ღირებულებებისადმი.

ისტორიები და ენა ასევე ორგანიზაციულ კულტურაზე მეტყველებს. Mc Donald's-ი წარმოადგენს კარგ მაგალითს ისეთი კომპანიისა, რომლის ისტორიები და ენა ქმნის მისი კულტურის განუყოფელ ნაწილს.

Mc Donald's-ის კულტურის ნაწილს წარმოადგენს ასობით ისტორია, რასაც ორგანიზაციის წევრები მისი დამფუძნებლის რეი კროკის შესახებ პევებიან. კროკმა ცხოვრება მიუძღვნა სრულყოფილების მიღწევას ხარისხში, მომსახურებაში, სისუფთავესა და ასევე ფასის შესაბამისი ღირებულების შექმნაში. აღნიშნული ოთხი ღირებულებითაა

განმსჭვალული Mc Donald's-ის კულტურა. ვინაიდან სალაპარაკო ენა არის კომუნიკაციის მთავარი საშუალება ორგანიზაციებში, სპეციფიური სლენგი თუ ჟარგონი (რაც არის ორგანიზაციისათვის სპეციფიური სიტყვები და ფრაზები), რასაც იყენებენ ადამიანები მოვლენების სიტყვებით გამოხატვისა და აღწერის მიზნით, წარმოადგენს ნორმებისა და ღირებულებების მნიშვნელოვან გასაღებს. Mc Donald's-ის თანამშრომელი, რომელსაც ახასიათებენ, როგორც “სისხლში კეტჩუპის მქონეს”, არის Mc Donald's-ის საქმისადმიერთგული ადამიანი – ადამიანი, რომელმაც მთლიანად შეითვისა მისი კულტურა.

ორგანიზაციული ენის კონცეფცია მოიცავს არამარტო სასაუბრო ენას, არამედ იმასაც თუ როგორ იცვამენ ადამიანები, მათი ოფისების მოტყობას, მათ მანქანებს და ფორმალურობის დონეს, რასაც ისინი გამოიყენებენ ერთმანეთთან კავშირში. ფორმალური ბიზნესტანსაცემელი წარმოადგენს ფინანსური კომპანიებისა და საინვესტიციო ბანკების კონსერვატორულ კულტურას, რომელიც ხაზს უსვამს ორგანიზაციული ნორმების შესრულების მნიშვნელობას. სპიკაგო უტურეს & პტიონს-ის მაკლერები, რომლებიც სხვადასხვა საქონლით ვაჭრობენ, ხშირად აღარებენ მეტად მკვეთრ და თვალშისაცემ პალსტუხებს და კოსტიუმებს, რათა კარგად გამოხდნენ ბეკრ ხალხში. როდესაც თანამშრომლები საუბრობენ თავიანთი ორგანიზაციული კულტურის ენაზე და ესმით იგი, მათ იციან როგორ მოიქცნენ ორგანიზაციაში და როგორი მიდგომა მოეთხოვებათ მათ.

ლიტერატურა და წყაროები:

1. გურაბანიძე ვ., ქიქოძე ნ., შრომითი რესურსების მენეჯმენტი, ქუთაისი, 2006.
2. გურაბანიძე ვ., ქიქოძე ნ., გურქიაშვილი ლ., ორგანიზაციული მენეჯმენტი, ქუთაისი, 2007.
3. გარეთ რ. ჯონსი, ჯენიფერ ჯორჯი. თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები. მთარგმნელები: ნინო ქალღანი, ნინო მარდალაიშვილი, ლევან გარაყანიძე, თამარ ჭინჭარაული, თბ: 2006 წ.
4. ქიქოძე ნ., მენეჯმენტის საფუძვლები, ქუთაისი, 2004.
5. ხომერიკი თ., მენეჯმენტი, თბ. 2000 წ.

გურამ უფლისაშვილი

ქუთაისის სამრეწველო წარმოება საკუთრებით ურთიერთობათა რეფორმის დასრულების შემდეგ

მ
ი
კ
რ
ე
კ
ონ
ომ
ი
კ
ა,
მ
ე
წ
ე
მ
ე
ნ
ტ
ი

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ბუნება და შინაარსი განისაზღვრება მისთვის დამახასიათებელი საკუთრებითი ურთიერთობებით. მრავალი უცხოელი და ქართველი ავტორი ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ კერძო საკუთრება და მისი ხელუხლებლობის გარანტია უზრუნველყოფს ადამიანის უმაღლეს მოტივაციას შრომისადმი და მის განკარგულებაში არსებული რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებას. ასევე ვიზიარებთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფირმები, როგორც წესი, არაეფექტიანია.

ცხადია, რომ არასაბაზრო ეკონომიკის გადაყვანა თანამედროვე ცივილიზირებულ ურთიერთობებზე და მართვის სისტემური გაუმჯობესება შეუძლებელია საკუთრების რადიკალური რეფორმის გარეშე. ამ და სხვა მიზეზების გამო მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის საქართველოში მიმდინარეობდა და ძირითადად უკვე დასრულდა პრივატიზაციის პროცესი.

პრივატიზაციის ცნების სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის საინტერესოდ გვეჩვენება ამერიკელი მეცნიერების ე. სავასის განმარტება: „პრივატიზაცია - ესაა მოქმედება, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს როლის შემცირებისაკენ და კერძო სექტორის როლის ამაღლებისაკენ საქმიანობის სხვადასხვა სფეროში ან აქტივების ფლობაში“¹. მართლაც, საკუთრებით ურთიერთობათა რეფორმის ძირითადი მიზნად უნდა ვაღიაროთ სწორედ საწარმოთა მართვის ძირეული გაუმჯობესება, რაც უნდა გამოიწვიოს კერძო ინიციატივის წინ წამოწევა. პრივატიზაციამ უნდა უზრუნველყოს საშუალო ფენის - ახალ მესაკუთრეთა კლასის ფორმირება. მისი ბირთვი უნდა შეადგინოს შრომისმოყვარე და ენერგიულმა მეწარმეებმა, რომლებიც საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ამაღლების მიზნით მზად იქნებიან წავიდნენ რეალურ რისკზე იმის გაცნობიერებით, რომ წარ-

მატება ან წარუმატებლობა ბიზნესში მათთვის რეალური სარგებელის ან დანაკარგების მომტანი იქნება. პრივატიზაციის შედეგიანობის შესაფასებლად სწორედ ასეთი კრიტერიუმი უნდა იქნას გამოყენებული.

საკუთრების ურთიერთობათა რეფორმა საქართველოში 1993 წლის მარტიდან დაიწყო მცირე პრივატიზაციით და მსხვილ საწარმოთა აქციონირებით, რითაც შეიქმნა წინამძღვრები ფართომასშტაბიანი პრივატიზაციისთვის. 1996 წლის ბოლოს უკვე აქციონირებული იყო ათასამდე საწარმო, აქედან ქუთაისში 64 (მ.შ. 40 სამრეწველო საწარმო). აქციონირებისთანავე აქციების ნაწილი უფასოდ გადაეცა კოლექტივის წევრებს და მათთან გათანაბრებულ პირებს. მოგვიანებით დაიწყო სავაუჩერო პრივატიზაცია, რომლის განმავლობაში უფასოდ დარიგებულ საპრივატიზებო ბარათებზე საქართველოს მასშტაბით რეალიზირებული იქნა 111 მლნ. აშშ დოლარი ნომინალური ღირებულების 84 მლნ. აქცია. მ.შ. ქუთაისში 10 მლნ. დოლარზე მეტი ღირებულების 6,9 მლნ.-მდე აქცია

პრივატიზაციის მორიგი ეტაპი დაიწყო 1996 წლის ბოლოდან სპეციალიზირებული აუქციონებით. მაგრამ მოსახლეობაში ფულადი რესურსების მწვავე დეფიციტის გამო, იგი წარუმატებლად წარიმართა, მიუხედავად აქციების მრავალგზის გამოტანისა ჯერ სრული, შემდეგ 50%, ბოლოს კი 25%-იანი საწყისი ფასით. განსახელმწიფოებრიობა დაანქარა ნულოვანმა აუქციონებმა. მაგ. მეორე ნულოვან აუქციონზე (1998 წ. თებერვალ - მარტი) გამოტანილი ქუთაისის 7 უმსხვილესი სამრეწველო საწარმოს 26 მლნ. აქციაში სულ 200 ათ. დოლარის შესაბამისი ლარი იქნა გადახდილი. მ.შ. სს „საავტომობილო ქარხანაში“ აქციათა 20%-იანი პაკეტი (5 მლნ. დოლ. ნომინალური ღირებულებით) 15 ათ. ლარად იქნა შეძენილი. ასეთივე მინიმალური თანხები იქნა მიღებული სხვა საწარმოთა აქციების რეალიზირებიდან. სახელმწიფოს ხელში დარჩენილი აქციების პრივატიზება რაიმე მნიშვნელოვანი წარმატების გარეშე შემდეგაც გრძელდებოდა.

შედევად, ქუთაისის სამრეწველო საწარმო-

¹ ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, II ნაწ., თბ. 1999. გვ. 101.

ების აბსოლუტური უმეტესობა არის მოლიანად კერძო. მიუხედავად მოვლენის ამგვარი გარეგნული შთაბეჭედაობისა, ფართომასშტაბიან პრივატიზაციას არ მოჰყოლია მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ სფეროში არ მომხდარა გამოკვეთილი ცივილიზებული კერძოქსაკუთრული ინტერესების სამოქალაქებობა. პრივატიზირებულ საწარმოთა დიდ ნაწილში სააქციო კაპიტალი დანაწევრებული იქნა სხვადასხვა კატეგორიის აქციონერებზე, რითაც ძველი გაუპიროვნებელი სახელმწიფო საკუთრება შეიცვალა ასევე საკმაოდ გაუპიროვნებელი (რიგ შემთხვევებში კოლექტიური) კერძო საკუთრებით. ხოლო ნულოვანი აუქციონების შედეგად აქციათა მსხვილი პაკეტები ხელში ჩაუვარდათ ძირითადად იმავე საწარმოთა ყოფილ ხელმძღვანელებს. მათ კი საწარმოთა ამოქმედებას ამჯობინეს ნაკლებ რისკიანი და თავისი არსით პარაზიტული ოპერაციების განხორციელება - კერძოდ ჩალის ფასად შექმნილი ქონების (ჯართის და მოწყობილობების) რეალიზება. საწარმოთა აღორძინება მოითხოვდა ახალ ტექნოლოგიებს, ახლებურ მენეჯმენტსა და მარკეტინგს, მრავალმილიონიან დამატებით დაბანდებებს, რაც ახალ მესაკუთრეთა (ძირითადად იგივე ძველი ტექნოკრატის ბიუროკრატის) შესაძლებლობებს აშკარად აღემატებოდა. ქართული პრივატიზაციის მაგალითი ადასტურებს, რომ შეუძლებელია სრულფასოვანი კერძო (სააქციო და სხვა) საკუთრების ერთბაშად, ძირითადად საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზემოქმედების გზით სამოქალაქებობა.

მაშასადამე, უნდა ვადიაროთ, რომ პრივატიზაციის პროცესმა ვერ უზრუნველყო საქართველოს (განსაკუთრებით ქუთაისის) სამრეწველო საწარმოთა მოხვედრა ისეთ მკაპრონეთა ხელში, რომლებიც მოახერხებდნენ მათთვის ახალი სიცოცხლის ნაბერვას. როგორც ჩანს, სახელმწიფომაც ვერ გამოავლინა საკმარისი ენერჯია შესაფერისი ინვესტორების მოსაძებნად. ამავე დროს, რაღა თქმა უნდა ქვეყანაში წლების განმავლობაში გამეფებული კორუფციით გაჯერებული დაძაბული ეკონომიკური ფონიც ვერ ქმნიდა მიმზიდველ გარემოს კერძო (განსაკუთრებით უცხოელი) ინვესტორებისათვის. შემზღუდველ ფაქტორად უნდა მივიხილოთ შიდა (სამაქცილო) ბაზრების შეზღუდული მოცულობებიც.

ზემოთ აღნიშნულ პროცესთა გავლენით განხორციელდა ქუთაისის, როგორც ყოფილი სამრეწველო ცენტრის თითქმის სრული დეინდუსტრიალიზაცია. ქალაქში პრაქტიკულად არ დარჩა რაიმე მნიშვნელოვანი სამრეწველო ობი-

ექტი, თუ არ ჩავთვლით პურპროდუქტების და უაღკოპოლო სასმელების მწარმოებელ ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებს.

ყოფილი მსხვილი (განსაკუთრებით მიმემრეწველობის) საწარმოები მოლიანად "გამოთავისუფლებულია" ძველი მანქანა-მოწყობილობებისაგან (რეალიზებულია ჯართად), ზოგ შემთხვევაში მიმდინარეობს შენობათა დემონტაჟიც. მხოლოდ ზოგიერთ, უკეთეს შემთხვევებში მათ ფართობზე განლაგებულია მცირე, სახელოსნოს ტიპის ობიექტები, რომელთაც ცხადია არ შეუძლიათ ყოფილი ინდუსტრიული გიგანტების სრულფასოვანი ჩანაცვლება.

ვალკე უნდა გამოვეყოთ უცხოელ ინვესტორთა მონაწილეობის საკითხი ქართულ პრივატიზაციაში და საერთოდ, საქართველოს ეკონომიკაში. თუკი გავაანალიზებთ საზღვარგარეთული ინვესტიციების დარგობრივ მიმართულებების დინამიკას, იკვეთება შემდეგი თანამიმდევრობა. მსხვილ ინვესტიციებს პირველ რიგში, ადგილი აქონდა ნავთობ და გაზსადენების მშენებლობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში (უთუოდ სახელმწიფოთაშორისი გეოპოლიტიკური ინტერესების გამო), მოგვიანებით გამოიკვეთა ინვესტიციები საბანკო-საფინანსო სექტორში, ენერჯეტიკაში და ენერჯოლისტრიბიუციაში. ამჟამად სახეზეა მსხვილი ინვესტიციები მშენებლობაში, სასტუმრო სერვისში და საკურორტო ინფრასტრუქტურაში. ჯერჯერობით ინვესტორთა (როგორც უცხოელ, ისე სამამულო ინვესტორთა) დაინტერესება მრეწველობით მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და შემოიფარგლება ძირითადად ენერჯეტიკით და მომპოვებელი მრეწველობით. მართალია უცხოელი ინვესტორების ინტერესთა დინამიკის ამგვარი ინტერპრეტაცია აბსოლუტურად ზუსტი არ არის, მაგრამ ზოგადად ასეთი კანონზომიერება აშკარად სახეზეა.

მსხვილი (მით უმეტეს წარმატებული) საინვესტიციო პროექტების ჩამონათვალში ვერ ვიპოვით დაბანდებებს მანქანათმშენებლობაში და მრეწველობის სხვა მადალტექნოლოგიურ და მეცნიერებატეკვად დარგებში. ამ სიტუაციის მიზეზთა გასარკვევად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ დარგების პროდუქცია გამოირჩევა რთული და სტრუქტურირებული სასაქონლო ასორტიმენტით, რომლის რეალიზაცია შეუძლებელია შემოფარგლოს მხოლოდ საქართველოს შიდა ბაზრებით და აუცილებლად ორიენტირებული უნდა იყოს უცხოეთზე. გარდა ამისა ამ დარგთა განვითარება საჭიროებს შრომისმოყვარე და კვალიფიცირებულ მუშახელს, ად-

გილზე საინჟინრო მეცნიერების განვითარების რაღაც მინიმალურ დონეს, ბიზნეს გარემოს სტაბილურობის მეტ გარანტიებს.

როგორც ჩანს, ჯერჯერობით, არც საქართველოს შიდა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფონი, არც სამუშაო პერსონალის კვალიფიკაციის დონე, და მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციის ხარისხიც იმდენად ოპტიმისტურად არ ფასდება ინვესტორთა (მ. შ. თუნდაც ადგილობრივ ინვესტორთა) მიერ, რომ გამართლებული იქნეს მსხვილი, ამასთან გაცილებით მეტი პასუხისმგებლობის და დეტალიზაციის შემცველი დაბანდებები მრეწველობის მაღალტექნოლოგიურ დარგებში (ვიდრე მშენებლობაში ან სასტუმრო ბიზნესში). როგორც ჩანს, მრეწველობის ამგვარი რთული დარგების უცხოელი (და სამამულო) ინვესტორების მიერ ათვისება მხოლოდ მომავლის (შესაძლოა არცთუ ისე ახლო მომავლის) საქმეა.

ამგვარი დასკვნების ფონზე მეტად პრობლემატურად იკვეთება ქ. ქუთაისის სამრეწველო წარმოების და საერთოდ როგორც ქალაქის მომავალი - წარსულში ხომ ქუთაისის მრეწველობა ძირითადად მანქანათმშენებლობაზე და მიიმე მრეწველობის სხვა დარგებზე იყო ორიენტირებული. უნდა ითქვას, რომ ქუთაისი ამჟამად ჩამოყალიბდა გამოკვეთილ დეპრესიულ რეგიონალურ ცენტრად, სადაც ერთმანეთში მწვავეაა გადახლართული უმუშევრობის, ეკონომიკური სიდუხჭირის და სხვა მწვავე სოციალური პრობლემები.

საჭიროა, რომ ქუთაისმა თანამედროვე ეტაპზე და სამომავლოდ შეიძინოს გარკვეული, შესაბამისი მნიშვნელობის ფუნქციები. ის რომ, იგი ქვეყანაში უმსხვილესი რეგიონის ადმინისტრაციული და გარკვეული საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრია, სრულიად არ არის შესაფერისი და საკმარისი ასეთი ზომის ქალაქის არსებობის გასამართლებლად. იგი არც ტურისტული, საზღვრისპირა ან საპორტო ცენტრია, ე.ი. ვერ ფლობს ასეთი უპირატესობიდან გამომდინარე სიკეთეებსაც. თბილისისაგან განსხვავებით იგი ვერც დედაქალაქთან დაკავშირებულ ფუნქციებს შეასრულებს (თუმცა გარკვეული დედაქალაქური ფუნქციების რეგიონებშიც გადანაწილების იდეა თავისთავად არ იყო ცუდი ახრი).

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქის ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად ადგენილი უნდა იქნეს სამრეწველო ცენტრის ფუნქცია. ამასთან, შეუძლებელია ძველი სამრეწველო საწარმოების, პირვანდელი სახით აღდგენა, ძველ საწარ-

მოთა ამჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ეს წარმოუდგენელიცაა. ამ მიმართულებით ნებისმიერი ძალისხმევა რესურსების უახრო განიავება იქნებოდა. აქცენტი უნდა გაკეთდეს სტიმულების შექმნაზე ახალი საწარმოების ასამუშავებლად, რომელთაც ექნებათ ახალი ძირითადი ფონდები, პერსონალი და სრულიად ახალი საქმიანი ინტერესები.

ჩვენ გვესმის, რომ წარმოების განვითარებას თავისი ობიექტური წინაპირობები უნდა გაანდეს, ამიტომაც ვასახელებთ შემდეგ მხარდამჭერ ეკონომიკური ფაქტორებს, როგორიცაა:

● **ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა** - ქალაქში 200 ათასამდე მცხოვრებია, მ.შ. შეიძლება გარკვეული რაოდენობის კვალიფიცირებული კონტიგენტის აყვანა;

● **სამომხმარებლო ბაზრებთან სიახლოვე** - მოსახლეობის კონცენტრაციის მაღალი დონე ნიშნავს მოხმარების მნიშვნელოვანი მოცულობასაც. ამით ხელსაყრელი პირობები იქმნება ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული კვების, მსუბუქი და ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი დარგების განვითარებისათვის.

● **ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა** - ქუთაისი მჭიდრო კომუნიკაციებითაა დაკავშირებული დედაქალაქთან და შავი ზღვის პორტებთან (საინტერესოა საექსპორტო დარგებისათვის);

● **მძლავრი ენერგეტიკული პოტენციალი**. უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაზე და შემოგარენში განთავსებულია მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, საკმაოდ ახლოს არის მყარი სათბობის მარაგებიც (უპირატესობა მიიმე მრეწველობისათვის);

● **სანედლეულო ბაზასთან სიახლოვე** - ქუთაისის მომიჯნავე რაიონებში განლაგებულია სანედლეულის ბაზები ქიმიური, საშენ მასალათა და კვების მრეწველობის განვითარებისათვის.

სტატით ჩვენ უფრო აღვწერთ ჩვენს წინაშე მდგარ პრობლემებს, ვიდრე ვცდილობთ ამ პრობლემატიკის გადაჭრის მოქმედებათა სრულყოფილი გეგმის ჩამოყალიბებას. ასეთი კომპლექსური პროგრამა შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ უფრო დეტალური გამოკვლევებისა და ყველა ეკონომიკური თუ არაეკონომიკური ფაქტორის გულმოდგინე აწონდაწონის საფუძველზე. აქ მაინც ზოგადად მოვხაზავთ მოქმედებათა ზოგიერთ შესაძლო მიმართულებებს:

● **სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა** მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაციის გასაძლიერებლად. ეს გან-

საკუთრებულად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ ადგილობრივი შესუბუღული მოცულობის ბაზრები ვერ უზრუნველყოფს მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებას. ამიტომაც იყო აუცილებელი ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანება;

- საჭიროა მეტი ინტენსიურობის სარეკლამო-პროპაგანდისტული კამპანიები პოტენციურ ინვესტორთა დასაინტერესებლად ჩვენთან მრეწველობის განვითარების პერსპექტივებით. უნდა მოხდეს უცხოური საქმიანი წრეებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება, მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებები, საერთაშორისო გამოფენები, ბაზრობები, საქმიანი დელეგაციების მიღება-დაგზავნა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად;

- დადებითი როლის შესრულება შეუძლია ქალაქის ადგილობრივ თვითმმართველობასაც. გასააქტიურებელია მისი ძალისხმევა უცხოელ ინვესტორთა მოზიდვის მიმართულებით, მ.შ. მეგობარი ქალაქების საქმიანი წრეების დასაინტერესებლად სხვა თუნდაც კულტურული სახის ღონისძიებების პარალელურად. ვფიქრობთ, რომ დასამუშავებელია ქუთაისის, როგორც რეგიონის (ქალაქის) კომპლექსური მარკეტინგული პროგრამა;

- აუცილებელია ახალ სამრეწველო საწარმოებთან მჭიდრო თანამშრომლობა კვალიფიციური საინჟინრო-ტექნოლოგიური პერსონალის მოსამზადებლად სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლების გამოყენებით;

- საჭიროა სახელმწიფო დაკვეთების გო-

ნიერული, შიდაპოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებებისაგან გათავისუფლებული მართვა (მაგ. როცა საუბარია შიდასაქალაქო ტრანსპორტში გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალებების საქართველოში აწყოების შესაძლებლობაზე, ალბათ არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ ქალაქზე, სადაც ამის ტრადიციები ათწლეულების მანძილზე ცოცხლობდა);

- ვადიანი (მაგ. ხუთწლიანი) საგადასახადო შეღავათების დაწესების შესაძლებლობის განხილვა ქუთაისში და მის უშუალო შემოგარენში მსხვილ საინვესტიციო პროექტებზე მრეწველობაში. ამან შეიძლება მიიღოს საკანონმდებლო საფუძველზე დაშვებული მრეწველობის განვითარებისათვის შეღავათიანი სპეციალური ზონის სახე, ანალოგიურად თავისუფალი ეკონომიკური ზონისა, რომლის შექმნის შესაძლებლობა ამჟამად აქტიურად განიხილება საქართველოს ერთ-ერთ საპორტო ქალაქში. ვფიქრობთ, რომ ქუთაისში სამრეწველო წარმოების განვითარების მიზანი იმდენად პრიორიტეტულად შეიძლება იქნას ჩათვლილი, რომ გამართლებულად ჩაითვალოს ხელისუფლების მხრიდან ასეთ განსაკუთრებულ მ.შ. საკანონმდებლო ხასიათის ნაბიჯებზე წასვლა.

ამრიგად, აუცილებელია ღონისძიებათა პაკეტის დამუშავება, რომლის განხორციელება შეარბილებდა ქალაქის მწვავე ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს და რომელიც გათვლილი იქნება არა სიმპტომების მკურნალობაზე, არამედ პრობლემების ძირეულ გადაწყვეტაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებათა დასახული გეგმა არ იყოს მოწყვეტილი რეალობისაგან, ე.ი. იყოს განხორციელებადი.

ლიტერატურა და წყაროები:

1. ლუკასი რ., საბაზრო ეკონომიკა, თბ., 1997.
2. საქართველოში მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სამრეწველო პოლიტიკის კონცეფცია, თბ., 1999.
3. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის საკითხები, თბ., 1996.
4. Корнай Я., Путь к свободной экономике. М., "Экономика", 1990.
5. Макконелл К.Р., Брю С.Л. Экономикс. т.1.2. М., "Республика", 1993.
6. Маршалл А., Принципы экономической науки, т. 1,2,3. М., "Прогресс", 1993.

ნიკო ჩხეიძე

ეკონომიკურ ურთიერთობებში მართლმადიდებლობის ფასეულობათა ბაზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ

ეკონომიკური ურთიერთობების მართლმადიდებლობის ფასეულობათა ბაზრების ზოგიერთი საკითხის შესახებ

თანამედროვე პირობებში, როცა ასე მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და რიტმული გახდა ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკურ სუბიექტებს შორის წარმოიშვა მასიური, ინტენსიური კონტაქტები და სიგნალები, შეიძლება უწვეულოდაც გვეჩვენოს ეკონომიკის ძირითადი პრინციპებისა და მართლმადიდებლური მორალის შეთანაწყობა - უფალი, როგორც მოძღვარი სიყვარულისა, სიკეთისა, სათნოებისა და მიტევებისა და სამეურნეო საქმიანობის ორგანიზება, გაძღოლა, დღემუდამ ფიქრი, ზრუნვა კონკურენტების დამარცხებასა და ბაზარზე უპირატესი პირობების მოსაპოვებლად, პირადი ინტერესის როლის პრიორიტეტულობა, ერთი სიტყვით, ზრუნვა მხოლოდ მიწიერი ღირებულებებისათვის.

გადავხედოთ ზოგიერთ წინააღმდეგობას, რომელიც თითქოს სრულიად გამორიცხავს ეკონომიკის კავშირს ღვთის არსთან, რომელსაც, "როგორც არავის არასდროს ჩაუსუნთქავს მთელი პაერი, ასევე ვერც გონება დაიტევს მთლიანად და ვერც ხმა მოიცავს" (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი):

1. საბაზრო სისტემას, როგორც საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების მექანიზმს არ ახასიათებს რაიმე სა-

ხის ეთიკური პრინციპები: ის საოჯახო მეურნეობები (ე.წ. "პაუსპოლდები"), რომელთაც ეძლევათ შესაძლებლობა მატერიალური რესურსების დიდი რაოდენობა დააგროვონ მემკვიდრეობით, მძიმე შრომისა და მომჭირნეობის, განსაკუთრებული საქმიანი გამჭრიახობის თუ მოტყუების (!) მეშვეობით, დიდ შემოსავალს იღებენ და შესაბამისად, ეუფლებიან საზოგადოებრივი პროდუქტის დიდ ნაწილს. აქ მთავარია პირადი ინტერესის მოტივი, რომელიც აწესრიგებს ეკონომიკის ფუნქციონირებას¹ (შეად. კელვეციუსის თეორია და პირადი ინტერესის ეგოიზმთან გაიგივების შესაძლებლობა-ავტ.).

2. 2. მომხმარებლის დიქტატი და არჩევანის თავისუფლება მოითხოვს მეწარმისაგან ისეთი

საქონელი მიაწოდოს ბაზარს, რომელზეც არსებობს (მაღალია) მოთხოვნა. ფასების მართვნიერებელი ფუნქციაც მოგების მიღების სანაცვლოდ მეწარმეს კარნახობს ბაზრისათვის აუცილებელი საქონლის სახეობას, თუმცა ზოგიერთი ასეთი საქონელი და მომსახურება ქრისტიანული მორალისა და პრინციპებისათვის მიუღებელია (ვივი და ვეცხლსასროლი იარაღი, ალკოჰოლური სასმელები, უხამსი ვიდეო და სხვა სახის პროდუქცია და ა.შ.). ამასთან, საქონლის წარმოების პროცესი კონკურენტუნარიან სივრცეში დაგეგმვის და პროგნოზირების მკაცრ პრინციპებს (ზრუნვას ხვალინდელზე) უნდა დაექვემდებაროს. სახარება კი გვამცობს "ამრიგად ნუ იზრუნებთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავისთავზე. ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი საზრუნავი" (მათ. 7,34).

3. ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ამა თუ იმ დონით დამახასიათებელია ჩრდილოვანი ოპერაციები, როგორც კონკურენტების დამარცხების, მათი ბაზრიდან განდევნის, მაღალი მოგების (ხშირად შემოგების) მიღების მისწრაფება, კანონის დარღვევის მთავარი წინაპირობა (აღრიცხვა-ანგარიშგების გაყალბება, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების პირადი ინტერესების დაქვემდებარება და ა.შ.), ანუ "მიეცით კეისრისა კეისარს და ღვთისა დემეტოს" (მათ. 12,17) რთულად აღსრულებადია რეალურ ცხოვრებაში.

ნამონათვალი, რომელიც წინააღმდეგობათა ჯაჭვს წარმოგვიდგენს და ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისას ყოფიერი მიზნების მისაღწევად ქრისტიანულ დოგმებს არღვევს, შეიძლება გავაგრძელოთ. უფრო საინტერესო იქნება მათ შორის კავშირების ძებნა, თუ რამდენადაა შესაძლებელი საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში, ამ დროს წარმოქმნილ ურთიერთობებში დაცულ იქნას პატიოსნება და წესიერება, სათნოება და მოყვასის სიყვარული.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი წარმოებით ურთიერთობებში საკანონმდებლო რეგულირება, სამართლებრივი ბაზისა და სამართლებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფაა. საზოგადოდ,

¹ Макконнелл К., Брю С., Экономикс. М., Инфра-М, 2000. ст. 65.

ქრისტიანული ეპოქა საზოგადოების ცხოვრებაში კანონიერების დამკვიდრების ეპოქაა მოქმედების, საქმიანობის სფეროს განურჩევლად. იგავი მოწვევად სამართლებრივ გვამცნობს, რომ რჯულის მოწმის მიერ გამოსაცდელად დასმულ შეკითხვაზე “რა უნდა გავაკეთო, მოძღვარო, რომ საუკუნო სიცოცხლე დავიძვიდრო?” იესო პასუხობს: “რჯულში როგორ წერია? ‘შენ როგორ კითხულობ?’ (ლუკ. 10,25-26), ან კიდევ “არ იფიქროთ თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი” (მათ. 5,17). დასახელებულ იგავში ნახვენებია, რომ სამართლებრივ უპატრონა დატრიალს, უმწესს, მიიყვანა სასტუმროში, პატრონს 2 დინარი მისცა და უთხრა: “იხრუნე მასზე და, თუ ზედმეტი ხარჯი მოგივა, რომ დავბრუნდები, მოგცემ” (ლუკ. 10,35). ამდენად, ამ ურთიერთობებისათვის არ არის უცხო პატიოსანი სიტყვა მხარეებს შორის, ყოველგვარი ვალდებულებითი დოკუმენტის გარეშე.²

კანონმორჩილებას გამოხატავს უფალი კაპერნაუმში მისვლისას, როცა ემორჩილება დიდრამის ამკრებთ და იხდის სტატირს, რათა არ ცდუნდნენ ისინი (მათ. 17, 24-27). ნიშანდობლივია, რომ გადასახადის გადახდა (საგადასახადო აღმინისტრირება) და საბაჟოს გავლა ერთგვარად “იოლადსაცდური” საქმიანობის რიგს განეკუთვნებოდა და არცთუ იშვიათად უკავშირდებოდა “თამაშის აკრძალულ წესებს”. ამის დასტურია, რომ მებაჟე ფაქტობრივად ყოველთვის მოხსენიება ცოდვილთა გვერდით ან სინონიმად: “როდესაც მის სახლში დაჯდა, იესოსთან და მის მოწაფეებთან ერთად იჯდა ბევრი მებაჟე და ცოდვილი, რადგან მრავალნი იყვნენ იქ, ვინც გაჰყვა მას”. (მარ. 2,15), ან “ხოლო თუ არც ეკლესიას გაუგონებს, მაშინ იყოს იგი შენთვის წარმართი და მებაჟე” (მათ. 18,17) ან კიდევ “ხოლო თუ თქვენ თქვენი მოყვარულები გეყვარებთ, რა იქნება თქვენი სახლაური? განა მებაჟეებიც ასე არ იქცევიან?” (მათ. 5,46). გავიხსენოთ ასევე მებაჟე ზაქეს გულწრფელი აღსარება: “აჰა, უფალო, ჩემი ქონების ნახევარს ღარიბებს მივცემ და თუკი ვინმესთვის რაიმე გამომიძალავს, ოთხმაგად მივაგებ” (ლუკ. 19,8).

გადავხედოთ სამართლებრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფისა და ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთ თანამედროვე ელემენტს:

ა) სრული დასაქმების მიღწევა – სამუშაო უნდა პქონდეს ყველას, ვისაც სურს და შეუძლია მუშაობა, ანუ ერისკაცთა მეცადინეობა უნდა მიემართოს იმისაკენ, რომ ღვთის განხილებით ყველამ გამოიმუშაოს სახრდო, ღვთისაგან ბოძებული. ამასთან, ღვთიურ განგებას მინდობილი ბიზნესი უნდა ემორჩილებოდეს ცნობილ მცნებას, რომლის მიხედვითაც კვირაში 6 დღე პატიოსან შრომას უნდა ეთმობოდეს, ერთი (შაბათი) კი მხოლოდ ღმერთს; დაუპყვირდეთ, რომ კაპერნაუმში მისვლისას უფალი ემორჩილება რა გადასახადის გადახდის სავალდებულებას, პეტრეს ავალებს: “წადი ზღვაზე, ისროლე ანკესი და პირველი თევზი, რომელიც მოხვდეს, ამოიყვანე, გაუღე პირი და შიგ იპოვი სტატირს. წამოიღე იგი, მიეცი შენთვის და ჩემთვის” (მათ. 17,27). ყურადსაღებია, რომ გადასახადების მოპოვებას თვით იესოც მხოლოდ შრომის ხარჯზე მიიხსენებს გამართლებულად და პეტრეს თევზის დასაჭერად უშვებს – ბუნებრივია უფალს ჩვენსას არ გაუჭირდებოდა სტატირის მოპოვება ვალდებულების შესასრულებლად, როცა ხუთი პურით და ორი თევზით ხუთი ათასი კაცი დააპურა.

ბ) შემოსავლების სამართლიანი გადაანაწილება და ეკონომიკური გარანტიები – საზოგადოების ერთი (მცირე) ნაწილი მაღალ შემოსავლებს იღებს, როცა მეორე ნაწილს არასათანადო განათლება (კვალიფიკაცია) აქვს მიღებული და შესაბამისად, მათი შემოსავალი მცირეა. საზოგადოებაში ასევე არის მრავალი ხანდაზმული, ფიზიკური და გონებრივი ნაკლოვანების მქონე პირი. მოკლედ, საბაზრო სისტემა მნიშვნელოვან უთანაბრობას წარმოშობს უფლადი შემოსავლების (ეროვნული პროდუქტის) გადაწილებაში (შეად. ლორენცის მრუდი). სახელმწიფო, როგორც “სამართლიანი დესპოტი” მოვლდებოდა აღმოფხვრას უთანაბრობა.³

გ) ფასების სტაბილური დონის შენარჩუნება – უნდა გამოირიცხოს ინფლაცია ან დეფლაცია

² საგულისხმოა, რომ აღმსარებელმა მოძღვრის წინაშე უნდა მოინანიოს პირცვალება, ანუ პირობის გატეხვა

³ აღსანიშნავია, რომ IX საუკუნეში არსებობდა განსაკუთრებული გადასახადი – “გლახაკთა ნაწილი”, რომელიც ბაგრატ კურაპალატმა დააწესა. იგი გლახაკთა და უპოვართა დახმარებას ითვალისწინებდა. მსგავსი სახელმწიფო პოლიტიკა გაგრძელდა თამარის ეპოქაშიც. სამეფო ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ღარიბებისათვის თავშესაფრების აგებას, ანუ “სახლებს ღარიბთათვის”. ასეთი სახლების შენახვა, რაც ზოგიერთი მონაცემით სახელმწიფო შემოსავლების 5-10%-ს შეადგენდა, სახელმწიფო კმაყოფაზე იყო (უფრო დაწვრ. იხ. ივ. ჯავახიშვილი – “სამშენებლო ხელოვნება ძველ საქართველოში”, გვ. 63)

ცია, რასაც ეკონომიკური რეკვიზების გამოწვევა შეუძლია. ასების სტაბილურობა მშვიდობის, საზოგადოების მშვიდი თანაცხოვრების უმთავრესი გარანტია.

დ) ეკონომიკური ეფექტიანობა - მაქსიმალური უკუბუკების მიღება მინიმალური დანახარჯებით, ანუ ღვთისაგან ბოძებული სიმდიდრის, რესურსების მომჭირნეობით, რაციონალური გამოყენება.⁴

თანამედროვე, ცივილიზებული ბაზრის ძირითადი პრინციპია საბაზრო კონტრაგენტებისათვის თანაბარი, სამართლიანი მდგომარეობის უზრუნველყოფა, თუმცა არცთუ იშვიათია საბაზრო დეფორმაციები (მონოპოლიზმის ელემენტები, გავლენიანი ჯგუფების ზემოქმედება და ა.შ.), რაც ხელს უშლის სტაბილურობას და სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას წარმოშობს (შეად. ეკონომიკური ციკლის სახელმწიფო რეგულირების კეინსური თეორია). ბაზარი, როგორც რთული და ამავდროს ფაქიზი მექანიზმი, თითოეული მონაწილისაგან გარკვეულ მსხვერპლს (ხარკს) მოითხოვს. სანამ მიიღებ რაიმე აუცილებელს სხვა ადამიანებისაგან, უნდა შეგეძლოს მათთვის საჭირო, ფასეულის მინიჭება. გამოჩენილი მკვლევარი ფილიპ კოტლერი მარკეტინგს განიხილავს, როგორც საქმიანობის ფორმას, რომელიც მიმართულია მოთხოვნებისა და საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გაცვლის მეშვეობით. "თამაზდროვე მარკეტინგი გაცილებით მეტს მოითხოვს, ვიდრე კარგი საქონლის შექმნა, ხელმისაწვდომი ფასის დაწესება და მისი მიზნობრივ მომხმარებელამდე მიტანა... ფირმებმა ასევე უნდა განახორციელონ კომუნიკაცია (სტიმულირების კომპლექსი-ავტ.) თავიანთ დამკვეთებთან".⁵ ამდენად, საბაზრო კონტრაგენტების ურთიერთობა, როგორც მუდმივი პროცესი, ორმხრივ სარგებლიანობას უნდა ეფუძნებოდეს: "როგორც გინდათ, რომ თქვენ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისე მოექცეთ მათ" (ლუკ. 6,31). ამასთან, საქონელგაცვლასა და საერთოდ, საქონელმიმოქცევასთან დაკავშირებული ურთიერთობების საფუძველი გაცვლაში მონაწილე სუბიექტების თავისუფლების ფონზე ნამოყალიბებული ინტერესთა თანასწორობაა, როცა თითოეული მათგანის გადაწყვეტილება ასე-

ვე თავისუფალია ვინმეს ან რაიმე ორგანოს დირექტივისაგან, (ადმინისტრირებისაგან), ანუ გარიგების ექვივალენტობის პრობლემა თვით გარიგების მონაწილეთა გადასაწყვეტია. სწორედ ასეთი სიტუაცია განაპირობებს გამყიდველისა და კლიენტის ერთგვარ პარმონიას. ბიბლია დალადებს: "როცა რაიმეს მიჰყიდი შენს თვისტომს, ან რაიმეს იყიდი შენი თვისტომისაგან, ნუ მოაჩუქებთ ერთმანეთს".

რწმენისა და ბიზნესის სინთეზი აუცილებელი პირობაა მეწარმე-მართლმადიდებლისათვის. მიგვანხია, რომ ეკონომიკური პროცესების მონაწილეთა არარელიგიურობა ან ნაკლები ღვთისმოსიანობა შესაძლოა ბაზრის ეფექტურობის რღვევის ძირითად მიზეზად იქცეს. აღნიშნულს შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური ციკლების ვარდნისა და დეპრესიის სტადიების გააქტიურება, კრიზისული სიტუაციები, რაც თავის მხრივ იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას, უმუშევრობის ზრდას, პირადი შემოსავლების მკვეთრ დეფერენციაციას, ქონებრივ და სოციალურ უთანასწორობას და ა. შ.⁶

საბაზრო სისტემაში საქონლისა და მომსახურების წარმოება განიხილება შეზღუდული რესურსების პირობებში. როგორც ცნობილია, ძირითადი რესურსებია: შრომა, სამეწარმეო უნარი (არამატერიალური რესურსები), მიწა და კაპიტალი (მატერიალური რესურსები). მიწა, როგორც ეკონომიკური კატეგორია, მოიცავს არამარტო სახნავ-სათეს სავარგულებს, არამედ ნავთობისა და ბუნებრივი აირის საბადოებს, მინერალებს, მადნებს და ა.შ., ბუნებისაგან (ღვთისაგან) ნაბოძებ მთელს სიმდიდრეს. მიწის ფლობის საკითხის განხილვა სცილდება ამკვეთნიურ რეალიებს. ადამიანი სიმბოლურადაა ამ რესურსების მფლობელი, რომელსაც მას ღმერთი უძღვნის, ანუ ადამიანის ამკვეთად მოგვლინება დროებითად აქცევს მიწაზე მის საკუთრებასაც. ამდენად, მიწის მესაკუთრე ფაქტობრივად არის სიმბოლური მმართველი, მენეჯერი მართვის უფლებით. შესაბამისად, ღმრტისაგან ნაბოძები სიმდიდრის მმართველს უპირველესად ღვთის წინაშე ეკისრება პასუხისმგებლობა.

კაპიტალი საინვესტიციო რესურსია და მოიცავს მანქანებს, დანადგარებს, მოწყობილობებს

⁴ აღმსარებელი მორწმუნის მიერ მოძღვრის წინაშე აღიარებულ ცოდვას განეკუთვნება ფულის უღანგა.

⁵ Котлер Ф., Основы маркетинга. М., "Прогресс", 1991, ст. 33.
⁶ ამ მხრივ ბევრს გვახსენებს ქართული ეროვნული ვალუტის ბანკოტებზე წმინდა თამარ მეფის წმინდა დავით აღმაშენებლის, წმინდა ილია მართლის გამოსახვა. გავიხსენოთ ისიც, რომ ამერიკულ დოლარზე წარწერა In God We Trust (ხვენ გვწამს ღმერთი) ჯერ კიდევ 1864 წელს დაიტანეს, რაც გავრცელებული აზრით, შემდგომში დოლარის ძლიერების საფუძველი გახდა.

და ა.შ. ამ საშუალებათა წარმოება და დაგროვება არის სწორედ ინვესტირების პროცესი. მართლმადიდებლობის დამოკიდებულება სიმდიდრისაკენ მისწრაფების, დაგროვების მიმართ მრავალმხრივ გააზრებას მოითხოვს. აქ მთავარია სულიერი მარგალიტების ძიება და დაგროვება, მიწიერი სიმდიდრის ძებნა კი ამათა, ფუჭია: “დაიმზადეთ უცვეთელი ქისები, საუკუნოდ უღვევი საუნჯე ზეცაში, სადაც ქურდი ვერ მიეკარება და ჩრხილი ვერ დააზიანებს, ვინაიდან სადაც თქვენი საუნჯეა, გულიც იქ იქნება” (ლუკ. 12, 33-34). შეიძლება თუ არა ცალკეულ შემთხვევებში მიწიერი სიმდიდრის დაგროვება ნიშნავდეს სულიერი სიმდიდრის დაგროვებასაც? თუკი მატერიალური ფასეულობების (ღირებულებების) დაგროვება მიმართულია ღვთის მცნებათა აღსასრულებლად, ადამიანთა სასიკეთოდ, ამგვარი ქმედება გამართლებული და საცხონებელია. ამქვეყნიური სიკეთებისადმი მისწრაფება მფლობელს ენების მონად აქცევს: “არ უნდა ისურვო ისეთი რამ, რომელსაც ოდესმე ვეღარ მოიხმარ და რომლის მუდმივ ფლობასაც ვერ შეიძლებ” (წმ. ნილოს სინელი). წუთისოფლის კეთილდღეობაც ხომ ამაო და დროებითია – იგი სულაც არ არის უცვლელი და სიხარულს მწუხარება და ვაება მოჰყვება (ეკონომიკურ (საქმიანი აქტივობის, კონიუქტურული) ციკლში, რომელიც ეროვნული ეკონომიკის რეგულარულად განმეორებად მდგომარეობას ასახავს, დეპრესიის, დაცემის, გამოცოცხლებისა და ზრდის სტადიები ურთიერთმონაცვლეობენ. ეკონომიკის სწრაფი “გამოჯანმრთელება” კი ღვთიურ პრინციპებს დამორჩილებული საქმიანობის სწორად წარმართვაზე დამოკიდებული). ამდენად, სექტორული სისტემისაგან განსხვავებით, მიგვაჩნია, რომ მიწასა და ზეცაში სიმდიდრის დაგროვებას შეიძლება მოეძებნოს გარკვეული ალტერნატივა.

შრომას და სამეწარმეო უნარს ეკონომიკა განსაკუთრებულ არამატერიალურ რესურსად განიხილავს. შრომა, როგორც ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ხარჯვა საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში, სამეწარმეო უნარი კი, როგორც განსაკუთრებული რესურსი. მეწარმე გამოდის ყველა რესურსის შერწყმის ინიციატორად და დადებითი კატალიზატორის როლს ასრულებს საწარმო პროცესებში. იგი მამოძრავებელი ძალაა საბოლოო

შედგენის – მოგების მისაღებად, ეწევა ბიზნესთან დაკავშირებულ მთელ რისკს და ნოვატორიცაა შეიტანოს პერიოდული კორექტირება ახალი სახეობის საქონლის, ტექნოლოგიების დასანერგად და ა.შ. საკითხთან მიმართებაში გამოვეყოფთ რამდენიმე ძირითად ასპექტს:

ა) მხოლოდ პატიოსანი, ღვთივსათნო საქმიანობის (შრომის) შედეგად საზრდოს მოპოვება, როგორც ქრისტიანული შრომითი მორალის ქვაკუთხედი: “ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება მისი გზებით. შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ!” (ფსალმ. 127).

ბ) სამეწარმეო უნარი არის განსაკუთრებული უნარი, რომელიც გერგილიანობას, განსაკუთრებულ ეკონომიკურ აღქმას პროგნოზირების უნარს და მრავალ სხვა თვისებას მოიცავს. შეიძლება საკმაოდ კარგი თეორიული ეკონომიკური განათლება მიიღოს ინდივიდმა, შეისწავლოს ენები და ა.შ., მაგრამ სათანადო სამეწარმეო უნარი არ აღმოაჩნდება. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღვთისაგან ბოძებული უნარი.

გ) მეწარმე ორგანიზებას უკეთებს საქონლისა და მომსახურების წარმოებას არა საკუთარი თავისათვის, არამედ სხვებისათვის. საბაზრო სისტემაში, რომელიც შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას და საქონელგაცვლას ეყრდნობა, წარმოება მრავალჯერადი პროცესია. მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა თვითონ არ აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც მოიხმარს, ან იმის მცირე ნაწილს მოიხმარს, რასაც აწარმოებს.

დ) რაც უფრო წარმატებულია მეწარმე (სხვებისათვის), მით მეტი რესურსების კონცენტრაცია ხდება მასთან – საბაზრო მექანიზმის მაღალი ეფექტურობა აჯილდოებს მეწარმეს წარმატებული მუშაობისათვის. მეწარმე სიკეთის მქმნელია, თუკი ბიზნესის ეფექტური ორგანიზებით (მაგ., ხელმისაწვდომი ფასები ხარისხიან საქონელზე და ა.შ.) ადამიანებს აძლევს შესაფერის, ანაზღაურებად სამუშაოს.⁷ ამდენად, როგორც წმინდა წერილი გვასწავლის, “საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით, რადგან როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე რწმენაც მკვდარია საქმეთა გარეშე” (იაკ. 2,24-26).

ღირს ვიფიქროთ, რომ კაპიტალის დაგრო-

⁷ ჯანსაღი სამეწარმეო ურთიერთობების კვდომით შექუხებულმა უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ 1999 წელს საქართველოს პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა: “თუ დამწვები წარმოებები არ განთავისუფლდებიან მიძმე გადასახადებისაგან, ვერაფერი ვერ გაიხარებს... სვენ ვერ შევძლებთ უმუშევართა არმიის დასაქმებას. მე ძალიან ბევრს ვფიქრობ იმის შესახებ, თუ რა წარმოებები შეიძლება იყოს განვითარებული საქართველოში”.

ეების პროცესში მთავარია არა ის, თუ რამდენს ფლობს ინდივიდი, არამედ როგორ მოიპოვა და რა ნორმების დაცვითაა ჩართული ეკონომიკურ ურთიერთობებში. “რადგან ვისაც აქვს, მას მიეცემა, და ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაცა აქვს” (მარ. 4,25). უპრიანია ღრმად ჩაუკვირდეთ ამ სიბრძნეს. მქონებელია, ვინც ეფექტურად იყენებს საკუთარ ქონებას (სიმდიდრეს) სხვათა სასიკეთოდ, არამქონებელი კი რომელმაც არ იცის ან არ შეუძლია ამის კეთება. თუმცა, სიმდიდრის ქონა არ ზღუდავს ქველმოქმედების არეალს. უფალი ამბობს: “გაყიდეთ ქონება თქვენი და გაეცით მოწყალება (ლუკ. 12,33)”. უფალს არ უყვარს მოწყალება, რომელიც თვალთმაქცურად, ანგარებით კეთდება და რომლის მიზანია ქების დამსახურება რაიმეს მიღების (ტაში, დიდება, წოდებები, საზოგადოებრივი აღიარება) სანაცვლოდ: “შენ კი, როცა მოწყალებას გასცემ, შენს მარცხენას ნუ ეცოდინება, რას აკეთებს შენი მარჯვენა” (მათ. 6,3). სესხის გაცემასა და ამა თუ იმ საქმიანობისათვის ფინანსური სახსრების მოპოვებაში სასურველია არ შეიქმნას დამაბრკოლებელი გარემოებანი, რაც სათნოებასთან ერთად, ეკონომიკურ ურთიერთობათა სტიმულირების, ადამიანთა დასაქმებისა და კეთილდღეობის საფუძვლად უნდა იქცეს. უფალი გვარიგებს: “ვინც გთხოვოს, მიეცი; ზურგს ნუ შეაქცევ იმას, ვისაც შენგან სესხება სურს” (მათ. 5,42).

ეკონომიური ურთიერთობებისათვის ერთ-ერთი უმთავრესია ბიბლიური მცნების “არ იპარო” დაცვა. იგი პირდაპირი მნიშვნელობით გაგებასთან ერთად და გაცვილებით ტყვადი და მრავლისმეტყველია თანამედროვე საქმიანი ურთიერთობებისათვის. მაგალითად, ხელფასების გაუსტუმრებლობა, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესუსტება, თაღლითობა (საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების დამახინჯება და გაყალბება), კონკურენტებთან არაკეთილსინდ-

სიერი ბრძოლა (ფასების შეკავება, დემპინგი, ფასების ფიქსირება, არაკეთილსინდისიერი რეკლამა), ასევე კლიენტთა მოტყუება, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება, ძალადობა და შანტაჟი კონკურენტებთან ბრძოლაში, კლიენტებთან ურთიერთობის ხელფენურად გაფუჭების მიზნით, ქილერების მიგზავნა და ა.შ. ღვთისმგმობი ქმედებებისათვის ვერდიქტი ერთია: “რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითვე მოკვდეს”.

ამდენად, მოკრძალებულად შევეცადეთ გაგვევლო ზოგიერთი პარალელი ღვთიურ სიბრძნეს, უხენაესის ფასეულობებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის. აუცილებელია აღიარება იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობა, ბიზნესის უხენაესი გაგება ღმერთს უკავშირდება, რამდენადაც ღმერთი საწყისია, მისი კურთხევის გარეშე არც ერთი საქმე არ აღესრულება. ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ წარმოების, გაცვლის და რესურსების ეფექტიანად განაწილების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებთან, არამედ მისი განხილვა უწინარესად საჭიროა, როგორც ადამიანისა ღმერთთან და მის კანონებთან. ამ სახით წარმართული ეკონომიკური საქმიანობა საწინდარია ბიზნესის რეალიზებისა, როგორც სულის გადარჩენისა, ამ საქმიანობაში მიღწევების ან წარუმატებლობის მიუხედავად. მაგანთა აზრით, შეუძლებელია აქტიურად ჩაება ეკონომიკურ ურთიერთობებში (ბიზნესში) და დაიცვა ბიბლიური მცნებები და ძირითადი მართლმადიდებლური ფასეულობები, რაც ეშმაკეული შეგონებაა. ცალსახად აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია, თუმცა ეს იქნება დიდი ძალისხმევის, სულიერი ზრდის, მთმინებისა და ღვთიუციყვარულის შედეგი და თუკი ეკონომიკური ურთიერთობები კაცობრიობის უდიდესი გამოგონებაა, ყოველი გამოგონება შესაძლოა ღვთის სამსახურში ჩააყენო და ადამიანის სასიკეთოდ მიმართო.

ლიტერატურა და წყაროები:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991.
2. ბიზნესი ბიბლიის მიხედვით. ჟურნ. “გადასახადები”, №22, 2004.
3. მორწმუნის მოვალეობანი. ჟურნ. “კარიბჭე”, №4, 2007; №6, 2007.
4. უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვა საქართველოს პარლამენტის სახეიმო სხდომაზე. 1999.
5. Кандалинцев В., Бизнес во Христе. Эльверсия, www.sobor.vinchi.ru

სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ერთი საპირობისათვის

"იცოდეთ დროს კი არა, ღმერთს უნდა ვმსახურებდეთ".
წმ. ათანასე დიდი

დღევანდელ პირობებში, გლობალურ პრობლემათა ფონზე, თვალშისაცემი ხდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მანუვრების შენარჩუნებისა და ზრდის პერსპექტივების გზების ძიება, რაც გამოწვეულია, პირველ რიგში, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაციით. მასობრივმა უმუშევრობამ და უკიდურესმა სიღარიბემ თავისი დადი დაასო მოსახლეობის უდიდესი ნაწილის არასრულფასოვან კვებასა და მის ჯანმრთელობას. უსახსრობის გამო იძულებული ხდებოდა სოციალურად დაუცველი და დაბალშემოსავლიანი ფენის მოსახლეობა, რომ მიიღოთ მცირე კალორიული საკვები და ავადმყოფობის შემთხვევაში ემკურნალოთ შინ დამოუკიდებლად, ექიმთან კონსულტაციის გარეშე, თანაც იაფფასიანი მედიკამენტებით, ან ზოგჯერ "ვიდაცის" ნაკარნახევი "ხალხური" სამკურნალო ხერხებით, რაც ხშირად უსარგებლო ან უკიდურეს შემთხვევებში, საბედისწირო შედეგით მთავრდებოდა. ასე მაგალითად, საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულ დაავადებათა რიცხვმა იკლო და 1990-1995 წწ.-ში 61%-ანი კლება დაფიქსირდა. ეს გამოწვეული იყო ზემოდაღნიშნული პირობებიდან და არა მისი ბუნებრივი კანონოზომიური კვებით. შედარებით სტაბილური მდგომარეობა შეიქმნა 1995-1998 წწ. და ეს შემცირება იცვლება 16%-დან 9%-მდე¹.

ამავე წლების ბავშვთა დაავადებისა და წვილბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტიც დინამიკაც არასახარბიელოა და, ამასთან, ინფორმაციულად არასრულყოფილი. კერძოდ, 1992 წელს წვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი 12,4%—დან (1992წ., რაც საეჭვოდ მცირეა, მით უმეტეს, რომ 1993 წელს საერთოდ ვერ მოხერხდა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის საერთო მანუვრებელთა გაანგარიშება საინფორმაციო ბაზის არქონის და, მთლიანობაში, უაღრესად მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სააღრიცხვო საქმიანობის მოშლის გამო) გაიზარდა 15,2%-მდე (1998წ.)*. ასეთი "ნავარდნები" სხვა ადგილებზეც გვხვდება. ასე მაგალითად, საქართველოში 1992-1993 წწ. ოფიციალურად რეგისტრირებული უმუშევრების რიცხვონობა მცირდება 673,2 კაცით, ანუ 61,7%-ით (?!)²,

იგივეს თქმა შეიძლება მოსახლეობის საშუალოთვიური შემოსავლების დინამიკაზე და ა.შ.

მდგომარეობა თითქოს გაუმჯობესდა საუკუნის დასასრულს, მაგრამ მაინც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. მკვეთრად განსხვავებული კორდინაცია და დიფერენცია შეინიშნება საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებების მოსახლეობის საშუალოთვიურ შემოსავლებში. საერთო ჯამში, ქალაქად და სოფლად იგი თანაბრდება სოფლის მოსახლეობის არაფულადი შემოსავლების ხარჯზე, ხოლო დაქირავებული შრომიდან პირველი აღემატება მეორეს 4,4-ჯერ.³ ამავე პერიოდში, ასევე მძიმე შედეგებია სიღარიბის დონეებში ქალაქი-სოფლის მიხედვით საარსებო მინიმუმის მიმართ და ა.შ.

ამ და სხვა მანუვრებელთა 1992-2000 წწ. დინამიკა იძლევა საქართველოს მოსახლეობის უაღრესად მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, რამაც მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებში გააძლიერა მომავლის უიმედობა და ნიჟილიზმი, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესობის მიზნით შიდა და გარე მიგრაციების მკვეთრი ზრდა, მოსახლეობის ავადობის მთავრებული დონე, უმუშევრობის მაღალი დონის ფონზე კრიმინოგელური სიტუაციის ასევე მკვეთრი მატება და სხვ.

21-ე საუკუნეც ბევრად არ გამოირჩა ამ პირობების გაუმჯობესობით. 2000-2005 წწ. უმუშევრობის დონე გაიზარდა 5,9%-ით, სამომხმარებლო ფასების ინდექსი - 32,3%-ით, საშუალოთვიური სამომხმარებლო ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 2002-2005 წწ. - 25,6%-ით, სიღარიბის დონე 17,7%-ით, მოსახლეობის ავადობის დონე 2000-2003 წწ. - 42,2%-ით,⁴ 2003-2005 წწ. კი - 20,9%-ით⁵ და ა.შ.

საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ტოლფასად აისახა მოსახლეობის ბოლო პერიოდის ბუნებრივ მოძრაობაზე. 2000-2004 წწ. შობადობა იმატებს 4,5%-ით, მოკვდაობა 5,6%-ით და, საერთო ჯამში, ამ პერიოდში გვაქვს დემოპულაცია და ბუნებრივი მატების კოეფიციენტი მცირდება 33,4%-ით⁶.

ეკონომიკური თრეზორი

¹ საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 1999 წ., გვ. 110-111
² იქვე, გვ. 40
³ იქვე, გვ. 26-27
⁴ საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2000 წ., გვ. 68-69
⁵ სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა, ტენდენციები ციფრებში, №22, 2006 წ., გვ. 11-12,19,21 და 26 და საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2005 წ., გვ. 71 ა.შ.
⁶ წყარო: www.statistics.ge
⁷ საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2004 წ., გვ. 41 და www.statistics.ge

ამდენად, ზემოთ ჩამოთვლილმა პირობებმა და მიზეზებმა განაპირობეს მოკვდაობის კოეფიციენტის შობადობაზე ურო მაღალი ტემპით ზრდა, ამას დაემატა ბოლო პერიოდში მოსახლეობის უმწველ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებზე გაწეული დახმარებების მკვეთრი შემცირება და საინტერესოა, ასეთი დინამიკის საფუძველზე, როგორი იქნება პროგნოზი?

საზოგადოების პირველად უჯრედს ოჯახი წარმოადგენს. თუ ცალკეული ოჯახები ძლიერი (მრავალწევრიანი) და მაღალ შემოსავლიანია, მაშინ სახელმწიფოც ეკონომიკურად ძლიერია, რამეთუ პირველის მდგომარეობის პირდაპირი შედეგი მეორეა. მაგრამ ოჯახის მარნენალი წევრების (მშობლების) დაბალმა შემოსავლებმა, მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ და უმუშევრობამ თავისი დალი მაინც დაასვა ქართველი ერის მდგომარეობას ფიზიკური და სულიერი თვალსიზრისით და, შესაბამისად, ასეთ პირობებში ცხოვრებაც გაძნელდა და, რაც მთავარია, შემცირდა ქართველი კაცის საუკუნეების მანძილზე ნაქები დღევრძელი სიცოცხლე და ბატონდება „ნაადრევი“ სიკვდილი.

საზოგადოების ჯანმრთელ არსებობაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, რაც ამჟამად არაეფექტურად ჩანს, და ცალკეულმა მოქალაქეებმა ინდივიდუალურად. ხელისუფლების ჩვეული დაპირებებზე დაყრდნობა სიტუაციას ვერ გამოასწორებს. ამდენად, ძირითადად გერსება ინდივიდუალური მცდელობა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამისათვის კი რა გზას უნდა დაადგეს მოსახლეობა?

ჩვენი აზრით ამ მთავარი პრობლემებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივმართოდ მოკვდაობის მანვენებელთა შემცირებისათვის, რომ გავზარდოთ ქვეყანაში მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. შობადობა „სულ უფრო ახალ-ახალი თაობების, ბავშთაშობის პროცესის ინტენსივობაა, ხოლო მოკვდაობა, ასევე, უწყვეტი პროცესია - თაობათა სიცოცხლის შეწყვეტით, მთლიანობაში, ცალკეულ ადამიანთა გარდაცვალების გარდაუვალი შედეგი“⁸ (ძალზედ საინტერესოა მოკვდაობის წმ. მამების განმარტებაც, რომელსაც ქვემოთ შევეხებით).

როგორ ვიბრძოლოთ საქართველოს მოსახლეობის მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მანვენებლის ზრდისთვის და მოკვდაობის ინტენსივობის შემცირებისათვის? პირველ რიგში ამ საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომით და პროდუქტიული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება-გატარებით, რომელიც უნდა გახდეს "საშუალებათა და არა მიზნების პოლიტიკა.

მოსახლეობის მატების მანვენებლები არ არის ბოლო სიდიდეები... ესაა ორიენტირები, რომელთა ვარიანტებით შეიძლება მივალწით განსახლვრუ მიზნებს“¹⁰.

მეცნიერთა დასკვნებით ცნობილია, რომ მოკვდაობის ასეთმა განვითარებამ, კერძოდ მოკვდაობის ინტენსივობის ზრდამ შობადობაზე, შეიძლება საკვალალო შედეგებამდე მიიყვანოს როგორც ცალკეული რეგიონის, ისე მთელი ქვეყნის მოსახლეობა კერძოდ, "შეიძლება სრული საფუძველიანობით დამტკიცოთ, რომ შობადობის ამაღლებისათვის თუ არ იქნება მიღებული აქტიური ზომები, მაშინ უახლოეს წლებში ზოგიერთ ოლქში, სადაც მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა უკვე არახელსაყრელია, შეიძლება მოკვდაობის შობადობაზე გადაჭარბების რეგისტრაცია მოხდეს“¹¹.

ჩვენი აზრით, ხსნა ქრისტიანული ცხოვრების წესში უნდა ვეძებოთ. ვინაიდან უკიდურესი გაჭირვების დროს, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე სწორედ სასოება და რწმენა გადაარსენდა ერს. ამდენად, მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მოსახლეობის პოპულაციის ზრდისათვის და სხვა სოციალური მოვლენების მართვისათვის უფრო მართებული და ნაყოფიერი გამოდგება დღეს "ნაადრევი" სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლის ქრისტიანული ზნეობრივ-მორალური კუთხით მიდგომა. ვნახოთ რას გვასწავლის ბიბლია, წმიდა მამები და გზასაც შევიცნობთ.

უფალმა გააფრთხილა ადამი, რომ მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ, მოკვდები (დაბ; 2,17). წმიდა მამათა სწავლებით - ასეთი მუქრით სიკვდილი არ შეიძლება მივიღოთ უცვამისიერ მოვლენად (მეყსუყვალად გარდაცვალება არამედ როგორც პროცესი: ავადმყოფობისა, დაუღურებისა, ან ჯანის გამოცლისა, რაც განსაკუთრებით საგრძნობი ხდება სხეულის დაავადებით და სულის მწუხარება-სევდიანობით. ცოდვით დაცმით ადამს წაერთვა უკვდავება და მოიპოვა უსიკური სიკვდილი.

პავლე მოციქული გვარიგებს, რომ „...როგორ ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა ქვეყნურებაზე, ხოლო ცოდვის მიერ-სიკვდილი, ასევე სიკვდილი გადავიდა ყველა ადამიანში, იმიტომ, რომ ყველამ შესცოდა ამაში“ (რომ, 5,12). გამოდის, რომ ადამის და ევას დაცემის შემდეგ (დაბ, 3,6) სულ მთამომავლანიც, ცოდვილნი გავხდით, ე.ი. მოვდავნი და შედეგმაც არ დააყოვნა. მიწაზე დაფიხირდა პირველი ფიზიკური სიკვდილიც - კანონი მოკლა აბელი.

⁸ წყარო: www.statistics.ge

⁹ Населения мира. Демографический справочник, Мысль, V., 1989 г., ст. 25; Вишневский А. Воспроизводство населения общества, V., АиС, 1982 г., ст. 7-8.

¹⁰ Берельсон Б., Некоторые заметки о регулировании процессов народонаселения, В кн.- проблемы народонаселения, о демографических проблемах стран Запада, М., 1972 ст. 6; Вишневский А. Демографическая политика и демографический оптимум, В кн:- Демографическая политика, М., 1971 г., ст. 69-70.

¹¹ Бедный М., Демографические процессы и прогнозы здоровья населения, М., АиС, 1972 г., ст. 15.

მოუხედავად დაცემისა, დმერთმა უსახლვრო სულგრძელობისა და შეუდარებელი კაცობიერებით მიიწვია არ გაწირა ადამიანთა მოღვაძე და, შესაბამისად, მათი სიცოცხლის ხანგრძლივობაც მაღალი იყო, უძრავეს შემთხვევაში, „მაქსიმუმსაც“ აღწევდა. მაგალითად, მათუსალამ ცოცხლად 969 წელი, იარედმა - 962 წ., ნოემ - 950 წ., სითიმ - 912 წ., კანაანმა - 910 წ., ენოსმა - 905 წ. თუ დავაკვირდებით იმავედროულად შობადობის კოეფიციენტს, იგი მაღალი იყო ამ პერიოდებისათვის. (უშვილობა ღვთის რისხვად ითვლებოდა, რაც იშვიათად ფიქსირდებოდა). ამასთან, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდები, რომ მოკვდაობის დაბალი კოეფიციენტების ხარჯზე იზრდებოდა მოსახლეობა "ვითარცა ზღვაში ქვიშა..." და ღვთის მოშიშობით ისინი ხანგრძლივად ცოცხლობდნენ. ცნობილ გარემოებათა გამო, შეუძლებელია გამოთვლა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის წარდგინა. მაგრამ უსაფუძვლო არ იქნება იმის მტკიცება, რომ მაშინდელი ცივილიზებული სამყაროსათვის (სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, სამხრეთ-დასავლეთი აზია და ჩინეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკა და სხვ.) ჩათვალოს ბევრჯერ მეტად, ვიდრე ეს აქამდე იყო მიღებული. წმ. მამათა სწავლებით სიცოცხლის ხანგრძლივობის მაღალი შედეგები განპირობებული იყო ადამიანთა მიერ სადენილი შედარებით ნაკლები სიმძიმის ცოდვების სისშირით, რამეთუ სულს ამძიმებს ცოდვები და რაც უფრო დამძიმებულია იგი, მით უფრო ავადმყოფობს სხეული და მალე შეიძლება დადგეს "ნაადრევი" სიკვდილიც.

წარდგინის შემდეგ სიცოცხლის ხანგრძლივობის ასეთი მიღწევები აღარაა დაფიქსირებული, თვით უფალი აკანონებს ადამიანებისთვის "კაცის ხანი"-ს მაქსიმუმს - 120 წელს. ადამიანებმა თავიანთი ცოდვით დაცემის ინტენსივობით დაკარგეს ასწლეულები და ხანმოკლე სიცოცხლეც დაიშინებულეს. ამ პერიოდისათვის ცნობილ მედიკოსთა და დემოგრაფთა გამოთვლით სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 26 წელს აღწევდა, რაც ძალზედ მცირედ და საკამათოდ მიგვაჩნია. მართებულია ის მსჯელობა, რომ ეს ძირითადად გამოწვეული იყო რთვ ქვეყნებში ომებით, ეპიდემიებითა და ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობით. წმ. დავით მეფესაღმუხე მოსე წინასწარმეტყველის ღოცვას ვაღაობით გადმოგვცემს: "...რამეთუ ყოველნი დღენი წუენნი მთაჲ დღეს და რისხვითა შენითა მოგაკლდით წუენ; წუენი წუენნი ვითარცა დედაზარდლი იწურთიდეს. დღენი წუელიწადთა წუენთა მათ თანა სამყოცდათ წუელ, ხოლო უკუეთუ მოვიდა წუენ ზედა სიმშვიდე და წუენ განვისწავლენით" (ფს. 89, 9-10).

თუ თვალს გადავაკლებთ ებრაელთა ბიბლიურ ისტორიას, მათი ცოდვების საზღაურად ღვთისგან დასჯა იყო ხილარობე, შინაგანი კეთილდღეობის არამდგრადობა და სიცოცხლის ხანგრძლივობის შეკვეცვა. ღვთისმეტყველთა განმარტებით მათი ცხოვრება გართულდა და დამძიმდა; ის გახდა ძლიან მოკლე წინაპართა სიცოცხლის ხანგრძლივობასთან შედარებით. ამ დროს უკვე 70 წლიდან 80 წლამდე აღწევს შედარებით ძლიერნი¹². შეიძლება დავასკვნათ, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის მოდელური მაჩვენებელი 70 წელი იყო და, ამასთან, ადამიანი სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ხარჯავდა შრომასა და ავადმყოფობაში (საღმობაში).

გადაიღა დრო და ცივილიზირებული აღმოსავლეთი მოთმინებით ელოდებოდა მესიის - ქრისტეს გამოჩენას. მაცხოვრის ხორცის შესხმამ, ანუ კაცური ბუნების მიღებამ უდიდესი სიხარული მოუტანა დედამიწის მცხოვრებთ. მან მართლაც რომ გაახლა სიცოცხლის წყურვილი ტანჯულ დროში და ცხოვრების მიზანიც დაანახა ერებს "და როგორც ხორციელ სიცოცხლეში ვერ დავრწმუნებთ ერთ ხნოვანებაში და გავივლით ასაკთ: ყრმობისა, სიყმაწვილისა, დაავადებებისა და სიბერისა, ასევე სულიერ სიცოცხლეში არ შეიძლება მთელი სიცოცხლე რწმენაში ყრმებად დავრწმუნოთ, არამედ უნდა ვეცადოთ ვიზრდოთ ნელ-ნელა, ძალიდან ძალიამდე, - იმ დრომდე ვიდრე არ მივაღწევთ იესო ქრისტეს სრულ ასაკს".¹³

დმერთი იძლევა სიცოცხლის შემქნელ საწყისებს. იგი მოითხოვს სიწმინდეს, სიმართლეს, სიყვარულს - მოკლედ იმას, რასაც წვენ სიკეთეს ვუწოდებთ. სწორედ ესაა ღვთის მცნებანი და ადამიანური ბედნიერების წყარო. ჰდმერთისთვის ყველა ადამიანი - ერთი ოჯახია, რასაც მისცემს იგი ერთს, იგივეს აძლევს ყველას¹⁴, ხოლო სიკვდილი, როგორც ცოდვის ღალა, რა თქმა უნდა, გარდაუვალია ყველა ცოცხლისათვის, მაგრამ ღვთის მოყვარულს ისიც სიკეთეში შეეწევა. თუ გვსურს მართლად ბედნიერი ვიყოთ, უპირველეს ყოვლისა ამ გაუხადლის დღეებში, კეთილ და მართლმორწმუნენი უნდა დავრწმუნოთ. დმერთი ადამიანს სიცოცხლეს უნარწუნებს მაშინ, როცა ადამიანის გაანგარიშებით შეგდა აღარაა, ამასთან იგი უდგენს მას ასევე სიცოცხლის ზღვარსაც, როცა იგი ამას საერთოდ არ ელოდება.

კმუნება, სევდა, ფიქრი, სტრესი, ჯავრი მომავალზე ღვთის ნებით ეგზავნება ადამიანს. თვით სიკვდილსაც, როცა ან როგორც არ უნდა მოვიდეს, თითოეული სვენთაგანი უნდა შეეხვედეთ, როგორც მარადიული განსვენებისა და სიმშვიდის მოუწყებელს, რომელიც გარდაუვალია და ადრე თუ გვიან კარზე მოგვადგება. მიძმე მდგომარეობაში ჩავარდა ქართველი ერი. უძიმდობას დაუპყრობს ის, შექმნილი მდგომარეობით გაოგნებულია პატიოსანი ქართველი ერი და სრულიად მოსახლეობა, თუმცა სად ნანს სულმცხ ნაბუდებული შეურთგებული ბრძო-

¹² Тольковая Библия или Комментарий на все книги Св. Писания Ветхого и Нового Завета, Т. 1, П-Б, 1904-1907 г., Псалтырь, ст. 311
¹³ ღაზარეს აღგინება, თბ. 1001 გვ. 135
¹⁴ Творения иже во святых Отца нашего - Теофена Затворника, изд. "Свято-успенского Псково-Печорского Монастыря и издательства "Половник", 1994 г., ст. 448.

ლის უინი ბორტების, უკანონობისა და გაჭირვების წინააღმდეგ?

გამოდის რომ ხსნა ჭეშმარიტ რწმენაშია. მხოლოდ ის გადაგვარდნის! "ჭირი გექნებათ ქვეყნად, მაგრამ გამხსნევდით: მე ვიღლი ქვეყანა (იაონე, 16,33). ასევე გვამხსნევებს მოციქულნიც "... მაშ, დაითმინე ჭირი, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მუომარმა" (2 ტიმ. 2, 3) და "მიწის მუშამ პირველმა უნდა იგემოს ნაყოფისაგან" (2 ტიმ. 2, 6).

ასე რომ ნუ შეეშინდებით, ჩვენი სიკეთით ჩვენს საზღაურს აუცილებლად მივიღებთ ღვთის წყალობით. უნდა გვახსოვდეს, რომ - 3ჭამისა და სმისაგან დასნეულებული მრავალი უნახავს კაცს, ხოლო თავშეკავებისაგან, მოთმინებისაგან - არცერთი" (წმ. ეპირსკოპოსი გაბრიელ ქიქოძე). ამ თავშეკავებასა და მოთმენას, ეკლესიის სწავლებით, სწორედ მარხვა გვაძლევს, რაც ჭეშმარიტად სიცოცხლის უშრეტ წყაროდ ითვლება. დიდი ხნის გარდასული დრო უკან ვეღარ დაიბრუნება, მაგრამ ვის არ გვინდა ხანგრძლივი სიცოცხლე? რაში მდგომარეობს მანც მისი საიდუმლო?

ვისგან გავიგოთ ეს, თუ არა თვითონ ხანდაზმულებიდან, ე.ი. ვინც ცხოვრებისეული გამოცდილებით ჩაწვდა ამ საიდუმლოს. მაგრამ ქვეყანაზე არიან ისეთი ღრმად მოხუცებულნიც, ღვთის რწმუნნი, რომლებთან მიახლოება თვით სიკვდილსაც ეშინოდა, ვიდრე თეთრად, ჭაღართ არ შეიმოსებოდა მათი თმა. ეს მოხუცები წმიდა ბერები იყვნენ (და არიან). აი მათი საცხოვრებელი ადგილები: ვიწრო სენაკები, უკაცრიელი უდაბნოები, ბნელი მღვიმეები და გაუვალი ტყეები... ძნელი იქნებოდა ალბათ ამის დაჯერება, რომ არა ბევრი უტყუარი მოწმე და თვითმხილველი. უამინდობაში ფეხშიშველი ლოცვა და შრომა, საკვები შემოიფარგლებოდა მცენარეული მცირე ნაყოფით, ფოთლებითა და ველური თაფლით. მაგრამ საოცრება - ანტონი დიდმა უდაბნოში 70 წელი იცოცხლა, სულ კი - 105 წ., ონოფრე დიდმა - 60 წ., ილია ეგვიპტელმა - 70 წ., პავლე კომელიელმა - 50 წ. (ამას ემატება მონასტერში - 40 წ. და სულ 112 წლამდე მიაღწია) ¹⁵.

იყვნენ მესვეტენიც. მთელი სიცოცხლე ზამთარ-ზაფხულ, ქარ-ავდარში იყვნენ უმოძრაოდ მდგარი, რასაც ჩვენ ერთ კვირასაც ვერ გავუძლებთ. ხოლო ისინი უძლებდნენ და თანაც რამდენს: სვიმონ მესვეტემ სულ 100 წელი იცოცხლა, აქედან სვეტზე 80 წელი იყო დაყუდებული; ავლიპიმ სულ - 118 წ., აქედან სვეტზე - 53 წ., ფეოდესიმ სვეტზე - 50 წ., ხოლო ლუკა 45 წელი იყო დაყუდებული¹⁶. ამასთან, შეიძლება მოვიტანოთ უამრავი ასეთი მაგალითი, მართალია, მძიმე, მაგრამ ხანგრძლივი ცხოვრებისა, თუმცა ასეთ ღმერთშემოსილ მამებს თვით უფალი იფარავდა.

წმ. მამათა ცხოვრება ნათლად მიუთითებს, რომ მარხვა, თავშეკავება და ქრისტიანული ღვაწლი ჭეშ-

მარიტად ამ წუთისოფელს ამარცხებს და ახანგძლივებს სიცოცხლეს. მაშასადამე ვიცხოვროთ ღვთისნიერად და უფალიც დღევრძელობით დაგვლოცავს. რამეთუ ამით სახითა მრავალ ჯამ სცხოვდე და შეგვიძინოთ შენ წელი ცხოვრებისა შენისა" (იგაენი, სოლომ. 9.11) და "აჰა ესერა ესრეთ იკურთხოხ კაცი, რომელსაც ეშინოდის უფლისა. გაკურთხოხ შენ უფალმან სიონით, და იხილო შენ კეთილი იერუსალემისა ყოველთა დღეთა ცხოვრების შენისათა, და იხილნე შენ შვილნი შვილთა შენთანი..." (ფს. 127. 4-6).

საფრთხეს ვერიდოთ, ეშმაკმა დაისადგურა და მბრძანებლობს ჩვენში, სიცოცხლის დაუძინებელი მტერი - ცოდვა. მისი ნაყოფია ავადმყოფობა და სიკვდილი: ალკოჰოლისტს უბრძანებს - დიდხანს ვერ იცოცხლებ; მრუშს იგივე განაჩენი - შენი გარყვნილი ცხოვრება მალე დაგშრეტს, პატივმოყვარეობასა და ნაყოფანებასაც იგივე ელოდება. მაშასადამე, ცოდვა ყოფილა ნამდვილი მტერი ჩვენი სიცოცხლისა. შენივე ცოდვანი შეგიმოკლებენ და დროზე ადრე წაგართმევს სიცოცხლეს. როგორც წმ. ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე გვასწავლიდა თავშეკავება ყველაფერში! - აი დედა ჯანმრთელობისა და დღევრძელი სიცოცხლისა.

გამოდის, რომ ყველა ფაქტორი, რომლებიც სიკვდილის მიზეზთა გამომწვევია, ცოდვის ნაყოფად შეიძლება ჩათვალოს. ამასთან, ისინი მართლაც მომაკვდინებელ გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე და თუ შევძლებთ დღევანდელ გაუსაძლის პირობებში მართლმწამებუნე ქრისტიანის წესით მოღვაწეობას, თავისუფლად გადავიტანოთ ცხოვრების მიერ შექმნილ ბარიერებსა და სიძნელეებს. შედეგად, ღვთის ნებით დავიმსახურობთ წაღობას, რაც დღევრძელი სიცოცხლის, მისი ზრდასაწინდარი იქნება.

შედგვი - სიკვდილიანობის შემცირება მთელი რიგი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, შრომით უნარიანი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი ზრდა (მთლიან მოსახლეობაში), ბაშეთა მოკვდავების კოეფიციენტთა შემცირება (ცნობილია რომ ბავშთა ავადმყოფობა ხშირად მშობლების ცოდვის ბრალიცაა), მოსახლეობის შრომის უნარიანობის ამაღლება, ამას ემატება სხეულის სუფთობა და ფიზიკური სიმტკიცე, რწმენაში გაძლიერება და ღვთისაგან დალოცვა. ღმერთი ხომ მოითხოვს შრომად იმას, რაც შეგვიძლია. შეუძლებელს ის მოითხოვს. საზოგადოების ასეთი ქცევა ჩაითვლება ჩვენი თავის და ერისთვის ზრუნვად.

100 ათასი მოწამე ეწამა ერთ დღეს თბილისში ქრისტეს მოძღვრებისათვის მაშ გაგძლიერდეს ჩვენში, ერთად ვადიდოთ ღმერთი, დავითმინოთ ცხოვრება და ვიცხოვროთ ჩვენი წინაპრების ცხოვრების მაგალითით და ამ ქვეყნად ჯილდოთ და დღევრძელი წყალობას, კეთილდღეობასა და დღევრძელი სიცოცხლეს.

¹⁵ ლაზარეს აღდგინება V ტ., გვ. 184-185
¹⁶ იქვე

რამაზ ნამიჭეიშვილი

პროფესიული საქმიანობა როგორც სისტემური ცოდნის რეალიზაცია

ეკონომიკური თეორია

ადამიანის ცხოვრება უზენაესი შემოქმედისადმი მიმბაძველობა, ხატისეულობა და პიროვნული სრულყოფადობისადმი მისწრაფებაა. შემოქმედებით პროცესებში ვლინდება პიროვნულ შესაძლებლობათა პოტენციალი და სწორედ აქედან გამომდინარეობს პიროვნების ინდივიდუალური არჩევანის ვარიაციები. თავისუფლების სწორი არჩევანის გაკეთება რომ საკმაოდ რთულია, ეს ჩვენ კარგად ვიცით არა მარტო წიგნებიდან, არამედ ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობიდანაც. პიროვნული ორიენტაციის პროცესებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლებისა და პროფესიული სწავლების სახელმწიფო პოლიტიკა და მისგან გამომდინარე ნორმატიული სასწავლო პროგრამები. იმას, ვისაც ეს აქამდე, ჯერ კიდევ, ვერ გაუგია, ქვეცნობიერად მაინც სჯერა, რომ ადამიანი პროფესიულ ცოდნას სხვადასხვა დისციპლინების ათვისებით ღებულობს, რომლის იმპულსური საფუძველი თითქოსდა ცოდნისადმი მიდრეკილება ყოფილა. მაგრამ, ისიც ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ გაცნობიერებული სინამდვილე მარტო ადამიანის სწორ პროფესიულ არჩევანზე და მორალურ-ხნობრივ პასუხისმგებლობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმ იმ წესსა და რიგზე, რომლის მიხედვით პროფესიული ცოდნა ტრანსფორმირდება აკადემიური დისციპლინების განსახედრული რაოდენობრივი მოცულობით, ლოგიკური მიმდევრობით, რაშიც თითოეულ დისციპლინას ერთმანეთთან რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეწონილობა გააჩნია. კერძო შემთხვევის გამო ეკონომისტის პროფესიაზე შევხვრდეთ.

ჯონ სტიუარტი მილმა თავის დროზე აღნიშნა: ნაკლებსაგარაუდოა კარგი ეკონომისტი გახდეს ის, რომელიც ეკონომიკური ლიტერატურის გარდა არაფერს კითხულობს. მიღს ამის თქმის საშუალებას მისი მრავალმხრივი განათლება აძლევდა ეკონომიკის, სოციოლოგიის, ისტორიის, სახელმწიფოებრივი წყობის, ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა სფეროებში. გაცილებით შორს წავიდა ალფრედ მარშალი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება, თავისი მრავალმხრივი განათლების წყალობით, პირველი მეცნიერი გამხდარიყო ეკონომიკური მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად ჩამოყა-

ლიბებაში.

ალფედ მარშალის მრავალმხრივი განათლების განზოგადების საფუძველზე ჯონ კეინსმა გააკეთა დასკვნა, რომ "ეკონომისტი ერთდროულად უნდა იყოს მათემატიკოსი, ისტორიკოსი, სახელმწიფოთმცოდნე, ფილოსოფოსი".¹ მეოცე საუკუნის თანამედროვეებმა კეინსის ამ ცნობილ თეზას მიამატეს ტექნოლოგიისა და და ფსიქოლოგიის რეაგენტები. ამით, ბუნებრივია, განისაზღვრა ეკონომისტთა მომზადების სასწავლო პროგრამის სავალდებულო დისციპლინათა კომპლექსი. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ პროფესიული მომზადება მხოლოდ დასახელებულ საგანთა რაოდენობრივი სიმრავლით შემოფარგლება. ამ კითხვებზე პასუხებს ისევ ალფრედ მარშალთან ვპოულობთ: "რაც უფრო ნაკლებად მივეცემით სქოლასტიკურ კვლევა-ძიებას თემაზე-ეკუთვნის ესა თუ ის ღებულება ეკონომიკური მეცნიერების საგანს, მით უკეთესი. თუკი საკითხი მნიშვნელოვანია, მას მხედველობაში მივიღებთ ჩვენი შესაძლებლობების მიხედვით".²

მარშალის ამ ღებულებით არა მარტო მეცნიერ-ეკონომისტის თეორიული მოდელია მოცემული, არამედ პროფესიონალი ეკონომისტის ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებებიც. ერგო კი უმეტესწილ "წმინდა" ეკონომისტს ბედნიერება დიდი ეკონომისტი გამხდარიყო მხოლოდ ეკონომიკური ცოდნის წყალობით? გამონაკლისი უმცირესობა რა მოსატანიია.

მაშასადამე, წინამდებარე მსჯელობებით მოცემულია არა მარტო ეკონომისტის თეორიული მომზადების მოდელი, არამედ მისი პრაქტიკული რეალიზაციის პირობები.


ხეითმოდანილი მასალები იმაზე მეტყველებს, რომ პროფესიული სწავლება ცნობილი აკადემიური დისციპლინების ნომენკლატურა, მათი მოცულობრივი, ხარისხობრივი შეჯერებულობა და მიმდევრობათა წესრიგია. ამის უფრო

¹ Маршалл А. Принципы экономической науки. Т. I. М.: Прогресс. 1983, с. 11. მარშალის ფილოსოფიურ განსწავლულობაში ერთ-ერთ მის საფუძველიან ცოდნასაც ვგულისხმობთ.

² იქვე. გვ. 84.

გაშლილი პანორამაა სწავლების სისტემათა მიმდევრობა მათი იერარქიის დონეთა შესაბამისად: ჩვილ ბავშვთა ასაკი, სკოლამდელი, დაწყებითი, არასრული, საბაზო, სრული საშუალო, პროფესიული, უმაღლესი პროფესიული და საუნივერსიტეტო და მისი შემდგომი განათლების ჩათვლით. სხვანაირად ეს არის პირამიდათა რიგი-პირამიდა იდეისა და მისი მა-

ტერიალიზაციის საფეხურებით ცოდნის დონეთა შესაბამისად. შიდაპირამიდული საგნობრივი წყობა გარეთ გადის სხვა მეორე პირამიდის ფუძედ და ეწყობა პირამიდათა მიმდევრობითი სისტემა. გამოდის, რომ ადამიანის ცხოვრება მისი ცოდნათა პირამიდების სიმრავლეთა გენერირებული სიდიდეა (ნახ. 1).



ნახ. 1. ცოდნათა პირამიდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

1 - სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ცოდნის პირამიდა; 2 - დაწყებითი განათლების ბავშვთა ცოდნის პირამიდა; 3 - უმაღლესი განათლების ცოდნის პირამიდა; 4 - უმაღლესის შემდგომი ასაკის ახალგაზრდების ცოდნის პირამიდა.

ზემოთმოტანილი ნახაზიდან ლოგიკურია დასკვნა, რომ ერთმანეთის გვერდით უნდა დადგეს: სასწავლო პროგრამების პროექტირების ინტელექტუალობათა იდეური მოსაზრებების პირამიდათა რიგი ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად. აქედან დასკვნა: ეკონომისტის მომზადების საგანთა პირამიდის სიმაღლის განსაზღვრულობა ეკონომიკური დისციპლინების სტრუქტურა, რომლებიც ტრანსფორმირებულია ისტორიული, მათემატიკური, ფილოსოფიური, სახელმწიფოთმცოდნეობის, ტექნოლოგიისა და ფსიქოლოგიის დისციპლინებთან. საგანთა პირამიდის შემავსებლებია ყველა საგანი, რომელიც ხელმისაწვდომია პიროვნული შესაძლებლობების მასშტაბებით. თუ უფ-

რო კონკრეტული ვიქნებით გამოვა, რომ პროფესიული სწავლების სისტემა სტრუქტურულია მასში არის ძირითადი, შემავსებელი, დამხმარე და ინტელექტუალური ერუდიციის ინგრედიენტები, რომელთა წყალობით სწავლების სისტემები მეტამორფოზას განიცდიან და ახალ სტრუქტურულ თვისებრიობაში გადადიან, რითაც ვლინდება ცოდნის სისტემათა მემკვიდრეობა.


თუ ზემოთგამოთქმული თვალსაზრისით შეხედავთ ეკონომისტის მომზადების საგანთა საუნივერსიტეტო პროგრამებს, დაინახავთ, რომ მათ პირამიდული სტრუქტურული წყობა აქვთ. უმაღლეს სასწავლებელში პირადი 30 წლანი სამეცნიერო მოღვაწეობა გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სტუდენტთა სად-

ლომო სამუშაოები, აბსოლუტური უმრავლესობის შემთხვევაში, ერთი რომელიმე საგნის, ან საუკეთესო შემთხვევაში 2-3 აკადემიური ცოდნის შედეგია. უკიდურესი იშვიათობაა სადიპლომო ნაშრომში იმ მათემატიკური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ტექნოლოგიური, ისტორიული, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტების მოწვევლიება და განზოგადება, რომლის კურსის სტუდენტმა სწავლების სრული კურსის ათვისების პერიოდში გაიარა. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად სუსტია თვით საგნის ლექტორის ლოგიკური იმპულსები ბაზისურ დისციპლინებთან. მაგალითად, ეკონომიკის თეორიულ კურსს მათემატიკური ინტერპრეტაცია აკლია, რომლის გარეშე ის კონკრეტულობასა და სიხუსტეს მოკლებულია.

არასრულყოფილ პროცესებს სასწავლო დის-

ციპლინების ნუსხაში თავისი დადი და-ასვა იმ საგნების შეტანამ, რომლებიც ლექტორთა სამსახურში შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარეობს.³ ამიტომ ირღვევა არა მარტო საგანთა ლოგიკური მიმდევრობა, არამედ აკადემიური დატვირთვების მოცულობაც. მაგალითად, სასწავლო დატვირთვაში ეკონომიკური სპეციალობის მეოთხე კურსზე შეტანილია საბუღალტრო სამართალი, როცა წაკითხული არ ყოფილა არა მარტო ბუღალტერიის, არამედ სტატისტიკის საფუძვლებიც.

მართებულად მიგვაჩნია აიგოს ეკონომისტის პროფესიული მომზადების საგანთა ლოგიკური პირამიდა, რომელშიც საგნები ერთმანეთთან ლოგიკური მიმდევრობით, პროპორციულობითა და ურთიერთგანსაზღვრულობის მიხედვით განლაგდება (ნახ. 2).




ნახ. 2. უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადების საგანთა ლოგიკური პირამიდა.

პირამიდის ცენტრალური ვერტიკალური სტრუქტურა გამოხატავს ეკონომიკური საგნების ლოგიკურ მიმდევრობასა და რაოდენობრივ შეწონასწორებას; მომდევნო ნაწილი-ეკონომისტის სპეციალობის შემავსებელ საგანთა მიმდევრობას; სამკუთხედები-დამხმარე საგნების ლოგიკურ მიმდევრობას; ცარიელი ფიგურები-ინტელექტუალური ერუდიციის საგანთა "პარ-

ტიტურას".
სასწავლო პროცესის მართვის მიზნით კი უნდა ავაგოთ საგანთა ქსელური გრაფიკი, რომელშიც თვალსაჩინოდ წარმოჩნდება მთავარი და კრიტიკული გზები, დაძაბული და დაუძაბავი გზები. აქედან გამომდინარე, განსაზღვრული იქნება სახელმწიფოებრივი და პიროვნული ინსტიტუტების დიქტომია (სქემა 1).

³ არ გვესახება მართებულად ეკონომიკური სპეციალობების მეტისმეტი დიფერენციაცია, როგორიცაა ფინანსები და კრედიტი, მენეჯმენტი, ეკონომიკური სამართალი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ბუღალტრული აღრიცხვა და ა. შ. მართებულად მიგვაჩნია გასული საუკუნის 90-იან წლებში ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩვენს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა. ეკონომიკური სპეციალობის სტუდენტები გადიოდნენ საგანთა განსაზღვრულ ჯგუფს, რომლის დაუფლების შემდეგ მათ საშუალება ეძლეოდათ გაეკეთებინათ სწორი არჩევანი ეკონომიკური თეორიის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, სტატისტიკის, ფინანსების, ბუღალტრული აღრიცხვისა და სხვა სპეციალობათა მიხედვით.

სქემა 1. უმაღლესი პროფესიის ეკონომისტთა მომზადების საგანთა ქსელური გრაფიკი.



სქემა 1. უმაღლესი პროფესიის ეკონომისტთა მომზადების საგანთა ქსელური გრაფიკი.

1, 2, 3, 4 - გამოხატულია უმაღლესი განათლების ეკონომისტ-ბაკალავრთა მომზადების მთავარი ანუ კრიტიკული გზა; 1, t₁, t₃, 4 - დაძაბული გზა, რომელიც კრიტიკულ გზას ავსებს და მასთან ერთად განაპირობებს ეკონომისტთა კვალიფიციურ ცოდნას; 1, t₃, 4 -ინტელექტუალური ერუდიციის საგნებია; t₃, 4 -ფიქტიურ კავშირს.

სქემა 1 საშუალებას მოგვცემს ავაგოთ და დაავიცვათ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სწავლების ციკლოგრამები და აქედან გამომდინარე, გასაქანი მიეცეს ინსტიტუციურ და პიროვნულ-ინტელექტუალურ შესაძლებლობების რეალიზაციას.

ციცინო ძოჭენძე

გლობალიზაციის ეკონომიკური, პოლიტიკური და ზნეობრივ-ღირებულებითი ასპექტები

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის

გლობალიზაციასთან დაკავშირებულ ბოლოდროინდელ მონოგრაფიებს ექსპერტთა უმრავლესობა იწყებს შეკითხვით: მაინც რა არის გლობალიზაცია? პასუხები და კომენტარები ამ საკითხზე დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ბევრისთვის გლობალიზაცია არის ის, რაც საერთოდ ხდება თანამედროვე მსოფლიოში. ამ ყველაფერში სამწუხაროდ გულისხმობენ უარყოფით მოვლენებსაც. ბევრი ადამიანი, მათ შორის პროფესიონალები, ექსპერტები და რიგითი მოქალაქეებიც ირგველივ მომხდრსაშინელებებსა და უბედურებებში სწორედ გლობალიზაციას ადანაშაულებენ. მაგალითად, სიღატაკე, რომელიც დედამიწის თითქმის ყველა კუთხეშია გამეფებული. გლობალურ მოვლენადაა მიხნეული. როცა ხალხი, (სუღერითა რომელი ქვეყნის) ხედავს კორუმიტირებულ, გამყიდველ მთავრობას, განსაკუთრებით ისეთს, რომელიც დეკლარირებას უკეთებს ღიბერალიზმისა და დემოკრატიის იდეებს, იგი ასკვნის, რომ ყველაფერში გლობალიზაციაა დამნაშავე.

გლობალიზაციის განიხილავენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ზნეობრივ-ღირებულებით ჭრილში. ჯერ შევხერდეთ ე.წ. ეკონომიკურ გლობალიზაციაზე. ეკონომიკის ერთერთი პრინციპის მიხედვით "ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობა გააუმჯობესოს". ეს ეხება ტრანსაქციებს როგორც რომელიმე ქვეყნის შიგნით, მათ საზღვრებს მიღმა. თუმცა შიდა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს შორის დიდი განსხვავება არსებობს

გლობალიზაცია ეს არის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო სისტემის სრულიად ახალი მდგომარეობა, რომელიც დღეს მსოფლიოში სუფევს. ეს არ არის მხოლოდ უნიკალური ტექნოლოგიები ან ცალკე აღებული პროგრესული მიმართულებები, არამედ ეს არის საერთაშორისო მსოფლიო ურთიერთობების სრულიად ახალი სტადია, რომელშიც შევიდა სამყარო და იგი უნდა მივიღოთ, როგორც არსებული ფაქტი.

ტექნოლოგიური განვითარების კვალდაკვალ მთელი კაცობრიობის წინაშე არაერთხელ მწვავედ გამოიკვეთა იმის განცდა, რომ მსოფლიოში ბევრად უფრო ურთიერთდამოკიდებულებები ვართ, ვიდრე ეს ადამიანებს ადრე ქონდათ წარმოდგენილი. ამისი ერთ-ერთი შთამბეჭდავი და საგანგაშო სიგნალი იყო მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა, რომელმაც, თავის მხრივ განაპირობა ცივი ომის პერიოდის ძალთა ბალანსის ჩამოყალიბება, ურთიერთშეკავების პოლიტიკის შექმნა და სხვა. სამხედრო ტექნოლოგიაში ამგვარმა გარდევამ მწვავედ დაანახა მთელს კაცობრიობას, რომ მართლაც

ყალიბდება გლობალური სისტემა და უსაფრთხოების საკითხების მიმართ საჭიროა გლობალური და არა ადგილობრივი, ლოკალური გადაწყვეტილებების პოვნა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიწყო მსოფლიო ბაზრის, უპირველესად კი ევროპის განუყოფელი ბაზრის ჩამოყალიბება, რასაც ხელი შეუწყო პირველმა მსოფლიო ომმა. შეიძლება ითქვას, რომ სამოცდათხუთმეტწლიანი პაუზის შემდეგ მოიხსნა ის ხელოვნური ბარიერები, რომლებიც წარმოიქმნებოდა სახელმწიფოებს შორის და დაიწყო ერთიანი გლობალური ბაზრის ჩამოყალიბება.

გლობალური ბაზრის შექმნას თან სდევს განვითარება ტექნოლოგიურ სფეროში, კომპიუტერიზაციის მანამდე არნახული მასშტაბი და ტემპი, ამას მოჰყვა ტელეკომუნიკაციებში ახალი ტიპის ტექნოლოგიების ჩამოყალიბება, შემოვიდა დიგიტალური სისტემები, რომლებიც იმის საშუალებას იძლევა, რომ ინფორმაცია ციფრული კოდირებით გადაიცემოდეს.

შეიქმნა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი საოცარი ფენომენი, რასაც ინტერნეტი ჰქვია. მისი საშუალებით ცოდნის აკუმულაციის, ურთიერთშეჯერების და ურთიერთსტიმულირების პროცესი მკვეთრად არის დაჩქარებული.

თანამედროვე მოაზროვნე ფრენსის ფუკუიამა, თავის წიგნში "ისტორიის ბოლო ადამიანი, ანუ ისტორიის დასასრული" თვლის, რომ ღიბერალიზმის იდეების ბატონობა, მეფობა არის გლობალიზაციის პროცესის ერთ-ერთი მთავარი შედეგის ბოლო სტადია, რომელშიც შევა კაცობრიობა.²

გლობალიზაცია ეკონომიკური პროცესია და არა პოლიტიკური. ბაზრები მიისწრაფვიან კოსმოპოლიტიზმისაკენ და არა სახელმწიფოები.

როგორ დადგა მწვავედ გლობალიზაციის თემა დღის წესრიგში უახლოეს ისტორიაში? 1997 წლის დამლევდიან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში იწყება ეკონომიკური კრიზისები, ფინანსური კოლაფსების სერია. პირველი იყო საბანკო სისტემის კრაზი ტაილანდში 1997 წელს. აქ მოხდა ტაილანდური ვალუტის დეველვაცია 40 %-ით. ტაილანდში იყო სამოცი მთავარი ბანკი, რომელთაგან ორმოცდათერთამეტი ერთ დღეს გაკოტრდა. ეს იყო პირველი სიმპტომი. ცოტას ჰქონდა მაშინ წამოდგენილი, რომ რაღაც პროცესმა, რომელიც ხდება ბანკოკში, შეიძლება მოახდინოს სერიოზული ზეგავლენა დაეუშვათ ნიუ-იორკის, სეულის, ტოკიოს

1. მენქიუ გ., „ეკონომიკის“, გვ. 5.
 2. ფუკუიამა ფ., „ისტორიის ბოლო ადამიანი, ანუ ისტორიის დასასრული“, გვ. 21.

ან ლონდონის ბირჟებზე მიმდინარე პროცესებზე. შემდგომი წალიწოდანახვერის განმავლობაში დაიწყო ბევრად ფართო პროცესი ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც არის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბაზრები, ბრაზილიაში, სამხრეთ კორეაში და ოთხმოცდათერთმეტი წლის აგვისტოში რუსეთში. ესაა ფინანსური კოლაფსების სისტემა. დასკვნა ერთია: დღეს იმდენადაა დაკავშირებული ერთმანეთთან არა მხოლოდ საფინანსო ბაზარი, არამედ პროდუქციის ბაზარი და სხვა, რომ პროცესები, რომლებიც მიმდინარეობენ მსოფლიოს ერთ ნაწილში, აუცილებლად აისახება ამ ახალ, ჩამოყალიბებული ბაზრის მდგომარეობაზე. საქართველოზე ამან ვერ იმოქმედა მხოლოდ იმის გამო, რომ საქართველო უბრალოდ არ მონაწილეობდა გლობალური ბაზრის ჩამოყალიბებაში. არც ერთი ქართული საწარმოს აქციების კოტირება არ ხდებოდა არც ერთ, თუნდაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან საერთაშორისო ბირჟაზე.

იმ პროცესებისთვის, რომლებიც განვითარდა 1998-1999 წლებში, იმ ფინანსური ჩაყარდნებისთვის, არავინ იყო მომზადებული, არავინ აკეთებდა იმის პროგნოზირებას და ვერავინ წარმოიდგენდა, რამდენად ყოველისმომცველი შეიძლება ყოფილიყო ეს საერთაშორისო ფინანსური კრიზისი. პირველად მაშინ დაიწყო ამაზე ლაპარაკი "ნიუ-იორკ ტაიმსში" და სხვა წამყვან გამოცემებში. რეალურად მაშინ დაფიქსირდა ასე მკაფიოდ, რომ არსებობს ახალი რეალობა, რომელიც არ ემორჩილება აქამდე არსებულ ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებს, რეალობა, რომელსაც გლობალური ბაზარი ჰქვია.

ეკონომიკურ გლობალიზაციაში განიხილავენ მის სამ მთავარ ასპექტს.

1. ეკონომიკური ინტეგრაციის გაზრდა, რომელიც არ ცნობს სახელმწიფოს საზღვრებს.
2. საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელისშემშლელი ბარიერების გაუქმება.
3. ბაზრებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დაახლოების გლობალური ტენდენციები.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ღია საზოგადოებას დაუპირისპირდა დახურული ტოტალური სისტემა. კორუფცია არსებობდა ყოველთვის, მაგრამ აღმოჩნდა რა დემოკრატიის სიმბოლოებთან ერთად სხვა სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში, იგი მორალური პრინციპების დარგში იქნა აყვანილი. საბაზრო ფასეულობები, თუნდაც, იგი გლობალური ბაზრის ფასეულობები იყოს, უტილიტალური ხასიათისაა და იოლად იზომებიან ფულად გამოხატულებაში. ისინი ასახავენ ადამიანის ზრუნვას საკუთარ თავზე. მორალური ფასეულობანი გამოხატავენ სხვებზე ზრუნვას და არ ექვემდებარებიან გაზომვას. საბაზრო ღირებულებების განვრცობა პოლიტიკაზე, სამართალზე, მედიცინაზე, განათლებაზე, მეცნიერებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზე ანგრევს სოციალურ მორალურ პრინციპების შეცვლა ეკონომიკურით, პირადი ინტერესის როლის პრიორიტეტულობა წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების მთავარ საფრთხეს.

გეოპოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სახელმწიფოს ქცევას მისი გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით. გეოპოლიტიკურ რეალიზმს საფუძველი ჩაუყარა ჯერ კიდევ კარდინალმა რიშელიემ, რომელმაც გამოაცხადა, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია პრინციპები, რომ მას აქვს მხოლოდ ინტერესები. გეოპოლიტიკური დოქტრინა გავს საბაზრო ფუნდამენტალიზმის დოქტრინას. ორივე აცხადებს ეგოისტურ ინტერირებას ერთადერთ რეალობად. გეოპოლიტიკოსოსთვის ასეთ სუბიექტად გვევლინება სახელმწიფო. თავისუფალი მეწარმეობისთვის – ბაზრის ინდივიდუალური მონაწილე. ორივე დოქტრინა ენათესავება დარვინიზმის ვულგარულ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც ყველაზე ძლიერის და საბაზრო ცლილებებისადმი შემგუებლურის გადარჩენა – ბუნების კანონია. გეოპოლიტიკურ რეალიზმს, საბაზრო ფუნდამენტალიზმს და ვულგარულ სოციალურ დარვინიზმს საერთო ნაკლი აქვთ: ალტრუიზმის დეფიციტი და თანამშრომლობის დავიწყება

აი, რას წერს ინგლისელი პროფესორი, ბრიტანეთის აკადემიის წევრი, ინგლისის პერი პიტერ ბაუერი კეინსი თავის პოპულარულ წიგნში „დასქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ ამტკიცებს, რომ გრძელვადიან პერიოდში მსოფლიოს მართავენ ეკონომისტების და პოლიტიკური ფილოსოფოსების იდეები. ... კეინსის პოზიცია ვერ უძღებს ვერავითარ კრიტიკას. აძლევს რა ეკონომისტების და პოლიტიკური ფილოსოფოსების იდეებს გადაჭარბებულ მნიშვნელობას, ავტორი ამჟღავნებს თავის გულუბრყვილობასა და შეზღუდულობას. ის არ ითვალისწინებს გავლენებს, რომლებიც კაცობრიობაზე მოახდინებს ისეთი რელიგიური მიმდინარეობების ლიდერებმა, როგორებიც იყვნენ ბუდა, ქრისტე, მუჰამედი”.

ეკონომიკური მეცნიერების ერთი ძალიან თვალში საცემი ტენდენცია მდგომარეობს მის მათემატიზაციაში. თანამედროვე ეკონომისტი მატემატიკური განათლების გარეშე, რომელიც არ ფლობს მათემატიკურ ენას ითვლება არაკვალიფიციურ სპეციალისტად (ვეროპული სტანტარტით). რასაკვირველია, მათემატიკის გარკვეული დოზით ცოდნა აუცილებელია (არა მარტო ეკონომისტებისთვის) საქმოდ ბევრი ეკონომიკური მოვლენის აღწერა ხდება ფუნქციონალურ დამოკიდებულებებითა და დინამიკური პროცესების მოდელირებით. ფორმულები საჭიროა იმისთვის რათა მოახდინონ რეალური პროცესების პროეცირება თეორიაზე და არა თეორიის პროეცირებისთვის რეალურ პროცესებზე. თანამედროვე ეკონომიკური თურნალების კითხვისა ზოგჯერ რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს კუ-

1. Peter Bauer, "The disregardof", www. cato. ru

ნომიკური თეორია გადაიქცა გამოყენებითი მატემატიკის ერთერთ მიმართულებად, სადაც არც იმდენად აუცილებელი რეალიების გათვალისწინება. უკანა პლანზეა გადასული უშუალო დაკვირვების, განსჯის, კავშირების ძებნის, ფოტოხილი დასკვნების გამოტანის მეთოდები. იყენებს რა ანალიზის ტრადიციულ ინსტრუმენტებს, ეკონომისტი უკეთ გრძნობს უფსკრულს თეორიულ მოდელს და რეალურ მონაცემებს შორის. სტატისტიკა, ტექნიკური ჟარგონი და ეკონომეტრიული მეთოდები ზოგჯერ გამოდიან ერთგვარი დამცველი ეკრანის როლში.

თანამედროვე ადამიანი ღია კონფლიქტში იმყოფება რელობასთან. ამკარად პარადოქსული და ანომალიური იდეები ზოგჯერ ემსახურებიან ცალკეულ ჯგუფებს, კოალიციებს, პოლიტიკოსებს, სახელმწიფო მოხელეებს, მეცნიერებს და ელექტორატის ცალკეულ წრეებს.

კონფლიქტი არსებობს ცოდნასა და პოლიტიკას შორის. არ შეიძლება არ დავეთანხმეთ პოლიონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტს პროფ. ლ. ბალცეროვიჩს, რომლის მიხედვითაც “ცუდი ეკონომიკური პოლიტიკა ორი ძლერი ტყუპი ძმის ზურგზე დგას. მათგან ერთია ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების ზეწოლა, ხოლო მეორე – უცოდინარობა, უფრო სწორად ეკონომიკური მეცნიერების ცუდი ცოდნა”.

თანამედროვე საზოგადოებაში იგნორირებულია წარსული და დროის ფაქტორი, როგორც კულტურულ, ისე სოციალურ ცხოვრებაში. საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მათ შორის ეკონომიკაშიც შეუძლებელია სიტუაციის შეფასება მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლის გარე-

შე. საქართველოს რეალობაშიც სოციალური გამოცდილების უდიდესი ნაწილი უბრალოდ გადაგდებული აღმოჩნდა. შედეგად კი მივიღეთ ისტორიით მანიპულაციის მცდელობა მსოფლიოში თანდათან იკიდებს ფეხს მრავალგანზომილებიან საკომუნიკაციო სივრცის ზღვრულ ენერგეტიკებთან დაკავშირებული გამოცვლებები. ზღვრული კომუნიკაციურობის თეორიის კონცეფციის ჩამოყალიბება შესაძლებელი გახდა უმდიდრესი მსოფლიო ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური აზრის შერწყმის შედეგად. ზღვრული კომუნიკაციურობის კონცეფცია ყალიბდება ფილოსოფიისა და კულტურის მორფოლოგიის, გეოპოლიტიკის, ეთნოლოგიის, ეკონომიკისა და გეოგრაფიის მიჯნაზე. ცნება „ზღვრული“ ნიშნავს ცენტრალურის საწინააღმდეგოს: „მარგინალურს“ (ლათ, კიდე, ნაპირი), მომიჯნავეს. ზღვრული ფუნქციები თავს იჩენენ ბუნებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ, აღმსარებლურ, ინფორმაციულ, კონვენციულურ და სხვა საზღვრებში. აღნიშნული კონცეფცია ცალკე განხილვის საგანი შეიძლება იყოს. თუმცა ჩვენი აზრით, მომავალი სწორედ კაცობრიობის მიერ მოპოვებული უზარმაზარი ინტელექტუალური და კულტურული მემკვიდრეობის სინთეზურად გამოყენებაშია. ამ მიზანს ემსახურება ახლად გამოკვეთილი მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში – „გეოეკონომიკა“. ვფიქრობ, ის უნდა გახდეს ყველაზე ობიექტური, რეალობასთან ახლოს მდგომი, განსხვავებული და ძალიან საინტერესო განხრა, რომელიც ეკონომიკის, ფილოსოფიის და პოლიტოლოგიის მეთოდების შერწყმით პასუხს გასცემს ძალიან ბევრ საჭირობოროტო შეკითხვას.

ლიტერატურა და წყაროები:

1. Бринк Л., “Глобализация: повторение пройденного”. М. 2001.
2. Дергачёв В., “Геоэкономика”. Одесса, 2004.
3. ჩიხლაძე ნ., “წრდილოვანი ეკონომიკა, რეგიონული ასპექტები”, ქუთაისი, 2005.

ეკატერინე ბაბუნაშვილი

საქართველოს ეკონომიკის განვითარების პოლიტიკის ძირითადი საკითხები

ინვესტიციები და მრავალეროვნული კომპანიები

პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების პრობლემა ყველაზე საჭირობოროტია იმ საკითხთა შორის, რომლებსაც მსოფლიო ეკონომიკის თეორია განიხილავს. განვითარებული სახელმწიფოები (იაპონია, კანადა, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები) ცდილობენ, რომ არ დაკარგონ კონტროლი ეროვნულ ეკონომიკურ რესურსებზე და შეზღუდონ თავიანთ ტერიტორიაზე საზღვარგარეთული ინვესტიციები.

განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკოსები:

1) ისინი შეშფოთებულნი არიან ეროვნულ ეკონომიკაში უცხოელების მიერ როგორც სახსრების დაბანდებით, ისე ინვესტიციების შემცირებით. ერთის მხრივ არსებობს ექსპანსიის საშიშროება.

2) არსებობს შიში, რომ საზღვარგარეთული კაპიტალი ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნება, გაძნელებულია მათ ტექნოლოგიებში შეღწევა. მთავრობები კრძალავენ ან ზღუდავენ პირდაპირ ინვესტირებას ზოგიერთ დარგში, სადაც საზღვარგარეთული ფირმების მუშაობა ან დაუშვებელია ან კიდევ ზედმეტი საზღვარგარეთული ზეგავლენაა.

მსოფლიო ეკონომიკაში ინვესტირებასთან დაკავშირებით იკვეთება სხვადასხვა მიდგომა. უმრავლეს სახელმწიფოთა მთავრობები იყენებენ ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა ადგილობრივი ინვესტიციების მონაწილეობა კაპიტალში, ადგილობრივი კადრების მომზადება, სამეცნიერო საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულება, ექსპორტის გაფართოება და ა. შ.

მეორეს მხრივ, ზოგიერთი მთავრობა აქტიურად „ეთამაშება“ მრავალეროვნულ ფირმებს, მათი რიცხვი და გავლენა მეტნაკლებად იზრდება.

როგორც ცნობილია, პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს ინვესტირების ყველა სახეს, ეს იქნება ახალი აქციების შექმნა თუ უბრალოდ დაკრედიტება, იმის გათვალისწინებით, რომ ინვესტორ ფირმას საზღვარგარეთული ფირმის აქციების 10% მეტი უნდა ჰქონდეს.

განსხვავებები პირდაპირ და არაპირდაპირ ინვესტიციებს შორის ძირითადად კონტროლის ფორმებს შორის სხვაობას გულისხმობს. ამასთან, პირდაპირი ინვესტირე-

ბა მხოლოდ კაპიტალის მოძრაობა არ არის, რადგან ინვესტორი აკონტროლებს საზღვარგარეთული ფილიალის საწარმოს საქმიანობას. კონტროლს დაქვემდებარებული ფილიალი ხშირად პირდაპირ ღებულობს სავაჭრო საიდუმლოებების, მართველობითი ჩვევების, ტექნოლოგიების გაცნობის უფლებას, აგრეთვე სათაო კომპანიის სავაჭრო მარკის გამოყენების უფლებას იმ მითითებებთან ერთად, თუ რომელ ბაზრებში უნდა შევიდეს და რომელი დაუტოვოს კონკურენტებს.

პირდაპირი ინვესტირება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე პორტფელური. კონტროლს დაქვემდებარებული ფილიალი ხშირად პირდაპირ ღებულობს სავაჭრო საიდუმლოებების, მართველობითი ჩვევების, სათაო კომპანიის სავაჭრო მარკის გამოყენების უფლებას იმასთან ერთად, თუ რომელ ბაზრებში რომელი დაუტოვოს კონკურენტებს. კონკურირებად ფირმებზე მოქმედი ფაქტორების ერთობლიობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. ინვესტორი, რომელსაც სურვილი აქვს რისკი დაიყვანოს მინიმუმამდე, ცდილობს მოახდინოს საკუთარი აქტივების მაქსიმალური მობილიზება.

თანაბარ პირობებში ადგილობრივ კომპანიებს უპირატესობები აქვს საზღვარგარეთულ ინვესტირებთან შედარებით. იმისათვის, რომ აჯობო ადგილობრივ, ტრადიციულად უპირატესობის მქონე ფირმას, საზღვარგარეთულ ინვესტორს უნდა გააჩნდეს ის აბსოლუტური უპირატესობა, რაც კონკურენტისთვის მიუწვდომელია. ეს არის ერთის მხრივ ტექნოლოგიისა და პატენტის ფლობა, და მეორეს მხრივ ძალზე მსხვილი კაპიტალის წყაროების ხელმისაწვდომობა.

პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების ზრდა გარკვეული რეაქციაა ეკონომიკურ ცხოვრებაში გადასახადების მნიშვნელობის გადიდებაზე. რაც უფრო მაღლა იწევს საგადასახადო განაკვეთები, მით უფრო ძლიერია გადასახადებისათვის გვერდის ავლის ღეგაღური, თუ არაღეგაღური გზების ძიების სტიმულირება. ყველაზე მისაღებია ინვესტიციების მიმდებარე ისეთი ქვეყნის მოძებნა, სადაც გადასახადების განაკვეთები ყველაზე დაბალია. ამ პრობლემათა გადაჭრა ორი ხერხით შეიძლება:

1) მრავალეროვნული კომპანიები შეიძლება თავიანთ ფილიალებს განაგებდნენ დაბალი გადასახადების მქონე ქვეყნებში. მსოფლიო ეკონომიკის თვალსაზრისით ეს მიდგომა დამოკ-

დებულია იმაზე, რა მიზნით იყენებენ საგადასახადო შემოსულობებს და დაეცემა თუ არა ინვესტორი ფირმის მწარმოებლურობა დაბალი გადასახადების მქონე ქვეყანაში წარმოების გადატანით.

2) ტრანსფერული ფასებისა და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებით მრავალეროვნულ კომპანიებს შეუძლიათ განაცხადი გააკეთონ დაბალგადასახადიან ქვეყნებში, თუმცა შეიძლება მოგება მაღალგადასახადიან ქვეყნებშიც იყოს მიღებული.

სახელმწიფოები ზოგჯერ ცდილობენ საგადასახადო წესების შეცვლით საპასუხო ზომები მიიღონ მრავალეროვნული კომპანიების წინააღმდეგ. თანამედროვე მსოფლიოში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ საჭიროა პირდაპირი ინვესტიციების გადინების შეზღუდვა.

მრავალეროვნული კომპანიები ისწრაფვიან მიიღონ ისეთი მთავრობის არჩევის შესაძლებლობა, რომელსაც ისინი გადასახადებს გადაუხდიდნენ, ხოლო მეორეს მხრივ, ზოგიერთი მთავრობა ცდილობს თავისი საგადასახადო შემოსავლების მაქსიმიზაციას. რა თქმა უნდა პა-


სუხი შეუძლებელია კეთილდღეობის სტატისტიკური ანალიზის გარეშე. რომელთა საფუძველზეც შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება.

იმ შემთხვევაში, როდესაც მსოფლიო ეკონომიკა სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადია და მსესხებლები პატივს სცემენ თავიანთ ვალდებულებებს, საერთაშორისო კრედიტის ზემოქმედება კეთილდღეობაზე იმ ზემოქმედების იდენტური იქნება, რომელსაც იმავე კეთილდღეობაზე ახდენს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია ან შრომითი მიგრაცია.

ნახაზზე პორიზონტალურ დერძე აღნიშნულია მსოფლიო სიმდიდრის მოცულობა, ხოლო ვერტიკალურზე შემოსავლების ოდენობა.

კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობის მრუდებით შემოფარგლული არეები დაშტრიხულია. ნახაზიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მთლიანად მიმღები ქვეყანა ინვესტიციების მოდინებით მოიგებს (d+e+f), იმიტომ რომ თვითონ ინვესტორების მოგება მეტია, ვიდრე საბაზო ქვეყნის მუშებისა და სახვა კატეგორიის პირების დანაკარგები.

ნახ. საერთაშორისო კრედიტის გავლენა წარმოებასა და ქვეყნის ფინანსურ სიმდიდრეზე



მიმღებ ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციების შეზღუდვის ან წახალისების გადაწყვეტისას საჭიროა დეტალური ანალიზი. მსხვილი მრავალეროვნული კომპანიების მოზიდვის პოლიტიკური საფრთხე სტატისტიკურ სარგებელზე დიდია.

პირდაპირი ინვესტიციების განვითარების კი-

დეკ ერთი მასტიმულირებელია გადასახადების თავის არიდებისაკენ მისწრაფება. ფირმების მიერ მსოფლიოში ისეთი ადგილის ძიება, სადაც ხარჯები ნაკლები იქნება, იგულისხმება უფრო დაბალგადასახადიანი ქვეყნების შერჩევა. გარდა ამისა, ისინი იყენებენ „ტრანსფერული ფასების“ მექანიზმს, რათა თავიანთი მოგება და-

¹ ყორღანაშვილი ლ., საერთაშორისო საგაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისი 1997. გვ. 367.

ბალგადასახადიან ქვეყანაში მიიღონ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერი ქვეყნის ინტერესი ქვეყანაში ინვესტიციების მოსაზიდად და ეკონომიკური ზრდის ასამაღლებლად, მისასაღმებელია. უფრო გონივრულია, თუ ადგილობრივი ინვესტიციების განვითარებასა და რეალიზაციას შეეწყობა ხელი, შედარებით დაბალი მოგების მიღების მიუხედავად, რათა თავიდან ავიცილოთ უცხოური ფირმების ექსპანსია, ეს უკანასკნელი ხშირად იწვევს ყოველივე ეროვნულის და ტრადიციული დარგების გადაშენებას, რომლებიც სხვა პირობებში შეიძლება აბსოლუტური თუ ფარდობითი უპირატესობების მიხედვით სოლიდური მოგების მიღების წყაროდ იქცნენ.

გარკვეულ პირობებში სახელმწიფო ხარჯების ზრდა არის ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ხელშემწყობი ფაქტორი. სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში შეიმჩნევა ეკონომიკური ზრდის ტენდენცია (სხვადასხვა მონაცემებით 12%), რომელთა ძირითადი წილი ინვესტიციებზე მოდის. მიუხედავად ამისა, სიღარიბე უზარმაზარ მასშტაბებს აღწევს და კვლავ უპირველეს პრობლემად რჩება.

დღევანდელი რეფორმატორების მიზანია უკანონო გზებით გამდიდრებული საქმოსნები გადააქციონ ცივილიზებულ ბიზნესმენებად, ხოლო მოტყუებული უმრავლესობა-გადასახადების კანონმორჩილ გადამხდელებად, რათა ეკონომიკამ მიიღოს თანამედროვე ფორმები.

საერთოდ, რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ქართველი რეფორმატორები ხელმძღვანელობენ რაღაც ცრურწმენებით და არა გააზრებული ცოდნით. ასევე, საზოგადოებაში ჩამოყალიბდა გარკვეული სტერეოტიპები, რომლებიც ხელს გვიშლიან რეფორმების განხორციელებაში. კერ-

ძოდ: ითვლება, რომ ინფლაცია, სახელმწიფო დეფიციტი, საგარეო ვალი, სახელმწიფო სუბსიდიები არის რაღაც ძალიან ცუდი, რასაც უნდა ვებრძოლოთ. ასევე ცუდია სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა. ხოლო ბაზარი და კონკურენცია, უცხოური ინვესტიციები, პრივატიზაცია კარგია და ა.შ. ყველა ეს მოვლენა არც ცუდია და არც კარგი. ყველაფერი დამოკიდებულია მასშტაბებზე, კონკრეტულ სიტუაციაზე, მათ როლზე დასახული მიზნების მისაღწევად.

ამგვარად, საბაზისო ქვეყნისათვის გამოიკვეთება სამი რაოდენობრივი შედეგი:

- ა) პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტირების უშუალო საბაზრო შედეგები ამ ტიპის ქვეყნისთვის ხელსაყრელია, თუ ინვესტორი განიხილება როგორც ამ ქვეყნის კუთვნილება.
- ბ) შედეგები საპირისპირო იქნება, თუ ინვესტორების აზრი საბაზისო ქვეყანაში მხედველობაში არ მიიღება.

გ) არსებობს ქვეყნიდან ინვესტიციების თავისუფალი გადინების პოლიტიკური და ეკონომიკური ხარვეზები, რაც საგარეო ინვესტირების შეზღუდვას მოითხოვს, თუმცა ამ შეზღუდვის ზომას კი გაურკვეველია.²

მიმდებ ქვეყნებს ბევრად ნაკლები მიზეზი აქვთ პირდაპირი ინვესტიციების მოდინების შეზღუდვისა. ტექნოლოგიური და საკადრო უპირატესობების შესაძლებლობა იწვევს პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოდინების სტიმულირებისაკენ მისწრაფებას და მკაცრი გადასახადების დაწესებისაგან თავის შეკავებას. ამასთან, მრავალეროვნულ კომპანიებთან ურთიერთკავშირი ფირმებისათვის პოლიტიკური კონფლიქტების შენარჩუნების საშიშროებასაც მოასწავებს.


ლიტერატურა და წყაროები:

1. კაკულია რ., ფინანსური ეკონომიკა. თბ. 2007.
2. კაკულია რ., ბახტაძე ლ., საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და საკრედიტო ურთიერთობები, თბ. 1999.
3. ციგროშვილი თ., საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი. თბ. 1999.
4. Котлер Ф., Маркетинг, менеджмент. М., С-ПБ.-2005.

² პიტერ ჰ. ლინდერტი - საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი. 2001 წ. 399 გვ.

ნობელიანტი ეკონომისტები

ჩვენი ჟურნალი აგრძელებს ნარკვევების გამოქვეყნებას ნობელიანტი ეკონომისტების შესახებ. ამჯერად ტაილინგ კუპმანსის, ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის და ლეონიდ კანტოროვიჩის მიღწევებს შემოვთავაზებთ.



ამერიკელი მეცნიერი ტაილინგ კუპმანსი

დაიბადა ნიდერლანდებში, გრეივლენდში 1910 წლის 28 აგვისტოს. მისი მშობლები პედაგოგები იყვნენ. 14 წლის ტაილინგს დაუნიშნეს სტიპენდია, რამაც საშუალება მისცა 1927-1933 წლებში მიეღო საიუნივერსიტეტო განათლება. თავდაპირველად იგი სწავლობდა მათემატიკასა და თეორიულ ფიზიკას,

ხოლო 1934 წელს კვანტურ მექანიკაში ნაშრომიც კი გამოაქვეყნა; მაგრამ მას არ მოსწონდა მისი გამოკვლევების აბსტრაქციის მეტისმეტად მაღალი ხარისხი. ამასთან ერთად, მან იპოვა სხვა დარგი, რომელშიც, როგორც თვითონ მოგვიანებით ამბობდა, შესასწავლი საგანი შედარებით ახლოს იყო რეალურ სამყაროსთან. მისი ინტერესები ეკონომიკური ხასიათის პრობლემებისაკენ გადაიხარა. დიდი დეპრესიის წლების შემდეგ ტ. კუპმანსი დარწმუნდა, რომ მსოფლიო ეკონომიკური სისტემა არ არის სანდო, მდგრადი, სტაბილური და რაც მთავარია, არ ემორჩილება რაიმე კანონებს. ამავე პერიოდში იგი დაუშვებობდა სოციალისტ სტუდენტებს, დაინტერესდა ეკონომიკის საკითხებით, გაეცნო კარგლ მარქსის „კაპიტალს“.

1933 წლიდან კუპმანსმა დაიწყო მათემატიკური მეტოდების ეკონომიკაში გამოყენება. მომდევნო წელს მეცნიერი მიემგზავრება ამსტერდამის უნივერსიტეტში, სადაც სწავლას აგრძელებს გამოჩენილ ჰოლანდიელ მათემატიკოს – ეკონომისტ იან ტინბერგენტან. მისი ხელმძღვანელობით კუპმანსმა შეისწავლა საერთო წონასწორობის თეორიის წამყვანი თეორეტიკოსების ნაშრომები. კუპმანსი გაეცნო გუსტავ კასელისა და კნუტ ვიქსელის შრომებს. 1935 წელს კუპმანსმა ოთხი თვე გაატარა ოსლოში, სადაც იგი მუშაობდა სახელგანთქმულ მათემატიკოს – ეკონომისტ და ეკონომეტრიკოს რაგნარ ფრიშთან ერთად. დოქტორის ხარისხი კუპმანსს მიანიჭეს 1936 წელს. სადოქტორო დისერტაციის თემა იყო „დროებითი ეკონომიკური მწკრივების სწრაფი რეგრესული ანალიზი“.

1936-1938 წლებში ტ. კუპმანსი როტერდამში ეკონომიკის სკოლის მასწავლებელია. 1939 წელს მან შეცვალა იან ტინბერგენი, რომელიც ნაციონალურ ლიგაში მუშაობდა ბრიტანეთისათვის ეკონომიკური ციკლის მდელის შექმნაზე.

1946 წელს კუპმანსი ლებულობს ამერიკის მოქალაქეობას და ჩიკაგოში თითქმის 10 წელი რჩება. 1955

წლიდან იგი იელის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორია.

კუპმანსმა გააუმჯობესა და სრულყო მოქმედების ანალიზის მეთოდი, როგორც ეკონომიკური დაგეგმვის ინსტრუმენტი. შედეგებს ამ მიმართულებით იგი აქვეყნებდა ჟურნალებში. მრავალრიცხოვან სტატიებსა და ნაშრომში „სამი ნარკვევი ეკონომიკური მეცნიერების მდგომარეობის შესახებ“ (1957) მან გააუმჯობესა და სრულყო თავისი მეთოდი.

1960-70-იან წლებში კუპმანსს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკური ზრდის პროლემათა გამოკვლევებში. მან განიხილა ეკონომიკური რესურსების დროში განაწილების საკითხი, პირველი დაინტერესდა ეკონომიკური დაპროგრამებული ზრდის პრობლემებით, აჩვენა აღრიცხვის პროცენტის (პროცენტი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება აფასებს მომავლის მოთხოვნათა ახლანდელ ღირებულებას) უდიდესი მნიშვნელობა საზოგადოების დაპროგრამებული ეკონომიკური ზრდისათვის.

ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში ტაილინგ კუპმანსმა მიიღო საბჭოთა მეცნიერ ლეონიდ კანტოროვიჩთან ერთად 1975 წელს – „რესურსების ოპტიმალური განაწილების თეორიაში შეტანილი წვლილისათვის“. პოლიტიკური თვალსაზრისით კუპმანსის ეკონომიკური ნაშრომები ნეიტრალური ხასიათისაა. ამიტომაც მისი თეორიის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი პოლიტიკური წყობის საზოგადოებაში.

მოქმედებათა ანალიზის მეთოდის შემუშავება ხდებოდა პარალელურად: კუპმანსი მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანტოროვიჩი – საბჭოთა კავშირში. ეს ფაქტი მოჰყვდათ იმის დასამტკიცებლად, რომ ამ სახის პრობლემები შეიძლება დამუშავდეს წმინდა მეცნიერული სახით, იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა სახის საზოგადოებაში ხდება მათი შესწავლა. ძირითადი ეკონომიკური პრობლემები ერთნაირია ყველა საზოგადოებისათვის.

ნობელის პრემიის მიღების შემდეგ კუპმანსმა განაგრძო მეცნიერული კვლევა და პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. არასოდეს უცდია, ყოფილიყო ყურადღების ცენტრში. 1978 წელს ძლივს დაითანხმეს, აერჩიათ ამერიკის ეკონომიკური ასოციაციის პრეზიდენტად, 1981 წლიდან იელის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორია.

1936 წელს კუპმანსი დაქორწინდა ტრუფს ვანინგენზე, რომელსაც იგი იცნობდა ჯერ კიდევ ამსტერდამიდან. მათ შეეძინათ ორი ქალიშვილი და ვაჟიშვილი. მეცნიერს თავდავიწყებით უყვარდა მუსიკა და დროდადრო მუსიკალურ ნაწარმოებებსაც ქმნიდა.

კუპმანსი 1985 წლის 26 თებერვალს გარდაიცვალა.



**ავსტრიელი ეკონომისტი
ზვიადის ფონ ჰაიეკი**

დაიბადა ვენაში 1899 წლის 8 მაისს. მამა-ავეუსტი ბიოლოგიის პროფესორი იყო ვენის უნივერსიტეტში, დედა - ფელიციტას ფონ ჰაიეკი, ქალიშვილობაში იურაშეკი, გახლდათ ვენის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი სამართლის პროფესორის ქალიშვილი. 1918 წელს ჰაიეკი ჩაირიცხა ვენის უნივერსიტეტში. სწავლობდა ეკონომიკას, სამართალს, ფსიქოლოგიას და ფილოსოფიას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჰაიეკი რამდენიმე წელს მუშაობდა სამხედრო პრეტენზიების დარეგულირების ავსტრიის ბიუროში, რომლის ხელმძღვანელი იმ პერიოდში იყო ეკონომიკური ლიბერალიზმის ავსტრიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი ლუდვიგ ფონ მიზესი. მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჰაიეკზე ეკონომიკური მიმართულების არჩევასა. ამ პერიოდში ფრიდრიხმა განაახლა სწავლა ვენის უნივერსიტეტში და 1923 წელს მიიღო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი. დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი ერთი წელი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ასისტენტი. კოლუმბიის უნივერსიტეტში ესწრება უ. მიტჩელისა და ჯ. კლარკის ლექციებს.

1929 წელს ჰაიეკი იწყებს ლექციების კითხვას ვენის უნივერსიტეტში. მომდევნო წელს იწვევენ ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში, სადაც რჩება 1949 წლამდე.

1983 წელს ჰაიეკმა მიიღო ბრიტანეთის მოქალაქეობა. მისი ინიციატივით, ლონდონში დაიწყო 30-იანი წლების ყველაზე ხანგრძლივი ეკონომიკური დისკუსია, რომელიც წამოიჭრა ჯ. კეინსის წიგნის „ტრაქტატი ფულის შესახებ“ გარშემო. ნაშრომში გამოთქმულ შეხედულებებს ჰაიეკი ავსტრიული სკოლის პოზიციებიდან ედავებოდა. პოლემიკაში მრავალმა ინგლისელმა ეკონომისტმა მიიღო მონაწილეობა. ამკარა გახდა ორი ეკონომიკური სკოლის სრული შეურიგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტეტთა უმრავლესობამ კეინსიანელებს მიაკუთვნა უპირატესობა, ჰაიეკის არგუმენტაციამ მნიშვნელოვანი როლის შეასრულა მკე-

როეკონომიკური ანალიზის თეორიის განვითარებაში.

ჰაიეკი ყოველთვის იცავდა ინდივიდუალიზმს და ებრძოდა კოლექტივიზმს. ამ საკითხებს მიუძღვნა ორი ნაშრომი: „გზა მონობისკენ“, რომელიც 1944 წელს გამოაქვეყნა და 1960 წელს გამოსული „თავისუფლების კონსტიტუცია“. იგი ამტკიცებდა, მხოლოდ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის დაუბრკოლებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების (თავისუფლების) დაცვას. ნებისმიერი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც ეცდებოდა სოციალისტური მეთოდების გამოყენებას, როგორცაა შემოსავლი თანაბარი განაწილება ან ფასების კონტროლი, გადაიქცევა ტოტალურ რეჟიმად. ასევე კრახით დასრულდება ტოტალურ სახელმწიფოში კონკრეტული ბაზრის შექმნის ნებისმიერი ცდა, რადგან ბაზრის არსი - თავისუფალი არჩევანია, რაც შეუთავსებელია ავტორიტარულ მიზნებთან. ეს მოსაზრება არ სცდებოდა კლასიკური ლიბერალიზმის საზღვრებს, მაგრამ ჰაიეკმა მათ განსაკუთრებული თანმიმდევრულობა შემატა.

წიგნს „გზა მონობისკენ“ დიდი წარმატება ხვდა წილად არა მარტო ევროპაში. აშშ-ში ეს წიგნი ბესტსელერი გახდა, რამდენჯერმე გამოიცა, განხორციელდა მისი რადიოინსცენირება.

1963 წელს ჰაიეკი იკავებს ფრაიბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის პოლიტიკონომიის პროფესორის პოსტს. 1969 წელს პენსიაზე გადის, მაგრამ აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას როგორც მოწვეული პროფესორი ზალცბურგის უნივერსიტეტში. მისი ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკური ფილოსოფიისადმი ინტერესი აქ ცოტამ თუ გამოამყვანა. 1977 წელს ბრუნდება ფრაიბურგში და უკვე აღარ ტოვებს მას.

1974 წელს ჰაიეკი გ. მიურდალთან ერთად იღებს ალფრედ ნობელის პრემიას „ნოვატორული შრომებისათვის ფულისა და ეკონომიკური რეჟიმების თეორიაში, აგრეთვე ეკონომიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების დრამა ანალიზისათვის“. 1989 წელს ჩიკაგოში დაიწყო მისი შრომების აკადემიური 22 ტომეულის გამოცემა. ჰაიეკის პრინციპები: თავისუფალი მეწარმეობა, საბაზრო წესრიგის სპონტანურობა, ბაზრის ფუნქციონირებაში სახელმწიფოსა და პროფკავშირების ჩაურევლობა, აქტუალური გახდა როგორც ევროპის, ისე რუსეთისთვისაც.



ლეონიდ კანტოროვიჩი

დაიბადა სანკტ-პეტერბურგში 1912 წლის 19 იანვარს. სამოქალაქო ომის დროს მისი ოჯახი იძულებული გახდა ბელორუსში გადახვეწილიყო.

საბუნებისმეტყველო საგნებისადმი ინტერესი მომავალმა ნობელისმა პატარაობიდანვე გამოამყვანა. 1926 წელს, 14 წლის ყმაწვილი ლენინგრადის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. აქ მან დაიწყო არა მარტო საბუნე-

ბისმეტყველო დისციპლინების ინტენსიური შესწავლა არამედ დაინტერესდა პოლიტიკონომიით, უახლესი ისტორიით, ზუსტი მეცნიერებებით. გატაცება მათემატიკით სულ უფრო სერიოზულ სახეს იღებს. საკავშირო მათემატიკურ კონგრესზე, რომელიც 1930 წელს ჩატარდა, ლეონიდ კანტოროვიჩმა წარადგინა გამოკვლევა მწკრივთა თეორიიდან. ამავე წელს დაამთავრა უნივერსიტეტი. დატოვს მათემატიკის კათედრაზე. ერთი წელი შემდეგ, როცა აღადგინეს ხარისხების მინიჭების სისტემა, ლეონიდ კანტოროვიჩს მიანიჭეს დოქტორის ხარისხი.

1938 წელს ლეონიდ კანტოროვიჩი დაინიშნა ფანერის ლაბორატორიის კონსულტანტად. აქ მას საშუა-

ლება მიეცა გამოემდღავენინა მთელი თავისი შე-
საძლებლობები. მიზნად დაისახა რესურსების განაწი-
ლების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა. პრობლემა
ჩამოაყალიბა მათემატიკური ტერმინების მეშვეობით,
ისეთ წრფივ ფუნქციათა ოპტიმიზაციის გზით, რომ-
ლებიც დიდი რაოდენობით შეზღუდვებს აკმაყოფილებს.

1939 წელს გამოქვეყნდა კანტოროვიჩის ნაშრომი
„წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის მათემატი-
კური მეთოდები“. ავტორმა აჩვენა, რომ რესურსების
ოპტიმალური განაწილების ყველა ეკონომიკური ამო-
ცანა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დიდი რაოდე-
ნობის შეზღუდვების მქონე ოპტიმიზაციის პრობლემა.
მათი ამოხსნა შეიძლება წრფივი დაპროგრამების გზით.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ლ. კანტოროვიჩი
საზღვაო-საინჟინრო აკადემიის პროფესორია. ლენინ-
გრადის ბლოკადის დროსაც კი არ შეუწყვეტია მას
მეცნიერული კლუვა-ძიება. სწორედ ამ პერიოდში გა-
მოქვეყნდა მეცნიერის ნაშრომი „მასალათა ადგილგა-
დანაცვლების შესახებ“ (1942). აქ მან გამოიყენა წრფი-
ვი დაპროგრამირება სამომხმარებლო და საწარმო ფაქ-
ტორების ოპტიმალური დაგეგმვის მისაღებად.

1951 წელს ა. ზარგალერთან (ცნობილი გეომეტრი)
ერთად ლ. კანტოროვიჩი აქვეყნებს წიგნს, რომელშიც
წრფივი დაპროგრამების მეშვეობით გადაწყვეტილია ლე-
ნინგრადში სატრანსპორტო მშენებლობის პრობლემები.

8 წლის შემდეგ კი იგი აქვეყნებს თავის ყვე-
ლაზე ცნობილ წიგნს: „რესურსების უკეთ გა-
მოყენების ეკონომიკური დაანგარიშება“. მასში მოცე-
მულია სოციალისტური ეკონომიკის იდეალური ოგა-
ნიზაციისათვის საჭირო უმნიშვნელოვანესი დასკვნები
მოცემული რესურსების მეშვეობით მაღალი ეფექტია-
ნობის მისაღწევად. ლ. კანტოროვიჩი რეკომენდაციას
იძლეოდა, ფართოდ გამოეყენებინათ ფარული ფასები
რესურსების განაწილებისას და აგრეთვე პროცენტუ-
ლი განაკვეთი დაგეგმვის კაპიტალდაბანდებათა ფარუ-
ლი ფასების გამოსახვისათვის.

საბჭოთა მეცნიერების ნაწილი დიდ ენთუზიზმს არ
იჩენდა დაგეგმვის ახალი მეთოდების მიმართ. მომავალ-
ში ნობელიანტი ორთოდოქს-დაგმატიკოს პოლიტიკო-
ნომისტთა თავდასხმის ობიექტი გახდა. მეცნიერი
გრძნობდა თავისი გამოკვლევების საგანგებო მნიშვნე-
ლობას და დაჟინებით ესწრაფვოდა შედეგების დაწერ-
ვა-გამოყენებას. კანტოროვიჩის თეორია თანდათანობით
მიიღო საბჭოთა ეკონომიკამ.

1949 წელს ლ. კანტოროვიჩის მათემატიკური კვლე-
ვის სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის მიენიჭა
სტალინური პრემია. 1958 წელს იგი აირჩიეს საბჭოთა
კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად,
ხოლო 6 წლის შემდეგ - აკადემიის ნამდვილ
წევრად.

რ ე მ ნ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ი

რევაზ კაკულია - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის სამართლისა და
ეკონომიკის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკა-
დემიის ნამდვილი წევრი

ნიკოზ მისხია - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის სამართლისა და
ეკონომიკის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკა-
დემიის ნამდვილი წევრი

ნიკოზ ჩინლაძე - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის და ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის სრული პროფესორი
რაიზა ნამიჭაიშვილი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სამეცნიერო საზოგადოე-
ბა „ნიკო ნიკოლაძის“ პრეზიდენტი

აბაჰი ბაჰურაძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის და ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პრო-
ფესორი

ვაჟა ბურაბანიძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის და ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პრო-
ფესორი

ნაირა ვირსალაძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის და ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პრო-
ფესორი

ბურამ უფლისაშვილი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის სამართლისა
და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მკატარინე ბაბუნაშვილი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ქუთაისის სამარ-
თლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ლელა ბახტაძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
ლია მდინარაძე - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტი-
კის დეპარტამენტის ფასების სტატისტიკის სამმართველოს უფროსი

დალი სოლომონიძე - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი

ცინცინო კოჭენიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელი
ბორის ჭიჭინაძე - სოხუმის აკ. ხხარტიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური
უნივერსიტეტის მასწავლებელი

მკატარინე უღესიანი - თსუ-ს მაგისტრანტი, საქართველოს პარლამენტის
ვეროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი

„კაი ემის“ მოსაგონარი

რამაზ იაშვილი



არსებობენ ადამიანები, რომელთა გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს. ნაადრევად და შოულოდნელად გარდაიცვალა რამაზ იაშვილი. დააკლდა იგი ოჯახს, უნივერსიტეტს, ქართულ ეკონომიკურ სივრცეს და საერთოდ, საზოგადოებას.

რამაზ ნოდარის ძე იაშვილი დაიბადა 1967 წლის 19 იანვარს ქ. ქუთაისში.

1984 წელს დაამთავრა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა (ამჟამად კლასიკური გამზაზა). სწავლის სწავლაში 1990 წლამდე მუშაობდა ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე, ქარხანა „აზნაურში“ და საბინაო მეურნეობის ტრესტში. 1985-1987 წლებში გაიარა საბჭოთა არმიის საავადმედო სამხედრო სამსახური. 1990 წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე „ფინანსებისა და კრედიტის“ სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1995 წელს. იმავე წლიდან მუშაობდა დაიწყო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის „ფინანსებისა და კრედიტის“ კათედრაზე. პარალელურად სწავლასწავლაში მუშაობდა ს/ს „აგრომწვობა“ და ს/ს საქართველოს საფოსტო ბანკში“.

2002 წლის 30 აპრილს დაიცვა დისერტაცია თემაზე „საქართველოს საბანკო სისტემა: ფორმირების და განვითარების მიმართულებები და თავისებურებები“ და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ფართო და მრავალმხრივი იყო რამაზ იაშვილის სამეცნიერო საქმიანობა. მას გამოქვეყნებული აქვს თეზისები, სტატიები, მონოგრაფია – „საქართველოს საბანკო სისტემა“ (თეორია და პრაქტიკა) და სახელმძღვანელო „საბანკო საქმის საფუძვლები“.

დარსა მეუღლე – ნესტან დვინიანიძე – ექიმი-ნევროპათოლოგი და შვილები – ნოდარი და ნინო.

რამაზ იაშვილი იყო ნამდვილი, ძირძველი ქუთაისელი. იგი კოლეგების სტუდენტებს, მეგობრებს მხსნაურებაში დარჩება როგორც ინტელიგენტობის, კეთილშობილების, უბრალოებისა და სპირიტუალური მატარებლის მაგალითი.

რამაზ იაშვილს იცნობდნენ როგორც ინტელექტუალსა და შექმნილებითი ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებას. მისი პროფესიონალიზმი არ შექმნიდა გულგრილობას მხოლოდ სასწავლო დისციპლინების თეორიული და პრაქტიკული ცოდნით. იგი როგორც სამაგალითო პედაგოგი და მეცნიერი, ეკონომიკური პრობლემების გააზრებას ახდენდა ლოკალური, ეროვნული, ტრადიციული და ზოგადადამიანური გადასახედიდან. მისი ბეგრი პროექტი და იდეა, სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა. განსაკუთრებული სიბოძით, გულისხმიერებით და ტაქტით ექცეოდა ახალგაზრდებს. სტუდენტებს გული წყდებოდათ მასზე, როგორც უფროსს მეგობარზე და სანდო პროფესიონალზე. რამაზ იაშვილი ითვლებოდა ჩინებულ ანალიტიკოსად და არც თუ იშვიათად მიმართავდნენ მას როგორც ექსპერტს საბანკო და სადაზღვევო საკითხებში. განსაკუთრებული გულთბილობის გამო ყველა თანამშრომელი ნდობითა და პატივისცემით იყო მისადმი განმსჭვალული. თითოეულ მათგანს ყოველთვის ემხსოვრება იგი – კაცობიერად, ჭეშმარიტად ქრისტიანად და ქართველად, უღალატო მეგობარად და დახვეწილი ინტელიგენტი.

რამაზ იაშვილმა იმაზე მეტი გაიღო, ვიდრე სიცოცხლის ორმოცწლიანი სათვლავია. იქნებ ამიტომაც ისქარა მისმა სულმა იმიერში გადასახლება.

ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი
შპს „ეკონომიკური“
პროფილის“ სარედაქციო საბჭო

ქუთაისი „ეკონომიკური პროფილი“ დაიბეჭდა შპს „ეკონომიკური“ მიერ.
ქუთაისი. რუსთაველის 3. ტელ.: 4-57-83, 4-47-14, 893-30-57-08